

K 193 411  
3

ალ. არაბალი

040360400  
გიგანტის



რას მერჩი,  
ადამიანო?!



ԱՐ. ԱՐԱՎԱՐՈՒ



# Ի՞նչ է պերսոնալիստիկան?



ՅԱՅՉԱՅՅՈՅԼՈՒԹԻՒՆ „ՍԱՐԺԻՇՎԻ ՍԱՐՋԱԿՈՅՈՒԹԻՒՆ“  
ԾԱՌԱԾՈՒՑՈՒԹԵՈՒԹԻՒՆ  
ԴԵԿՈՆՈՎՈՒՄ—1985

28-08(c 41)  
591 9(47,922)  
o 75.

1. 1-2-1031(C) 1031(C) 8  
2. 1-2-1031(C)  
3. 1031(C) 1031(C) 8 8 8 8 8



ნაშრომში მოცემულია საქართველოს ჩლიქოსანთა ეკოლოგი-  
ორ-ლანდშაფტური დახსახულება. განსაკუთრებული ყურადღება აქვს  
დამზობილ მათი გავრცელებისა და რიცხვოვნობის დღვევილებ-  
შდამიმართებას, უარყოფითად და დადგებითად მოქმედ ფაქტო-  
რებს, ეკონომიკურ მნიშვნელობას და დაცვა-მომრავლების პერ-  
სპექტივულ ღონისძიებებს. იგი დამყარებულია აფრორის საველე-  
შეცდირებულ გამოკვლევებასა და ხალხური სიტყვიერების მასალე-  
ბზე.



ნაშრომი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის, ამ  
დარგის სპეციალისტებისა და მოსწავლე ახალგაზირდობისათვის.

K 193. 411  
3

რეკომენდებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ზოოლოგის ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის  
კომიტეტის მიერ

რეცეზენტები:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები:  
ნ. კეცხოველი, თ. ლიხაძი



40500-020  
A M 601(08)85 125-85



## შ მ ს ა ვ ა ლ ი

გ მ გ უ მ ა რ ე ბ ე ლ ი ?

განა სათოფედ ვართ გასამეტებელი ?

ნ ი კ ი კ ა ც ხ ი ვ ლ ი .

საქართველოს ფაუნაში, ჩლიქოსანი ცხოველები, როგორც სამეურნეო-სამონადირეო, ისე სპორტული სამონადირეო მნიშვნელობით, ოდითგანვე იმსახურებენ უურალებას. მათგან ვღებულობთ საუკეთესო ხარისხის ხორცს, ქონს, ტყავს, ბეწვს, ძვირფას რქებს და სხვა ნედლეულს. ამავე დროს ნადირობა და მოგზაურობა ყველაზე სასარგებლო და პოპულარული სპორტია, ივი ხელს უწყობს ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის აღზრდასა და წრთობას.

საქართველოში ჩლიქოსანთა სამონადირეო სავარგულებს ოთხ მილიონამდე ჰექტარი უკავია. ამ ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მთაგორიანი და ისეთია, რომ ლის სრულყოფილად ათვისება და გამოყენება მხოლოდ ნადირის მეშვეობით შეიძლება. აქ ბინალრობენ: გარეული ლორი, შველი, ირემი, ჭიბეი, ნიამორი და სხვა. მაგრამ, ადამიანის დაუზოვავი და შეუვნებელი შოქმედების გამო, ამ ჩლიქოსნების რიცხობრიობა დღეისათვის ბუნებაში უკვე იმდენადაა შემცირებული, რომ მათზე ლიცენზიების გაცემაც კი აღარ შეიძლება. საჭიროა, გადარჩენილ ბუნებრივ მარაგსა და ამ გენოფონდების დაცვას დროულად მიექცეს ყურადღება. ამეამაც, მხოლოდ გონივრული, რაციონალური სამეურნეო გამოყენებით შეიძლება ამ ცხოველთა რიცხობრიობის აღდგენა, რომ შემდგომში შესაძლებელი გახდეს მათი გეგმაზომიერი სამეურნეო-სამონადირეო გამოყენება და ცხოველურ პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილების ნაწილობრივ დაკმაყოფილება.

ამას მიეაღწევთ ჩლიქოსნების ეკოლოგიის ღრმა და  
საფუძვლიანი შესწავლის გზით. რესტრაციული გარეთი  
დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ცხოველის მომავალი და  
სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის დაზღვნას, ზოლები  
არსებული თქმულებებისა და სხვა მასალების შეგროვე-  
ბასა და გამოყენებას.

აღამიანი ხანგრძლივი დროის მანძილზე იკვირდე-  
ბოდა ნაღირს, ხელს უწყობდა გამრავლებაში. მოპოვე-  
ბის დოვის კი სხვადასხვა ხერხებს მიმართავდა და თავის  
სასარგებლოდ იყენებდა. ამ გამოცდილებების გაზიარე-  
ბას, მასთან ჩვენი საველე-სამეცნიერო გამოკვლევების  
შერწყმასა და მყოფხელისათვის მიწოდებას, ეფიქრობთ  
გარკვეული მნიშვნელობა ექნება.

## 0 6 0 8 0

... ღმერთთ, გარდაქმენ გრძნობა, ფიქრი და ვნება იდამი. ანისა ისე, რომ მე არ მემტერებოდეს, ჩემი მოკლა არ ელვას გულში, მეც შემციროს ცხოვრება თავისუფლად მშე-ქვეყანაზე.

ვაჟა-ფშაველა

ირემი ირმისებრთა ოჯახის ტიპიური წარმომადგენელია. ცისძალია მისი 25-მდე ქვესახეობა; აქედან სსრ კავშირში მოიპოვება ხუთი ქეესახეობა. საქართველოში გავრცელებულია კაცისიური კეთილშობილი ირემი. თუმცა ამიერკავკასიურ ფორმას თავისეპური მორცოლოვიური ნიშნებიც ახასიათებს. იგი სხვაგან გავრცელებული კეთილშობილი ირმებისაგან პირველ რიგში განშე გაშლილი, მოკლე და სქელტოტიანი რქებით განსხვავდება. ტანადობით არ ჩამოუვარდება ამერიკულ ვაპიტსა და ციმბირულ მარალს. ხარისხი უფრო დიდი ზომა-წონისაა, ვიდრე ფურირემი. იგი ჩვენი ტყეების ნამდვილი მშვენება და სიამაყეა.

ერთი არ დადის ტყეში ცხოველი,

ასე ლამაზი და შედიდური.

უთქვაში ირაული აბაშიძეს.

ირემს, გარეულ ცხოველთა შორის, მართლაც არა ჰყავს სილამაზით ბადალი. განსაკუთრებით მოხდენილი, ძლიერი და მომხიბლავია ხარისხმი, რომელსაც უკან გადაყრილი მრავალშტოიანი რქები ამშვენებს. ეს შესანიშნავადაა გადმოცემული ერთ-ერთ ხალხურ ლექსში:

ირემო რქებით შევენარო,

უურებით ლამაზიანო,

რე თარები ველადა,

თავი არ დაიზიანო.

ეს ლექსი ოღნერილობის გარდა, ირმის ველოპებისადმი სიყვა-  
რულსაც გამოხატავს და ოდამიანის მისაღმი ლტოლვაზეც მიუთითებს.

ირემს 2,5-3 მეტრამდე სიგრძისა და რქებიანალური ფიზიკურულმა-  
ლის ქანდაკებასავით გამონაკვთული სხეული იქნება შესაბუთი მატუ-  
ლე 114—150 სმ-მდე ოღნევს, ცოცხალი წონა 200—300 კგ-ია. ხა-  
რიოემს კისერი ღაბაბიანი, სქელი და ლონიერი აქვთ. ფურიჩებს კი  
შედარებით წურილი, გრძელი, მოლერებული და სუსტი. მას პროპორ-  
ციულად განვითარებული 40—50 სმ სიგრძის ბლავეცხირიანი თავი  
აქვს. მიმზიდებულს ხდის ფართო და შავი თვალები და ლანცეტის ფო-  
რმის 22 სმ-მდე სიგრძის წვეტიანი ყურები. მას 17—20 სმ-მდე სიგრ-  
ძის კული, განიერი მკერდი და სქელი, ნაკვთიანი ბარძაყები აქვს.  
სწრაფად დარბის, დამფრთხალი ირემი ჩვეულებრივ 6—8 მეტრის სიგ-  
რძის ნახტომებს აქვთებს. ნელი სიარულის დროს კი მისი ნაბიჯის სი-  
გრძე ერთ მეტრს ან აღემატება. აქვს სქელი, თანაბრად განვითარებუ-  
ლი, შავი ფერის, ერთმანეთთან მშედროდ მიგრილი ჩლიქები, რომელთა  
სიგრძე 8—10 სმ-ია, ხოლო სივანე 5—7 სმ. ჩლიქის ბალიშები სუსტად  
(მხოლოდ უკანა მხარეს) აქვს განვითარებული. მისი ნაკვალევი ში-  
ნაურ პირუტყვისას წააგავს, მაგრამ ბუნებაში მაინც ადვილი გამოსაც-  
ნობია, იგი უფრო ლამაზ კიდეებიან ოვალურ ანაპეჭდს ტოვებს. თა-  
ნაც ჩვენ ტყეებში მობინადრე ჩლიქოსნებს შორის, ყველაზე დიდი  
ზომის ნაკვალევი აქვს.

+

ირემი, მაღალი და ლონიერი კიდურების წყალობით, ერთ მეტ-  
რამდე სისქის თოვლის საფარის დროსაც კი ადვილად მოძრაობს, რო-  
ცა სხვა ცხოველები 60 სმ-მდე სილრმის თოვლშიც კი ვეღარ დადგინ  
და ხშირად ილუპებიან. +

კავკასიურ ირემს 80—120 სმ-მდე სიგრძისა და 6—12 კგ-მდე  
წონის ნაკლებ დატოტვილი, უმეტესად ქორბულა (წვერში ღერძიან-  
თანაბრად გაშლილი) ან ფიწალა რქები აქვს. შტოების რაოდენობა  
თოთოველ რქაზე 5—9-მდეა, იშვიათად შეიძლება მეტიც იყოს. რქის  
ტოტიანობა, სილამაზე და სიმსხო დამოკიდებულია ასაქზე და ცხოვე-  
ლის ჯამშრთელობაზე. ახალგაზრდა, ერთი წლის ირემი უტოტო, „ჰო-  
ტა“ მოკლე და წვრილ რქებიანია; ორი-სამი წლის ირემს 2—3 ტო-  
ტიანი, „ფიწალა“, სუსტი რქები აქვს; 6—10 წლისას მრავალტოტია-  
ნი, თანაბრად განვითარებული, ლამაზი „ქორბულა“ ან „ფიწალა“ რქე-

ში ამშევნებს. ხანდაზმულებს კი მოკლე, სქელი, ხშირად მასიური, არა-თანაბარტოტიანი, უშინ რქები აქვთ. თვით რქების ფორმა კი იმშევითად ცვალებადობს. ირემი რქებს ყოველწლიურად მასურებელურად ჩატარდება. რქა თავისით სათითაოდ ძვრება და ჩეტყველებები ეწერს. კვირის განმავლობაში ორივე რქას იცვლის. მათ ადგილზე ერთ-ორ კვირაში ახალი რქები იწყებს ამოსვლას, რომელიც პირეელ ხანებში თითქოს ნელა, ხოლო შემდეგ ძალიან სწრაფად ვითარდება. ნორჩი, რბილი, სისხლძარღვით სავსე დუყი დაფარულია ნაზი ტყავითა და ბეჭვით. შემდეგ რქები თანდათან მაგრდება და გაძვალდება. აგვისტო-სექტემბრისათვის ტყავი ძვრება, შიშვლდება და ნორმალურ სახეს იღებს. რქის ამგვარი განვითარება კანიდან-კუტისიდან მომდინარეობს. სინტერესო ისაა, რომ რქიანობის დროს „კასტრირებულ“ ირემს რქები აღარ სცეივა, ურქობის დროს „კასტრირებულს“ კი რქები აღარ ამოსდის. ეს იმას ვვიჩვენებს, რომ რქების ცვლა დაკავშირებულია სასქესო ჰირმონების აქტივობასთან.

არსებობს აზრი, თითქოს ირმის რქების შტოთა რაოდენობა ცხოველის ასაქს შეესაბამებოდეს, ეს არ აზრის მართალი. ამ გზით შეიძლება მხოლოდ ორი-სამი წლის ირმის ასაქის დაღვენა. უფრო მოზრდილებს კი ტოტების რაოდენობა ყოველ წელს ხან მეტი აქვთ, ხან ნაკლები. ხნიერ ირემს კი შეიძლება მთლად უტოტო და მახინჯი რქა განვითარდეს.

ირემი ბეჭვს წელიწადში ორჯერ იცვლის. ამასთან დაკავშირებით იცვლება მისი შეფერილობაც: ზამთარში მორუხო-ნაცრისფერია. ზაფხულში კი მოწაბლისფრო-ქარცისფერი. ბეჭებზე და ბარკლებზე მუჭი ფერის ლაქები აქვს, კუდის წვერი და მის ირგვლივ ქვედა მხარე მოთეთროა, რაც ტლოკვებსა და მუცელზე მღვრიე ფერში გადაღის. გავაზე „თეთრი სარკე“ შემოდგომასა და ზამთარში უფრო კარგად ეტყობა, ზაფხულში კი თითქოს უხუნდება — სხეულის საერთო ქარცისფერ შეფერილობას ერწყმის. ხარირემი და ფურირემი თითქმის ერთნაირი ფერისაა, მხოლოდ ხარირემს ზურგზე უფრო მუქი-მურა, ფართო ზოლი გასდევს. ზოგიერთ ფურირემს კი ზაფხულში ზურგზე მოყვითალო მუქი ხალები უჩინდება. 1

საქართველოში ირმის რაოდენობა ბრაქონიერობისა და ირმის ადგილსამყოფელების საძოვრად და სახნავ-სათესად ვამოყენების გამო,

წარსულთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა. მას პრეცენტის 40—50 ათას ჰექტარამდე უკავია. ოდრე ირემი გავრცელებული ყაფი-ლა როგორც მთის, ისე ჭალის ტყეებში. ამჟამად ჟარშავულადგი-ლებში (გარდა მტკვრის ჭალაზე — გარდაბნის სტერილული მეურნეობისა) ირემი აღარსადაა. აქაც ირმის სავარგულს ძალიან მცი-რე ფართობი უკავია. ირემი მხოლოდ მთის ტყეების ზოვეერთ უპნე-ბშია შემორჩენილი. შედარებით მეტია: ბორჯომის, ლაგოდეხისა და საგურამოს ნაკრძალებში. ერთეულები მოიპოვება: ბურსა-დურუჭის, ივრის, არაგვის, ქსნის ხეობათა სათავის ტყეებში, კასპის რაიონი — წლევის ტყეში, ასპინძა-ახალქალაქის რაიონის საზღვრებში — ჭობა-რეთსა და ოშორაში, აღიგენის რაიონში — აბასთუმნის ტყეში; აფ-ხაზეთში — ბზიფის ხეობაში (ფსხუში, ავალხარაში).

საქართველოს გარდა კავკასიური კეთილშობილი ირემი გაერცე-ლებულია: ჩრდილო კავკასიაში — ყაბარდო-ბალყარეთში, თებერლი-სა და კავკასიის ნაკრძალებში, ჩეჩენ-ინგუშეთში, აზერბაიჯავში. მისი მონათესავე ფორმა გვხვდება: მცირე აზიაში, სამხრეთ-აღმოსავალეთ თურქმენეთში, ჩრდილო ირანსა და თურქეთში. ვერტიკალურად 3000 მ ზ. დ-დე ვრცელდება.

ირემი ძირითადად ტყეში ბინადრობს, მაგრამ საძოვრაო ყოველ-თვის ტყეთა შორის ელობებში გამოდის. ადის სუბალპური და ალპური ზონის საძოვრებზედაც. უტყეობა მის გავრცელებას არ ზლუდავს. თავ-ისუფლად და უშიშრად გადადის და გადმოდის კავკასიონის ჩრდილო და სამხრეთ კალთებზე. მის მოძრაობას მხოლოდ კლდიანი რელიეფი იძ-რეობებს. ტყის ზედა სარტყელსა და ალპურ ზონაში, სადაც კლდეებია, ირემი ფეხს ვერ იყიდებს და ერიდება. უყვარს ისეთი ტყეები, სა-დაც ნაკალულები და ადგილ-ადგილ გუბეებია. წყალს იყენებს რო-გორც სასმელად, ისე საბანაოდ. თუ ასეთ ადგილებს ბალაზიანი ფარ-თო საძოვარი ველობები და ბუნებრივი სამარილევები (სალოკაციები) აქვთ, ირემი მუდმივად ბინადრობს და ადგილს იშვიათად იცვლის, მხოლოდ მომთაბარეობს თოვლის საფარისა და ტემპერატურის მერ-ყეობასთან დაკავშირებით. ისეთ ტყეში, სადაც წყალი და საძოვარი არაა, ირემს არსებობა არ შეუძლია. პალვილსამყოფელს ხშირად იცვ-ლის დევნილი და დამფრთხალი, აგრეთვე მყერიალობის დროს მეუღ-ლის ძებნისას. ხალხს მის ქცევაზე მშვენიერად უთქვამს:

— ირემო, მთასა მყვირალო,  
რამ ჩამოგადღო ბარადა?  
— მეუღლე მტერმა მოშიკლა,  
დავხერიბა ცალადა.



## უროვნეული

ირემი ძირითადად ბალახით იკვებება, დღე-~~დღე~~<sup>შემოწმებულებები</sup> მდე საკვებს საჭიროებს და ჩვენი გამოკვლევით 150 სახეობაზე მეტ მცენარეს ძოვს. ქვემს ხე-მცენარეთა ნაყოფებსაც: რკოს, წაბლს, წიწუბოს, პანტა; მაჯალოს, ტყემალს, ზღმარტლს, აკილს, კუნელს, შინდს. მოცვეს, უოლოს, მაყვალს და სხვა. უყვარს თელის, მდვნალის, ტირიფის, რცხილის, წიფლის, ცაცხისა და სხვათა ნეკერი. ხშირად შემოლრუნის: მაჯალოს, კერძვისა და ფიჭვის ახალგაზრდა მცენარეთა ქვერქს. აზიანებს ეგრეგებს. საკვების სიუხვით ირემი ზაფხულში ძალიან სუქ-დება, მაგრამ სექტემბერ-ოქტომბერში (ყვირილობის დროს) ისევ ხდება. ↗

ირემი ფრთხილი და მორიდებული ცხოველია. თავის ადგილსამყოფელში მყუდროობის დარღვევას ვერ იტანს, ამიტომაც საქართველოში ადამიანისა და მტაცებლების გავლენის გამო. თითქმის ლამის ცხოველადა გადაქცეული. ზაფხულში საკვებად ვილობებსა და ტყის-პირებში საღამოს 5—6 საათიდან გამოდის. აქვე წვება, ისვენებს და შემდეგ ისევ ფრთხილებს ძოვას. დილის შეიღრვა საათზე კი ისევ თავ-ჭესაფარს, ულრან ტყეს უბრუნდება. აქ კი ხშირად ↗ წიწვიანი ხეების დაბურულ ძირებში იმაღება. მთელი დღე წვეს და იცოხნის, თან გარემოს ზვერავს და გახაქცევი ბილიკისაკენ იყურება. ↗

იქ, სადაც ირემი თავს უშიშრად გრძნობს დღისითაც გამოდის, გაგრძელ მაინც მეჩხერი ტყიანი ადგილებისაკენ იწევს, სადაც ბალახი კირგად ხარობს და თანაც ჩრდილი და ნიავია. უტყეო ადგილებს მაინც ერიდება, ფრთხილობს. საკვებისათვის ზამთარში უფრო ბევრს მოძრაობს, ვიღრე ზაფხულში.

ირემი ცუდ ამინდში უფრო ფრთხილია, ცოტას მოძრაობს. ტყეს არ სცილდება, უმეტესად ხის ძირებში დგას, ან წევს და თვლემს. განსაკუთრებით ქარში ფრთხილობს, ხეების მოფარებით წვება. ალბათ იმიტომ, რომ ყნოსეასა, და სმენას ქარის ხმაური უხშობს და შხოლო შედეველობის ანაბარაა. მასთან ახლოს მიპარვა ამ დროს უფრო ადგილია, საერთოდ კი ადამიანის სუნს ნახევარი კილომეტრიზან გრძნობს. ასე შორს იგებს სმენითაც, ხოლო მხედველობით ერთორ კილომეტრ-

შედაც გაარჩევს მოძრავ საეჭვო საგანს და კარგა ხელს მიუკრება, შველივით უცბად არ ფეოდება. იგი საქმაოდ ჰქიანი და ზაკვარება ბული ცხოველია. ერთი შეხედვით არჩევს მტერ-შეკრულებისა და მტაცებელს.

ფურირემი უფრო ფრთხილია, ვიდრე ხარირემი. რეამოცულილი ხარირემი უფრო შშიშარაა, ცალკე დადის და იმალება. რეიანი ლიდი ირემი კი ამაყია, ადვილად არ ფრთხება, თუ დაფრთხა შორს არ გარბის, მალე ჩერდება და უკან იყურება. იგი ზოგჯერ მონაღირე ძალლა-საც არ გაურბის, არც მგელს ეპურება, რეებითა და ფეხით იგერიებს მათ.

ბორჯომის ნაკრძალში ხშირად მინახავს მგლისა და ხარირემის ნაბრძოლი — რამდენიმე კალოსტოლა იდგილზე გადათქერილი თოვლი, მიწა, გათქერილი ტყის ილმონაცენი. გარშემო მგლის ნარბენი და მისკენ ირმის ნახტომები. სადაც ირებს არ შეშინებია და არ გაქცეულა, ყოველთვის უვნებლად გადარჩენილა, იქ კი, სადაც შეშინებულა, ზურგი შეუქცევია და გაქცეულა, დამფრთხალი კლდეზე გადახეხილა.

ირემი არა მარტო ადამიანსა და მტაცებლებს ერიდება და გაურბის, არამედ სისხლის მწოველ მწერებსა და სიცხესაც. ვანსაკუთრებით ბორა და ბუზი აწუხებს, ამიტომ არის, რომ დღისით, სიცხეში, როცა მწერები აქტიურნი არიან, ირემი მდინარის პირას გრილ აღვრლებში ან ნიავიან გორებზე წვება, სადაც სიგრილე და მწერებიც ნაკლებადაა. ასევე საღამოობით, როცა მთაში მალე ავრილდება და მწერები ველობებში ფრენას შეწყვეტინ, ირემი მაშინ გამოდის და გათხებამდე რჩება აქ. ტყეში მწერებისაგან შეწუხებული ხშირად მიაშურებს მაღალ ბალაზიანს, ბუერიანს და იქ წვება.

ერთხელ, ზაფხულში, ლავოდების ნაკრძალში ქოჩალოს ვზით მთაში მივდიოდი. ღილა იყო, მაგრამ ძლიერ ცხელოდა, ნიავიც არ ქროდა. ტყის ზედა საზღვარს რომ მივუახლოვდი, ველის პირას წყაროსთან შევისვენე. მოულოდნელად ჩემს პირდაპირ ფერდობზე ფურირემი გამოიჩნდა. სუბალების მაღალი ბალაზი მას თითქმის ნახევრად მაღავდა, მაგრამ მაინც დაუბრკოლებლად მოარღვევდა, ნელ-ნელა მოდიოდა, თან თავს აქეთ-იქით აქნევდა, კოლო-ბუზებსა და ქინქლებს ივ-

ურიებდა, ეტყობოდა, სიცხეზე ძალიან აწუხებდნენ ქართველის, // ხურიანს  
არ სცილდებოდა. იჩემი თანდათან თავევე დაეშა, მეგრინ, // ისიც  
წყაროზე მიღიოდა, მაგრამ ჩემგან საკმაოდ დაშორებით, დელუში, მა-  
ლალ დიყიანში ჩაწეა. დრო ვიხელთე. ირმის წოლში დაშემცირდა და მიგად  
მოვინიშნე, ფოტოთოფი ავიღე და ნიავის საწინაშემცირდა // შემატუ-  
ლებით მიპარვა ვცადე. ბუერების ძირებში ფრთხილად გავრცერი, ვი-  
ხოხე და დაახლოებით ოცდაათ ფეხის ნაპიჯზე რომ მიუუახლოვდი,  
ფოტოთოფი ფეხზე შევაყენე, ოდნავ წამოვიმართე და ირემმაც გამი-  
გო, ელდანაცემივით წამოვარდა, ლელის პირის ოდნავ შემაღლებულ  
ადგილზე შეხტა. ასე ახლოს მისული რომ დამინახა, გაოცებული და-  
მშტრერდა. მე დრო ვიხელთე, დიყის ფოთლებში ობიექტივი გავყავა  
და სასხლეტს ხელი დავიცირე. იჩემი კონს მალე მოვიდა, მეორედ გა-  
დალება იღარ მაცალა, დამტრითხალმა ერთი ისეუპა და ტყეში გაუ-  
ჩინარდა.

მწერებისა და სიცხისაგან შეწუხებული იჩემი ხშირად ლაფშიც  
კორაობს, ან მდინარეში შედის და წყალში წვება. მტკრის ჭალებსაც  
სწორედ ამიტომ შემორჩი იჩემი, რომ აქ საშუალება აქვს სიცხისა  
და მწერებისაგან თავი დაიცვას მდინარეში შესვლით. ჩვენ ხშირად  
გვინახავს დღისითაც, მოფარებულ ადგილას, მტკარში, ხშირად კი  
ფშაში, ღრმა წყალში ჩაწოლილი და წყლიდან თავამოყოფილი მო-  
ბანავე იჩემი. ასეთ მდგომარეობაში იგი შორი მანძილიდან ძნელი  
შესამჩნევია, მითუმეტეს თუ წყალს ხეების ჩრდილი ადგება, მხო-  
ლოდ ყურების მოძრაობაზე შეიძლება მიხედვე, რომ იქ იჩემი წევს.

პატარა ნაკადულში, აჩხში ან ფშის გამდინარე წყალში, საღაც  
ჩაწოლის საშუალება არაა, სწრაფად შევარდება, რომ შეიშეფოს ან  
ტანზე ფეხით შეისხას წყალი. ასე გრილდება და იშორებს მწერებს.

იჩემმა კარგი ცურვა იცის, შეუძლია მთელი დღე წყალში იცუ-  
რაოს. უყვარს ლაფაობაც, ლაფაობს როგორც ღორი, ზაფხულშიც და  
ზამთარშიც. განსაკუთრებით აღრე გაზაფხულზე, როცა ბეწვს იცვ-  
ლის. ლაფიდან ამოსული ექვექება ხეებს, გორაობს, ზოგჯერ დახტის  
ტავეც. ცდილობს ამ გზით მოიცილოს დაკიდებული ნაზამთრევი ბეწ-  
ვი და მასთან ერთად სისხლის მწოდელა მწერები, ტკიპები, რომე-  
ლიც ტალახთან ერთად სცვივა.

წვიმის შემდეგ იჩემი საძოვრად ველობებში დღისითაც გამოდის,  
ნაკლებად ფრთხილობს, უფრო მეტ ხანს რჩება, გაძლომის შემდეგაც

ხშირად იქვე წვება და ისვენებს. ალბათ იმიტომ, რომ ზენაფურისი  
სიგრილეა, თანაც კოლო, მუმლი და ბუზი ნაკლებადა.

ზამთარში ირემი ოთხი-ხუთი სული ან უფრო მეტი კუსკენების  
სიმჭიდროვის (მიხედვით), ერთიანდებიან და ჯოგებრეზე დაუკავშირდების ერ-  
თად არიან ხარისხმი, ფურირემი და მოზარდები. ზაფხულში კი ოჯახით  
ბინადრობს, ერთად არიან „დედები და მოზარდები“, ზოგჯერ ხუთ-ექვე-  
სულიანი ფურირების ჯგუფი გვხვდება, რომელთაც თან ახლავს  
ნუქრები და გასული წლის მოზარდები. ფურირების ჯგუფი ცალკე  
იშვიათად გვხვდება. ასევე ფურირებისაც მარტო ცხოვრება არ უყ-  
ვარს. განცალკევება მხოლოდ ხარისხმა იცის, განსაკუთრებით გაზა-  
ფხულშე და ზაფხულში, როცა რქები მოცელილი იქვეს და იარაღაყ-  
რილივითაა, ცალკე დადის, მშიშარაა, იმალება, ავეისტო-სექტემბრი-  
სათვის კი ისევ სრულყოფილი რქები ეზრდება, სიამაყე ემატება და  
ჯგუფს უერთდება.

სექტემბრის თ-თხუთმეტ რიცხვილან იწყება ირმის კერძილობა,  
ანუ „ყვირილობა“ (წინათ ამ თვეს, ძველი სტილით, ყვირილობის  
თვესაც უწოდებდნენ), რაც ნოემბრის ნახევრამდე გრძელდება. ეს პერ-  
იოდი ამ ცხოვრელის ცხოვრებაში მეტად თავისებური ქცევებით ხასი-  
ათდება, თავისთავად საინტერესო და საყურადღებოა: სხვა ღროს  
ფრთხილი და მორიდებული ხარისხმი გამრავლებასთან დაკავშირე-  
ბით სრულიად იცელის თავის ხასიათს: აღარ იმაღლება, ყეირის ხმა-  
ლლა. მართალია სიფრთხილეს მთლად არ კარგავს, მაგრამ იმდენად  
მოურიდებელი და გამბედავია, რომ მტაცებელიც კი ერიდება მასთან  
შეხვედრას. აგრესიულად იქცევა, რქებით ავტორევს პატარა ხეებს და  
ბუჩქებს, იშვიათად კამს, ხშირად სვამს წყალს, მაღამალე შარდავს,  
გამოსცემს ბორობის სუნს, რომელსაც ადამიანი 50—100 მეტრზე შე-  
იგრძნობს. აი, როგორ გაღმოგვცემს ამას ვაჟა-ფშაველა:

...ბევრი რამ გამიგონია,  
ბევრიც მინახავს თვალითა,  
ირმის ყვირილშე ღამაზა  
ვან გაიგონებს, საითა?  
ამოგმინდება ტკალი  
სურვილით სავსე გვალითა,  
შემრე ზელიშედ დაკვენესებს

უფრის მძებნელი სულათა,  
საღაც კი იმას გაუდავ,  
ასენებულა კნებითა,  
დგნალი და შინელაბი  
გადაუდერია ჩქებითა.



ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალში ჩვენ სპეციალურად ვაკეირ-დებოდით ირმის ყვირილობის პროცესს და ბევრი რამ სინტერესო შეენიშნეთ, ვფიქრობთ მეოთხელისათვის. მისი გაცნობა არ იქნება ინტერესს მოკლებული: ხარისხმი ყვირილს საღამოს სუთ-ექვეს სათა-დან იწყება: ყვირის დროგამოშეცებით მოელი ღამის განმავლობაში, გამოთხვისას ჩერდება. ფურთან მყოფი ხარისხმი ერთ ამორჩეულ და-გილს არ შორდება და თუ ახლომახლო მეტოქეები ეგულება, დღი-სითაც ყვირის. რამდენადაც მეტია მეტოქეობა, ე. ი. ბევრია ხარისხ-მი, მაღალია დასახლების სიმჭიდროვე და ნაკლებია ფურირები, იმ-დენად მეტს ყვირის ირემი. როცა ხარისხმები ცოტაა და ფურირები მეტი, მაშინ ნაკლებია ყვირილი. მაგრამ იმ კანონზომიერებას ფური-რემი თვითონ არღვევს. ერთსა და იმავე ხარისხმთან თუ სამი-ოთხი ფურირემი არაა, დიდხანს არ ჩერდება. არ ჩერდება მაშინაც, როცა მათი რიცხვი ხუთ-ექვეს სულს გადააჭარბებს. ერთი ფურირემი ხარი-მისაგან იმდენადაა შეწყებული, რომ ყოველთვის გაპარვას, გაქცე-ვასა და ღამალვას ცდილობს, და ახერხებს კიდევ. შემდევ კი. ზოგჯერ სხვასთან, ხშირად ისეთ ძლიერ ხარისხმთან ხვდება, სადაც მიგვარიდ რამდენიმე ფურირემია თავმოყრილი. მათ ერთი ხარი იმდენად აღა-აწებთ, მეტოქეებიც ახლოს ვერ ეკარებიან და ფურირები მასთან დადგანს ჩემიან, სხვა ხარისხმები კი ფურირების გარეშე არიან ტუშილად და ბევრს ყვირიან.

ყვირილობის დროს ირემი ისეთ უბანს ირჩევს, სადაც წყალი ახ-ლოსაა. ხარისხმი ყვირილით მოუხმობს ფურირების, თანაც ახლო-მა-ხლო მყოფი მეტოქე ხარისხმებისადმი გამოხატავს მუქარას, აფრთ-ხილებს, რომ არ შევიდნენ მის უბანში. დადის თავდახრილი, თითქოს მიწას ყნოსავს, ყურსაც იქიდან უგდებს. თავს დროდადრო ასწევს მაღ-ლა და პირგალებული გაპყვირის. უფუროდ მყოფი ხარისხმი ზოგჯერ დაწოლილი, თვალდახუჭულიც ყვირის. თუ ფურირემს ახალგაზრდა

ხარისხმი ახლავს, მოსკენებას არ აძლევს, არ შორდულ, დას-  
დევს, ზოგჯერ ბუჩქებში შეაგდებს, შორს არ უშვებს, დათხომით ეტ-  
რიალებს, მაგრამ არა შორიდან. თვალს არ აცილებს, ხშირად მოთხა-  
ლა იმავე ბილიკზე ატარებს. ხნიერმა ხარისხმა კი წმინდაზე რამარი.  
მების შორიახლოს იცის ყოფნა. იგი 50—100 მეტრის ზორების კუჭ-  
შემო უტრიალებს და მათთან დროდადრო მიღის. როცა ფურირმები-  
წინ მოექცევიან, მოკლედ მიჰყევება უკან და გზას გადაუჭრის. მათ მხო-  
ლოდ წყლისაკენ და სამარილისაკენ უშვებს. იქაც კი უთვალთვალებს,  
თუ ძალიან დაღლილი არაა, დიღხანს არ ტოვებს უყურადლებოდ.

უფროდ მყოფი ხარისხმი ხშირად ერთ ამორჩეულ ბილიკზე  
დადის, ეფარება ხეებს, დროდადრო ჩერდება, აყურადებს, ხშირ-ხში-  
რად გადაიხედავს სერზე, თითქოს ფურირმის მოსვლას ელოდება, და  
მართლაც დამალული ფურირები გამოვა და თავის სურვილით მიღის  
ხართან. ასეთ დროს ხარისხმი მისკენ მიმავალი ნაბიჯების ხმას ად-  
ელად იგებს, ჩქარობს, დაუკვირვებლად მიღის შესახელრად. სხვა  
დროს თუ ორს-სამას მეტრზე შეუცდომლად არჩევს ადამიანის ფე-  
ხის ხმას და გარბის, ახლა. ზოგჯერ ორმოცდათ მეტრზე ახლოს მისვ-  
ლამდე ვერ იგებს და მაშინაც, ვიდრე თვალით არ დაინახავს და არ  
დარწმუნდება, რომ ადამიანია, არ გარბის. დამფრთხალი კი თავისე-  
ბურად მოკლე-მოკლე წყვეტილად ყვირის — ვაპ-ვაპ, ვაპ!... ირემი  
საერთოდ სხვადასხვა ხმით ყვირის. მაგალითად, როცა ის მარტოა და  
ფურირებს მოუხმობს ხმამალლა, თითქოს შესაბრალისად, ოხერით  
ყვირის. ფურირმებთან მყოფი ხარისხის ყვირილი კი ბლავილს უფრო  
წააგავს, მაგრამ დროდადრო თან ახლავს მუქარის გამომხატველი ბუ-  
ბუნი და ხმამალლი შეყვირება. ფურირმებთან დიღხანს ნაყოფი ხა-  
რისხმი კი იშვიათად წამოიყვირებს ხოლმე, ხშირად წევს და თვლებს.  
ფურები სწორედ ამ დროს ახერხებენ გაპარვესა და დამალვას, ან პი-  
რდაპირ სხვა ხარისხმთან მიღიან. ხარისხმა თუ გაიგო, რომ ეპარე-  
ბიან, წინ გადაუდგება, ერთხანს თითქოს ეფერება, შემდეგ კი. თუ  
ფურირებმა მაინც არ დაიშალა, რქებს ურტყამს და უკან აბრუნებს.  
ბოლოს ფურირები დასუსტებულ, დალლილ, მძინარე ხარისხმს მაინც  
გაეპარება ხოლმე, ამიტომაა, რომ მყვირალ ხარისხმთან ფურირებს  
იშვიათად ვნახულობთ, მისი ნაკვალევი კი ხშირად გვხვდება. გამოლ-  
ვიძებული ხარისხმი გაპარული ფურირებს გაშმაგებული დაეძებს, მისი

მოლოდინით თავის უბანს მაინც არ ტოვებს, შესაჭრი / გავილით  
მოუქმობს მეუღლეს. იცის ფურირების ხასიათი, რომ მას მარტოდ  
ყოფნა მაინც არ შეუძლია და ხარირებისაც მოსვლის იმედი აქვს, მაგ-  
რამ ფურირები ხშირად შეხვედრისთანავე სხვა ხელის გარეშე მოვიწეოდება.

მეზობლად მყვირალი ირმის უბანში შესელახა და ზრდოლას კავ-  
კასიური ირემი ყოველთვის ერიდება. მოურიდებლად და თავხედუ-  
რად ათასში ერთი თუ მოქცევა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძო-  
ლაც სწორედ მაშინ იწყება. ხარირების შეტაკება უფრო მაშინ ხდება,  
როცა სხვასთან მიმავალ ფურირებს ხარირები უკან მისდევს და მეტ-  
ოქეს გადაეყრება. ასეთ დროს კი უკან არცერთი ხარირები აღარ დაი-  
ხევს.

ხარირების ბრძოლა თავისებურად ლამაზი ჭიდილით იწყება და  
ყოველთვის მძაფრი და დაუნდობელია. ჭიდაობისას რქების ჯახა-ჯუ-  
ხი შორს იმისი. ზოგჯერ ისეთი სიძლიერით ურტყამენ, რომ რქა ვე-  
ღარ უძლებს, იმსხვერევა, ან ძირში ტყდება და ვარდება, ასე დამარ-  
ცხებული, წაქცეული ხარირები ყველაზე საცოდავი სანახავია, იგი-  
ხმალგატეხილ, უიარალო, შერცხვენილ რაინდს უფრო ჰგავს.

მეტოქენი თუ თანასწორი ძალისანი შეიყარნენ, მაშინ ბრძოლა  
მთელი დღე-ღამის განმავლობაში ან მანამდე გრძელდება, სანიმ ერთ-  
ერთი მათგანი ძალაუნებურად არ დატოვებს ბრძოლის ველს. ამ შემ-  
თხვევაში ყოველთვის ძლიერი ხარირები რჩება ფურირებთან და უკე-  
თესი შთამომავლობის მოცემაც მას შეუძლია. ეს ბუნებრივი შერჩე-  
ვის საგანგებო, საყოველთაო წესია (მაგრამ ამ შემთხვევაში უარყო-  
ფითი მხარეც გააჩნია: ასეთ ძალმომრეობას ნათესაური შეჯვარების  
გამატონება ახლავს თან, რაც არ შეიძლება თავისებურ უარყოფით  
გავლენას არ ახდენდეს ამ სახეობაზე. როგორც ჩანს ამ საქმეში ბუ-  
ნებრივი კანონზომიერება უფრო ფურირების შემოთ ხსენებული  
პოლიანდრიით მყარდება). ბრძოლის ველიდან გამოქცეული ხარირე-  
ბი კი ორჯერ უფრო მშიშარა ხდება, ამის შემდეგ მას თავისზე სუსტი-  
მეტოქისაც კი ეშინია.

ზოგჯერ ძლიერი ხარირების ჭიდაობისას რქები კი არ იმსხვრევა,  
იგრიხება და ერთმანეთს ისე ჩაეხლართება და ჩაეწვინს, რომ მათი  
გაშორება თავადაც არ ძალუდა და ისე რქაჩაგრეხილები იღუპებიან-  
ორივენი. ეს უფრო ევროპულ ირმის მსგავს — მაღლა აღმართულ

რქებიანებს მოსდით, რომელთაც რქის ტოტები უფრო ზოგადია. გრძელი და მეტად ახრილი აქვთ, ვიღრე კავკასიურ ირმებს.

ბორჯომის ნაკრძალსა და ბელოვეჟის ნაკრძალში უწყებელი ჩარისხების ჩონჩხები, ერთმანეთში გადახლართული კრისტენის განშორება სიცოცხლის დროს ირმებს ვერ მოუხეობებით და საძალადისოდ მოჭიდავენი დარჩენილან. ბორჯომის ნაკრძალში, ბრძოლის დროს დაღუპულ მეტოქეთა ჩონჩხები ერთ წაქცეულ ნაძვის ხეზე აქეთ-იქეთ ხურჭინივთ ცყო გადაკიდებული. თურმე ბრძოლით დასხებულთა, რქებგადახლართულთა გაშევლება ამ უზარმაზარმა ხემაც ვეღარ შესძლო. ალბათ ეს ორივესაც სურდა, მაგრამ „რაინდები“ ხეზე ისე გადაეკიდნენ, რომ სიკვდილის დროს ერთმანეთის თვალების მეტი ვერაცერი დაინახეს.

ბელოვეჟის ნაკრძალში კი ერთი უძლიერესი ხარირები რქებზე ამგვარად დაკიდებულ ჩონჩხს მთელი წელიწადი დაატარებდა. ამ საოცრებას ნაკრძალის შესუეურები ხან სად წააწყდებოდნენ და ხან სად. ბოლოს დაინტერესდნენ და ეს „გადოქარი“ ხარირები მოკლეს. მას გადახლართულ რქებთან ერთად მეტოქის გახრწნული ჩონჩხის ნახევარიც თურმე ზედ ეკიდა და ისე დადიოდა. ეს საინტერესო მასალები, ახლა, იდგილობრივი ნაკრძალების მუშეუმებში ინახება და ეჭვი არავის გამარება, რომ ისინი ყვირილობის დროს ფურირებისათვის მეტოქეობით ბრძოლაში დაღუპულებია. ალბათ ამიტომ არის, რომ მყვირალი ხარირები ერთმანეთს ერიდებიან და ერთხელ ამორჩეულ უბნს იშვიათად იცვლიან. ამ წესს ზოგიერთი გათამაშებული, თავის უძლეველობაში დარწმუნებული ხარირები თუ დაარღვევეს. ფურირების გარეშე მყოფი ხარირები ერთმანეთს არ ერჩიან. მაგრამ ყვირილობის დროს ერთმანეთთან მაინც არ მიდიან. ფურირებთან მყოფი ხარირები მთელი ერთი თვის განმავლობაში ხშირად ერთსა და იმავე აღვილს ყვირის. ამ დროს ახალგაზრდა, უფურიდ მყოფი ხარირები კი მორიდებულად იქცევა, ახლოს მისელას ვერ ბედავს, შორიახლი-ტრიალებს და ყვირის. თუ მასთან გაპარული, მალულად მყოფი, ფურირები არ აღმოჩნდა, ორი-სამი დღის შემდეგ სხვა უბანში გადაინაცვლებს, თუ იქაც თავის ცალს ვერ შეხვდა, ისევ ძევლ ადგილს დაუბრუნდება. ასეთ მოხეტიალე ხარირების ყვირილობის ამორჩეული უბანი არ გააჩნიათ.

ლრუბლიან, ქარიან და წევიძიან ამინდში ირემი ხელისათვალი / არ ყეირის. წყნარ ამინდში, განსაკუთრებით მთვარიან დამტესა და ნაწვი-  
მარზე, გამოდარების შემდეგ გამუდმებით ყვირის. **უსარვენულები**

ყვირილობის დაწყებისას ხარირემი ძალიან შემცული არ მოი-  
უპერების გამო სიმსუქნეს ერთ კვირაში კარგავს. ასევე ემართება  
ფურირემსაც, მაგრამ ისე ძალიან არ ხდება როგორც ხარირემი. ის  
სიმსუქნესა და სილამეზეს მაინც ინარჩუნებს, ხარირემი ამ დროს ძა-  
ლიან ულაზათოა. ხორცს სპეციფიკური სუნი იქვე, უგმური და უ-  
არგისია. მიუხედავად იმისა ზოგიერთი სულწასული მონადირე ყვირი-  
ლით აღვილად ავნებს ამ ცხოველს, უსაფრდება და კლავს. ეს ბორთ-  
ტებაა. ამ დროს ნადგურდება ირმის საუკეთესო მოღვარი, კნინდება და  
გადამენების გზაზე დგება სახეობა.

ირმის მაკეობა რვა თვეემდე გრძელდება. შეის-იენისში შობს ერთ  
(იშვიათად ორ) ნუკრს, რომლის სხეული დაფარულია უწესრიგოდ  
გაბნეული თეთრი ხალებით. ნუკრი ამით ეხებება ყვავილოვან გარე-  
მოს და მტრისათვის ძნელი შესამჩნევია, თავდაცვისა და გაღარჩენის  
ეს საშუალება, როგორც ჩანს, ბუნებამ თვითონ უწყალობა ამ კეთილ-  
შობილ ცხოველს.

2 ფურირემი ნუკრს პირველ ხანებში თან არ ატარებს, მას ბალახე-  
ბში მალავს, თვითონ შორისხლოს ძოვს და ტუბუს მოსაწოვებლად  
დროდადრო თვითონ მიღის მასთან. მიტოვებული ნუკრი ზოგჯერ იდ-  
გება, დედის ყურადღების გარეშე თავის ნებაზე დადის. იცვლის იდ-  
გილს და დედა მას ვეღარ პოულობს. ასეთ შემთხვევაში უპატრონოდ  
დარჩენილი ნუკრი ხშირად შრმშილება ან მტაცებლისაგან იღუპება. ზოგჯერ კი მოხეტიალე ნუკრი სუვასაც მიეკედლება ხოლმე.

ერთხელ, ბორჯომის ნაკრძალში, მწყემსმა დილას ხარების შუაში  
ჩაწოლილი ირმის პატარა ნუკრი დაინახა და დაიტირა. ნუკრმა აღა-  
მიანის ხელის შეხება იუცხოვა, დაიბლავლა და განთავისუფლება სცა-  
და. მეხრემ მოუალერსა და გაუშეა. იმის შემდეგ ეს ნუკრი ხარებსა  
და მწყემსს აღარ მოსცილებია, მთელი დღე უკან დასდევდა, რამდენ-  
ჟერმე ტყეში გაგდებაც კი სცადა მეხრემ, მაგრამ ნუკრი ხარებს ეკ-  
ლარ მოაცილა. სალამოს ნუკრი ხარებს სოფელში ჩამოჰყეა, მეხრემ  
ის ნაკრძალს ჩაბარა. ნუკრს ძროხის რძით კვებავდნენ, მალე გაიზარ-  
და, ხალები გაუქრა, რქები ამოუფლა თამ-მი და მოურიდებელი გახ-  
ვ. ალ. არაბული

და, თან ერთი ავი ზე ლაპყვა: ქალს სადაც დაინახაუდა ერთი მა-  
მაკაცს კი ორაფერს უშავებდა, ამიტომ იძულებული გახუნდა ტეში  
ძალით გაეგდოთ.



მსგავსი შემთხვევა მოხდა საგურამის ნაკრძალში: ჩემი მქონე ქა-  
ლის მახლობლად, ტყიდან გამოსული ირმის ნუკრი საძოვარზე მყოფ  
სოფლის ნახირში შეერთა. უცხო ცხოველის დანახვაზე საქონელმა  
ბლავილი ატეხა, აქამ და ნაღირის სუნი უდისო, მიესივნენ და ჩქებით  
სასიკვდილოდ გაიმეტეს. ამ დროს საქონელს ერთი დიდცურიანი  
ძროხა გამოეყო, წაქცეულ ნუკრთან მივარდა, გამოესარჩილა, საქონე-  
ლი მიფანტ-მოფანტა, გასისხლიანებული ნუკრი დაყნოსა, დედური  
გრძნობით მიუალერსა, ჭრილობები აულოკა. ნუკრმაც ივრძნო დედუ-  
რი სითბო და მას მიეკედლა. თურმე ამ ძროხას ახლად მოგებული ხბო  
ჰყოლია და მშობლიური ინსტიქტი ამოძრავებდა. შშიერს ძუძუ მოა-  
წოვა, თან გამოიყოლა და ობოლი ნუკრი თავის ხბოსთან ერთად გა-  
მოზარდა. ეს ირემი შემდეგ კომკავშირული ქალაქის — ბორის ძე-  
ლაძის მეციდრი გახდა.

ირმის ცხიმიანი და ნოყიერი რძე ნუკრს ყოველთვის ჰყოფნის, მა-  
ლე მოღონიერდება, თამამია, ერთი თვის შემდეგ დედას ყველგან თან  
დასდევს, მცენარეთა ნორჩი ყლორტებითა და ფოთლებითაც ივებე-  
ბა და სწრაფად იზრდება. ერთი წლის შემდეგ ტანით დედას ბევრად  
არ ჩამოუვარდება, მაგრამ მოზარდობა მაინც ეტყობა, სექსობრივად  
ორი-სამი წლის ასაქში მწიფდება, ზრდას კი უფრო გვიან ამთავრებს,  
ცოცხლობს 20 წლამდე.

კავკასიური ირემი ჩვენი ფაუნის ყველაზე დიდი ზომა-წონის,  
ძვირფასი და პერსპექტიული სანალირო-სამეურნეო ცხოველია. ის შე-  
იძლება დამკვიდრდეს იქაც, სადაც დიდი თოვლის საფარის გამო სხვა  
ჩლიქოსანი ცხოველები ვერ ძლებენ და იღუპებიან. ირემს კი ერთ მე-  
ტრამდე სისქის თოვლისაფარიც ვერ უშლის ხელს. ამავე დროს ჩვენს  
ტრამდე სისქის თოვლისაფარიც ვერ უშლის ხელს. ამავე დროს ჩვენს

გამეჩერებულ ტკეებში ყველგან უხვადაა ირმის საკვები ბალახი, ნე-  
კერი და მაყვლის მწვანე ფოთოლი.

ჰალებს, სკამებს, მაგიდებსა და სხვა. მოზარდ რქებს ჩუყებს, ხრტილებსა და ასოს გამოიყენებენ მედიცინაში.

მიუხედავად იმისა, რომ ირემზე ნადირობა საბჭოთა წელიწადების დამყარებისთვის აიკრძალა გერ განსაზღვრული წრფული მდეგ განუსაზღვრელი დროით, მისი რიცხობრივი მატება არ მომხდარა. 1963 წელს ირემზე სალიცენზით ნადირობის დაშვებამ კი — ეს ცხოველი კიდევ უფრო გაანადგურა. ამას დაემატა ირმის ნაკრძალებში მგლის დაცვა, სიმრავლე, მისი „სანიტრად“ და „სელექციონერად“ აღიარება, თანაც ბრაკონიერობა. რითაც ირემი კიდევ უფრო შემცირდა. ამის გამო დიდი გულისტკივილია გამოხატული ხალხური მთქმელის — წორნა ვეძისპირელის ლექსში „ქორბუდას ჩივილი“:

კაცებისონის შედებო.

ლალიან-ბარაქიანო.

მაგ თევენ კალთებზე ვშობილვარ,

ქორბუდას მეძახიანო.

მტერი ისედაც ბრვრი მყავ,

შენ რად მმტრობ, კაცო ღვთიანო.

არა გოხოჯ სასმელ-საჭმელსა,

არც ბინას გთანაზიაზობ.

ჩემ საზროლის მე იქ დავვეძებ,

კლდე რომ ჩამოსდგამს ლრიალო.

ლამის სათევად შენგან შორს,

კლდი-ლრები დავხეტიალობ.

ჩაშ შენ რას გიშლი. მაცალე,

ამ ქვეყნად ლაღად ვიარო.

შეც ამ ბუნების შეილი ვაჩ,

რას მერჩი, ადამიანო?

საბოლოოდ საქართველოში კაცებისური ირემი იმდენად შემცირდა, რომ საჭირო შეიქნა მისი „წითელ წიგნში“ შეტანა, მაგრამ ეს ღონისძიება და ნადირობის აკრძალვა მას მაინც ვერ უშველის. ირმის რიცხობრივობის აღდგენისა და შენარჩუნებას ზოგიერთ ადგილებში

სელექციური ღონისძიებების გატარება დასჭირდება, ზოგადადაც: ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალში, მტკვრის ჭალაში და საგუბრეთი ნაკრძალში, ადამიანის პირდაპირი და არაპირდაპირი ზეასტრონომიური შეინძუდა ირმის გავრცელება, მოხდა ირმის დიდი ჭრის უსტარესობის შეკვეთები, რამაც გამოიწვია ირმის პოპულაციის დაკინება-გადავარება. საჭიროა ამ ადგილებში მწარმოებლების შეყვანა, პოპულაციის განახლება, გაჯანსაღება. ამავე დროს უნდა შეიქმნას ირმის სამონადირეო მეურნეობები. უნდა შემოვიყვანოთ იზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის ჩესპებლიკებიდან, შეიძლება მისი გადანაწილება ლაგოდების ნაკრძალიდან ბორჯომის ნაკრძალში და სხვაგან. ირმის ნაკრძალებსა და სამონადირეო მეურნეობებში სისტემატიურად უნდა ევბრძოლოთ მრაცებლებს — მგელსა და ფოცხვერს.

საქართველოს ბუნებრივ პირობებში ირემი ადვილი მოსამრავლებელია. აქ მთავარი კავკასიონის ჩრდილო კალთებიდან თვითონაც შემოდის, და თუ სიმუტლროვე შეხვდა, რჩება კიდეც. ასე მოხდა ამ ბოლო წლებში ლაგოდების ნაკრძალში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შემოსული ირემი ჩვენი ბუნების მკვიდრი მობინადრეა და ახლავე ჩვენად მივითვალოთ.

ირმის მოშენება-მომრავლების საქმეს დროულად უნდა მიექცეს ყურადღება, რადგან იგი სამონადირეო საერთგულების ათვისებია და რეცხველების პროდუქციის გაზრდის დიდ პერსპექტივის ქვეშ. ამერა-  
• მან საქართველოში ირმის სამონადირეო საერთგულს ერთ მილიონა-  
მდე ჰქექტარი უკავია. ამ საერთგულში ყველგან არა ირემი, მისი დასხელების საშუალო სიმჭიდროვე პირითადად ნაკრძალების სარჩევ მოდის და 1000 ჰქექტარზე 0,6—0,8 სულამდე იანგარიშება, საერთო რაოდენობა კი — 700—800 სულამდე. ბუნებრივი შესაძლებლობით ირმის დასხელების საშუალო სიმჭიდროვე ყოველ 1000 ჰქექტარზე შეიძლება 15—20 სულამდე გაიზარდოს, საერთო რაოდენობა კი 20—30 ათასამდე. მაშინ შესაძლებლობა გვექნება ყოველ წელს გეგმურად მოსაპოვებელი 5—6 ათას სულამდე ირემი გაყიდეს და სახელმწიფოს 300 ტონამდე ირმის ხორცი ჩავაბაროთ.

ଶ୍ରୀନାତ୍ମକ, ଦୟାଳୀ ଶ୍ରୀ ଶ୍ରୀମତୀ ମହିମାନୀ, ଶାର୍ଣ୍ଣପଥ  
ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ସିଦ୍ଧିର ଜୀବନକିର୍ତ୍ତମାଣ ଦେଖିଗଲା ଏହି ଅଭ୍ୟାସମଳ୍ପି!...

ప్రాణికులు

შეელი ირჩების ოჯახის წარმომადგენელია. ცენტრულია თავდღე სახეობისა და ქვესახეობის შეელი, აქედან საბჭოთა კავშირის ფარგლებში გვხვდება ხუთი. საქართველოში გავრცელებულ შეელს ეკროპულ შეელს უწოდებენ, მაგრამ სინამდვილეში, აქ ორი კარგად განსხვავებული: მცირე აზიურ-ევროპული შელისა და შეუა აზიურ-ციმბირული შელის ფორმებია გავრცელებული. ერთში ევროპული შელის მორფოლაგიური ნიშნები სჭარბებს, ხოლო მეორე მორფოლოგიურად და ზომა-წონით, ჩრდილო კავკასიურ შეელს ჰგავს, რომელიც ციმბირულ შეელთან უფრო ახლოს დგას და ლიტერატურული მონაცემებით თითქოს აფხაზეთამდეა გავრცელებული. ჩვენ ეპევი არ გვეპარება, რომ ეს იგივე ძალისიც შეელია იმ განსხვავებით, რომ ჩვენთან გავრცელებული ფორმა ოდნავ პარტაა, ნამდვილ ევროპულ შეელზე კი მდენადვე დიდია (ასეთი განსხვავებები თვით საქართველოს სხვადასხვა აღვილებში მობინალრე შელებშიც შეინიშნება) და გავრცელებულია არა მარტო აფხაზეთამდე, არამედ მთელ კავკასიონშე — საქართველოს ტუებში. ცივ-გომბორისა და დვალეთის ქელზე უფრო გამოკვეთილადაა. როგორც ირკვევა შეელში ეს მორფოლოგიური განსხვავებები აღვილობრივი რელიეფისა და სხვა ეკოლოგიური ფაქტორების გავლენით უფროა შემონახული და გმირუცებული. აღმასათ იმიტომ, რომ შეელი ჩვენთან მობინალრეობით ხსილდება, შეინიშნება, რომ შელის ეს ფორმები თანდათან ერთმანეთს ერწყმის და ერთი ეკოლოგიური ნიშან-თვისებებით ხსილდებან. გვხვდება გარდამავალი-შუალედური ფორმებიც. მიტომ უფრო სწორი იქნება სამართველოში გავრცელებულ შეელს ამიტრკავკასიური შეელი გუწილოთ და არა ევროპული.

საქართველოს ფაუნაში, ჩლიქოსნებს შორის, რიცხოსრივი სმ-რავლითა და სარეწაო მნიშვნელობით შევლს პირველი აღვილი უკავია, ამგვე დროს, დეკორატიული მნიშვნელობაც აქვს. იგი ჩვენი ტურისტის მშენებაა, ლამაზი, ფაქიზი და მოხდენილია. მისი სტულის სიგ-

სრე 114—125 სმ-ია (დედალი შეველი მამალზე 5—10 სმ-ით გაფეხოვა, სიმაღლეში კი პირიქით), მხარში სიმაღლე 72—80 სმ აღწევს, თუმც ჭალას უდიდესი სიგრძე — 114—213 მმ-ს, ცოცხალი უფრო უდიდესი. მამალს 20—28 სმ-დე სიგრძის სამ ტოტიანი რქებულებულები (უფრო ვითად) დედალ შეველსაც ამოსდის, მაგრამ მისი რქის სიგრძე 8—10 სმ არ აღემატება, თანაც უტოტო და წვერში ხორცლიანია. შეველი რქებს ყოველი წლის ნოემბერ-დეკემბერში იცელის. ახალი მაღალ უცითარდება, რქა პირველად ნაზი და რბილია, შემოსილია კანითა და ბუსუსით. მასის-ცნისისათვის რქა ზრდას ამთავრებს, გამაგრდება, კანი და ბეჭვი ძვრება და უკვე ნორმალური რქა გამოუჩნდება. შეველი გაზაფხულის ბეჭვის ცვლასაც ამ პერიოდში, იცნისისათვის ამთავრებს და უკვე მოწითალო-წაბლისფერია. შემოდგომის ბეჭვის ცვლა კი ოქტომბრის ბოლოსათვის მთავრდება და ზამთრის ბეჭვი რუხ-ქარცი-ფერ შეფერილობას დებულობს. დედალ-მამალი შეველი შეფერილობით ერთმანეთისაგან არ განსხვავდება.

საინტერესოა, რომ შემოდგომის ბეჭვის ცვლა დაკავშირებულია კვებასა და შემოდგომის ფერისცვალებასთან. ოქტომბერში შევლის საკედა რაციონში, როცა ხე-მცენარეთა ტოტები და ყლორტები, ე. ი. ნეკერი მოჭარბდება, ბეჭვის ცვლაც ეწყება და ფერისაც. შვლის რუხ, ტანზე აქა-იქ შერჩენილი, ზაფხულის მოწითალო-წაბლისფერი ბალანი, ჩიმოცვენილ წიფლის ხმელ ან სხვა ხის ფოთლებს ჰვავს და შეველი გარემოსთან ძნელი გასარჩევია. ასევეა ნუკრიც, რომელიც მაშინ იბადება, როცა ბუნება ყვავილებით თვალის მომჭრელადაა მოქარგული და დამშვენებული. მისი, თეთრად დაწინუქლული ხალებიანი ზურგი, საუცხოოდ ენამება ყვავილოვან გარემოს და უძრავად განაბული ნუკრი მტრისათვის ძნელი შესამჩნევია. მას სამ მწკრივად განწყობილი ხალები ხუთი თვის ასაკამდე ემჩნევა (ზოგიერთს კი ორ თვე-მდე უქრება და მოჩალისფრო ხდება). ზამთრის ბეჭვის ცვლის დაწყებისას თანდათან ხუნდება და ოქტომბრის ბოლოსათვის ნუკრიც ჩვეულებრივ რუხი შეფერილობისაა. ამ დროისათვის მამრს 8—10 სმ სიგრძის უტოტო რქები ამოსდის, რომელსაც ნოემბრის ბოლოს იცელის (საერთოდ ახალგაზრდები 10—20 დღით ადრე იცელიან რქებს და ბეჭვს, ვიდრე სანში შესულები, ფიზიკურად სუსტები და გამზღვები კი კი-დევ უფრო გვიან). მომდევნო წელს ვაცს უტოტო 12—15 სმ. სიგრძის

რქები ეზრდება და სქესობრივადაც მწიფდება. ორი წლის შემდეგი კი კარგად განვითარებული 20—23 სმ სიგრძის ორტოტანი აქვთ აქვს. სამი წლის ასაკში — სამტოტიანი, სრულყოფილი რქები გაზიდება. მის შემდეგ რქებზე შტოთა რიცხვი აღარ ემატება, მაგრა შემთხვევაში შეელს შეიძლება სხვადასხვა ფორმის და შემთხვევაში რქები განუვითარდეს ან დამახინჯებული ვადმყოფური სახე მიიღოს (ჯავშის ფორმის, ბრტყელი, რამდენიმე ამონაყრიანი — ბუჩქის მავარი და სხვა). ეს დამოკიდებულია არა მარტო ინდივიდზე და მის ჯანმრთელობაზე, არამედ რქის ზრდის დროს დაზიანებაზე. საკვებ რაციონში შემავალ მინერალური მარილების რაოდენობასა და შემაღენლობაზე, მიკროელემენტების რაოდენობაზე და სხვა.

ახორციელი ცვლილებები შეიძლება იყოს შეელის შეფერილობაშიც. და ზამთარში ჩვეულებრივ რუხი ფერისაა, ზაფხულში კი უღალი ფერის. მოწითალოა, მაგრამ შეიძლება შეგვევდეს: მურა-მოშაო, მუქი-ქარცისფერი, თეთრი და სხვა ფერის შეელი. წლის სეზონის, ზამთარ-ზაფხულის მიხედვით ცვალებადობს მისი „თეთრი სარკის“ (ტლოკვებზე კუდის გარშემო სითეთრე) შეფერილობა და ზომაც, რაც აგრეთვე ამ ცხოველის ორგანიზმისა და გარემოს მტკიცე ურთიერთობასა და შეხამებასთანაა დაკავშირებული: ზამთარში „თეთრი სარკი“ 15—18 კვ. სმ დიამეტრამდეა გაზრდილი, რომელიც დაფრთხობის დროს აეჭინება ხოლმე და უფრო დიდი ჩანს. ამიტომ შემოგომაზე და ზამთრობით უთოვლო აღვილებში მოძრავი შეელი შორიდანაც აღვილი შესამჩნევია (ამ დროს ის სირბილითაც აღვილად იცავს თავს), სამავიროდ ზამთარში, თოვლში მდგომი ან მწილარე, რუხი, წიფლის ქერქისფერი შველი უკანა მხრიდან ძნელი შესამჩნევია: ვავაზე სითეთრე ერთი შეხედვით ხეზე დადებულ თოვლსა გავს, აშვერილი ყურები და რქები კი ორკაპ ხეს. ამიტომაც განაბული შველი ძნელი შესამჩნევია, დაეჭირებულ მონადირესა და მტაცებელს ამით ხშირად ატყუებს.

ზაფხულის ბეწვის ცვლის დროს შველს „თეთრი სარკე“ 7—8 კვ. სმ-დე უმცირდება, უმცირთალდება და ხშირად მთლიანად უქრება. მისი ბეწვის ახეთი სეზონური ცვალებადობა ერთგვარად ეწინააღმდეგება იმ აზრს: თითქოს „თეთრი სარკე“ იმიტომაც აქვს შველს. ორმნუქრმა დედა აღვილად დაინახოს, ან ჩამორჩეს, მიაგნოს და ამ ვზიო

თავისი შთამომაცელობა და მოლგმა გადასრჩინოს. საქართველოს, რომ  
ზაფხულში, ნუკრიანობის დროს, შველს, როვორც აღმოჩენილი იყო სი-  
თეთრე თითქმის ოპტ ეტყობა. ზემორისათვის კი ნუკრები მშობლებს  
ტანითა და სიჩბილით არ ჩამორჩებიან და მათ თვალისწიფრ წულები მდიდარი  
„თეთრი სარკე“ ძევთ. მაგრე დროს დიდი „თეთრი წულები წულები წულები“  
რომელიც ნუკრების ოზრიდაში საერთოდ არ მონაშენდეობს. მ პერი-  
ოდში იგი ცალკე ცხოვრობს და იშვიათად გამოჩენდება რომელიმე ოჯ-  
ახთან.

შველის „თეთრი სარკეს“ შესახებ აჭარაში ასეთი ლეგენდა არსე-  
ბობს: ეგვიპტის ტყეში ორმოცმა მონადირე ებრეელმა ნადირობისას  
ერთი დედა შველი დაკვირეს, ცხენზე დაკრეს და წილიანეს. გზაზე  
ლმერთისაგან გამოგზავნილი წინასწარმეტყველი მუჰამედი შემოხვე-  
დათ. ცხენზე დაკრული თვალცრემლიანი შველი რომ დაიხსნა, შეეცო-  
და; მონადირეები შეაჩერა და შველს ჰქონდა, რა გატირები? შველ-  
მა უპასუხა: ტყეში უსუსური ნუკრები დამრჩა, ისინი ძებნას დამწე-  
ყებენ, ვერაფერს შექმენ. შიმშილით დაიხოცებიან და იმათი საცო-  
დაობა მატირებსო. შეჰამედმა უთხრა მონადირეებს: წავიდეს, შეი-  
ლებს აჭაროს. მე ვიწნები თავდები, ალალ-მართალი ცხოველია, უცი-  
სიტყვას არ უდალატებს. ისევ დაბრუნდებათ. მონადირეებმა პირე-  
ლად უარი უთხრეს, მაგრამ მუჰამედი რაჯი შეეხვეწა, ხელწერილი მი-  
სცა, მათ წინაშე პასუხისმგებლობა თვითონ იყიდა, ებრეელებსაც ეს  
უნდოდათ და შველი გაუშევეს. შველს მუჰამედმა უკან ხელი მიარტყა  
და გააგდო. ეს „თეთრი სარკე“ მუჰამედის ნახელარია, მშობენ.

შველმა სიტყვა არ გატეხა, ნუკრებს მოაწოვა და ისევ უკან დაბ-  
რუნდა. ებრეელებს კი, რახან მუჰამედის დატყვევება სურდათ, შველის  
დაბრუნება აღარ იშვიობდათ და მას ხაფანგი დაუგეს. შველი ხაფანგში  
უკანა ფეხებით გებდა და მუხლებთან კითომ ეს ნახუნდარი ატყვია.  
საიდანაც თურმე იოდი სდიოდა და ჭრილობას თვით ჰკურნავდა. სინამ-  
დვილეში შველი იქედან და ჩილიქთაშორისიდან, საჟიროების დროს  
სპეციფიკურ ოფლის მაგვარ ნივთიერებას მართლაც გამოყოფს. რი-  
თაც თავისი კვალის სუნს ფარავს, რომ მტერმა არ მიაგნოს. ბორბი-  
სას კი იქედან გამონაყოფი სითხის სუნით ერთმანეთს აგნებენ. საყუ-  
რადლებო ისაა, რომ ხალხი ამ ცხოველის ბიოლოგიას ოდითვანვე ას-  
ეთი ყურადღებით აკვირდებოდა და თავისებურად ხსნიდა.

შველს 30 სმ-მდე სიგრძის მოლერებული კისერი და პიტარა, ლამაზი თავი აქვს, მოგრძო ცხვირის წევრი და თვალითი კი უნისა-რად შავი. ყურები შედარებით დიდი 15 სმ-მდე სიგრძისა და 5—6 სმ-მდე სიგანძისა, მკერდი აკვალთული და განიერი, ფართული მუჭატელი და მაღალი აქვს. უკანა კიდურები უფრო მძლავრებელი ყველა მასშტა-ბული, ვიდრე წინა. ამიტომ აკეთებს 5—8-მეტრიან ლამაზ ნახტომებს და მკვირცხლად მოძრაობს. ნელი სიარულის დროს კი მისი ნაბიჯის სიგრძე 80 სმ-ს არ აღემატება. ჩლიქების სიგრძე 4—5 სმ-ს, სიგანე კი 3—4 სმ აღწევს. ჩლიქის ბალიშები სუსტად აქვს განვითარებული. კოლხეთის დაბლობზე, ჭაობიან აღვილებში მობინაცერე შველს, სარ-სებო გარემოსთან შეკუების გამო, ჩლიქები უფრო გრძელი და ფარ-თო აქვს, ჩლიქის ნახევრები 10—12 სმ-მდე იწევა განზე. გვერდითი ჩლიქებიც გრძელი აქვს, კარგად აბჯენს, საჭიროების დროს თითებს იხვივით შლის განზე და ჭაობში ღრმად აღარ ეფლობა.

ენიერ შველს გაუხეშებული და უსწორ-მასწოროდ წაზრდილი, ახალგაზრდებს კი უფრო თანაბრად განვითარებული, ოვალური, ლა-მაზი მოყვანილობის, შავი პრივატური ჩლიქები აქვთ. საერთოდ ჩლიქის გარეთა ნახევარი სიგრძით ოდნავ ჩამორჩება შიგნითას.

შველი გავრცელებულია შეა და სამხრეთ ევროპაში, წინა, შეა და ცენტრალურ აზიაში; სამხრეთ ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთ-ში (სახალინის გარდა), მონლოლეთში, ჩინეთში, პალესტინაში, ჩრდი-ლო ირანში და სხვაგან.

საქართველოში შველი ძირითადად მთის ტყეებში ბინადრობს, (500—2300 მ ზ. დ. ფარგლებში). წირსულში ჭალის ტყეებშიც მრავ-ლად ყოფილა გავრცელებული, ამდენიდ კი. გარდა კოლხეთის დაბ-ლობზე — მდინარე რიონის სანაპირო ტყეებისა, ალარსად გვხედება, იქაც მხოლოდ ლანჩხუთის რაიონის იმნათის სამონაღირეო მეურნეო-ბაში, ფოთისა და ხობის რაიონების საზღვრებში ბინადრობს. ერთე-ულები უვედება ცხავისა, კალადიდასა და ზეგდიდის კურისა სამო-ნადირეო შეურნეობებში (0—50 მ ზ. დ-ზე). მისი არეალი მთის ტყე-ებშიც წყვეტილია, საერთოდ არ არის მდინარე ენგურსა და რიონს შორის მდებარე ტყის მასივში: წულუკიძის, გეგმეკორის, ლეჩხუმისა და სენეთის რაიონების საზღვრებში. (სვანეთში, ენგურის ზარკვენა მხარეს, მხოლოდ ერთ უბანში — ორმელუთის ტყეშია შემორჩენილი).

შველი საერთოდ არა ისეთ რიცონებში, სადაც ტყე ნაკლიერად ყაშ-ბეგის, წითელწყაროს, მარნეულის, ახალქალაქის, ბრგავანობის / და ნაწილობრივ გარდამნის რაიონში. თითო-ოროლა გვევლება ახალურ-ხის, ამბროლაურის, ონის, თუშეთისა და ცივ-გოგმის 1350-ებუ-ებში. დიდი თოვლის გამო მცირედაა ტარის მთის ტერიტორიული ეროდ შველი მრავლადაა: მთავარი კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ტყეებში: ლაგოდეხის, ყვარლის, თელავის, ახმეტის, თიანეთის, ლუმე-ტოს, ლენინგრდის, ცხინვალის, ჯავის, ოჩამჩირის, სოხუმის. ვუღა-ტისა და გაგრის რაიონების ტყეებში. ბევრია აგრეთვე მცირე ფაუნა-ონზე: ჩოხატაურის, მახაჩაძის, ვანის, მაიკონის, ბორჯომის, ხაშუ-რის, კასპის, თეთრიშვილისა და ბოლნისის რაიონების ტყეებში — ქციისა და ხრამის ხეობებში.

1975 წელს დიდოვლიანმა ზამთარმა მნიშვნელოვნად შეამცირა შველის რიცხობრიობა. მარტო არაგვისა და ქსნის ხეობებში: ფასანურ-შველის რიცხობრიობა. მარტო არაგვისა და ქსნის ხეობებში: ფასანურ-შველის რიცხობრიობა. მაღაროსკარში, ბარისახოში, ლენინგრადისა და ცხინვა-ლში დაჭერა-დატყვევებით, აგრეთვე მგლებისა და მაწანწალა ძალე-ლში დასავან, სოფლების ახლო-მახლოს ასზე მეტი შველი დაიღუპა, დაზე ბევრად მეტი, ცხადია. აღურიცხავი დარჩა.

შველი ტყის ბინადარია. გამოღის ტყეთა შორის ველობებშიც, ადის სუბალბური ზონის მდელოებამდე, მაგრამ ტყეს შორ მანძილზე არ სცილდება. თავშესაფრად ისეთი ტყე ურჩევნია, სადაც ახალი აღ-მონაცენი ბლომადაა და ამავე დროს შვეტყე ხშირი და გაუვალი არაა. განსაკუთრებით უყვარს: წიფლნარ-მაყველიანი და უოლო-იანი, წიფლნარ-მოცეიანი, წიფლნარ-გვიმრიანი, წიფლნარ-ჩუბილნარი, წიფლნარ-უთხოვერიანი, მუხნარი, წაბლნარი და თხილიანი ტყე, სადაც ბუერა და სხვა ბალახიც კარგად ხარობს. აქ ადგილალ პოულობს საკვებ-ბუერა და სხვა ბალახიც კარგად ხარობს. ასეთ ადგილსამყოფელს, თუ სამხრეთ-დასავლეთ სა და თავშესაფარს. ასეთ ადგილსამყოფელს, თუ სამხრეთ-დასავლეთ ექსპოზიციის პირმზითი აღვილები, თანაც წყლები და მლაშე სალოკა-ვები ახლავს. შველი აღვილს არ იცვლის და მუდმივად ბინადრობს. ვები ახლავს. შველი აღვილს არ იცვლის და მუდმივად ბინადრობს. ასე-ცენი, შველი არ ჩერდება, მას მხოლოდ დასასვენებლად იყენებს. ასე-ცენი, შველი არ ჩერდება, მას მხოლოდ დასასვენებლად იყენებს.

შველი ოჯახით მობინალრე ცხოველია. ციმბირში შემთხვევასა და გაზაფხულზე ახდენს (50—100 სული ერთად) სამიგრაციო დაჭ-გულებას. ადგილგადანაცვლებისას რამდენიმე ჯგუფია საშროებელ თავს ერთად იყრის, უზარმაზარ მდინარეებსაც კრისტალების შემცირების ქა-ქართველოში კი მხოლოდ 4—8-სულიანი შველის ჯგულები გვხვდება, ისიც ზამთარში, როცა თავშესაფარი გახუნებულია და თავდაცვისათვის მეტი სიფრთხილეა საჭირო. ამეამად შველი ჩვენთან უმეტესად ოჯახით (2—4 სული ერთად, მშობლები და ნუკრები) ბინაღობს.

ჯგულთან და ოჯახთან ერთად იწვრთნებიან ნუკრები, მტრის გა-მოცნობას სწავლობენ, სიფრთხილესა და გამოცდილებას იძენენ.

გაზაფხულზე, როცა ტყე გაფოთლილია და ბალახი ბიბინებს, შველისათვის ყველგან ხელსაყრელი თავშესაფარია, შველის ჯგუფი იშ-ლება, ოჯახს პირველ რიგში ვალი გამოეყოფა და ცალკე ცხოვრობს. დედა-შველი კი ნუკრებთან რჩება და მათზე ზრუნავს. ზოგჯერ ოჯა-ხის შორიახლოსაა ვაციც. რომელიც საშიშროების დროს პირველად გარბის, მტაცებელი ან მონალირ ძალიც მას გაედევნება ხოლმე და ოჯახს საფრთხეს არიდებს. ასეთ შემთხვევაში ხშირად დედა-შველიც ხდება მტაცებლის მსხვერპლი.

ერთხელ, საველ გამოკვლევების დროს, ცივ-გომბორის ქედზე, ზედამთის ტყეში ვიყავი. დილით ადრე ტყის პირას გამოსული ორი ნუკრი დედის შორიახლოს ლალად დაუუნტრუშობდა. დედა-შველი ფრთხილად სძოვდა ბალახს, ხშირად ასწევდა ხოლმე თავს და გაფა-ციცებით იხედებოდა ირგვლივ. მე კარგა მოშორებით ვიყავი განამუ-ლი და უფრო კარგად რომ დამენახა, ჭოგრით ვაკეირდებოდი, მაინ-ტერესებდა. რამდენი ნუკრი ჰყავდა ერთ დედას, როგორ კვებავდა მათ, რამდენ ხანს აწოვებდა ძუძეს, ორივე ნუკრს ერთად აწოვებდა თუ ცალ-ცალკე, იყო თუ არა მათთან ვაცი-შველი და სხვა.

ამ დროს ტყის სიჩუმე მტრედის ლულუნმა დაარღვება. ამ ხმით ვი-სარვებლე-ფოტოაპარატი მოეიმარჯვე და წინ ვადავინაცვლი. უცბად მოშორებით ვაცი-შველი შევნიშნე, თავი მაღლა ასწია. მოგლეჭილი ფოთოლი პირში შერჩა და მოპირდაპირე მხარეს რაღაცას დააშტერდა. საქმაოდ შორი მანძილიდან ფოტოთოფით ერთი-ორი სურათი მა-ინც ვადავილე და ძალაუნებურად მეც იქით ვავიზედე. საითაც შველი იყურებოდა. მალე მაყვლის ბუჩქებთან განაბული. მიწაზე გართხმუ-

ლი რუხი ფერის სხეული შევამჩნიე, რომელიც ჯერ ისე შეელი მე-  
გონა, შემდეგ — ფოცხვერი. მაგრამ როცა ამოძრავდა, დოკომუნდი,  
რომ მეგლი იყო. ამან უფრო დამაინტერესა, თან წოუთმ ზლობა და-  
მეუფლა. ვატუობდი შვლებს უბედურება უახლოედ მოუკრული ამ  
მომენტის ფირზე აღნევდის საშუალება არ მექონიტული მისამარ-  
და შორი მანძილისა, მაღალი ბალახიც მიშლიდა ხელს. დამურტხალი  
შვლები კი მაშინვე ტყეს შეერეოდნენ და მერე ვინ იცის. იქ რა მოხ-  
დებოდა.

უცბად დედა-შველმაც იგრძნო საფრთხე, ხმამაღლა დაიხავლა.  
ნუკრები მაშინვე დედას ამოფარნენ. აღარც მგელმა დაცული სწრა-  
ფად ისკუპა მათკენ. სწრაფი სირბილით დაიმედებული ვაცა პირველი  
გავარდა და მოკურცხლა, დაფეთებულმა მგლის ცხვირშინ მინდორი  
გადაკეთა და ტყეში შევარდა. მგელს მისთვის ყურადღება არც მიუქ-  
ცივია, არ გასდევენებია, ალსათ რცოდა, რომ ვერ დაეწეოდა. მან თა-  
ვიდანვე ნუკრიანი დედა ამოილო მიზანში.

შველმა ძალიან სწრაფად სირბილი იცის. მგელი მას ადგილად  
ვერ დაეწევა. ნუკრებიც მოზრდილები იყვნენ, მაგრამ ბალახი უშლი-  
დათ ხელს, ვერ გარბოლნენ და იქვე გაიფანტნენ, დამალვა სცადეს,  
დედამ შვილები ვერ მიატოვა, რამდენჯერმე გვერდზე გადახვევით  
მგლის გატყუებაც კი სცადა, რომ ნუკრები გადაერჩინა, კინაღამ პირ-  
ში ჩაუვარდა მტაცებელს. ერთხელ თითქოს მისწვდა კიდეც მგელი,  
პირი წაატანა, შველი სასწაულად გადაურჩა გვერდზე გატომით. ის-  
ევ სისწრაფემ უშველა. ეს ყველაფერი ისე მოულოდნელად და მოჩ-  
ვენებასავით მოხდა, რომ მე ფოტოაპარატის ხმარება სრულიად გადა-  
მავიწყდა და ყოველგვარი ინტერესი და გატაცება ასევე სწრაფად  
თოთვის ხმის ექისთან ერთად გაქრა.

შველი, როგორც ზამთარში, ისე ზაფხულში შუალამისას და შუა-  
დლისას ნაკლებ აქტიურია. ამ დროს ის უკვე მაძღარია და ისცენებს.  
მას კვების გარკვეული დრო არ გააჩნია; ულრან ტყეში. როცა მო-  
შვიდება, მაშინ ძოვს. ტყის პირებსა და ველობებში საკედად დილა-  
სალამოს იმიტომ გამოდის, რომ სხვა დროს მტრისა ეშინია. მისთვის  
საშიშ ადგილებში ძოვს აღრე, გათენებამდე იწყებს და 7—8 საათი-  
სათვის უკვე მაძღარია, წევს და ისცენებს. ზამთარში უფრო მეტად  
მოძრაობს, ვიდრე ზაფხულში. ზაფხულში ერთ ამორჩეულ აღვილზე

ბინადრობს, სამყოფელს იშვიათად იცვლის, რაღაც საკუთრივი თავშესაფრითაა უზრუნველყოფილი.

შველი საკვებზე დიდ სიხარბესა და მოთხოვნებული წარმომავლებს. ცოტას ჭამს და მალ-მალე, ჯერზე ერთ-ორტმა და უფა ჰყოფნის. ბალას, როგორც იჩემი და ღორი, მოლიანად კი არ ძოეს ფაქიზად და ზერელედ კორტნის ფოთლებსა და ყლორტებს. ზოგჯერ კი ისეთ უხეშ საკედს ჭამს (ხის ხმელი ფოთლები, ქერქი, მღვრები, ხავსი და სხვა), რომელსაც სხვა ცხოველები არ ეტანებიან. უპირატესობას კი მარც ხის ნედლ ფოთლებსა და ყლორტებს ანიჭებს. ჭამს ხე მცენარეთა ნაყოფსაც: წიწიბოს, რკოს, წაბლს, პანტის, მაც ლას, ტყემალს, შვინდს, კუნელს, მოცეს, ძმერხლს, უთხვარს, აკა ლას, მცყვალს ეოლოს, ძახველას, დუდგულას და სხვა.

შევა ღია, უტყიო ველზე საერთოდ არ ბინადრობს, იშვიათად თუ გადიოს სა მაშინაც დიღხენს არ ჩერდება. არ უყვარს მარალმწვანე ბუჩქნარი, პარლებში და მაღალ ჩილა-ბალაში ყოფნა და წოლა რაღვან იქ ა ნ შერ მანძილზე ეკრ იუურება. სამყოფად და დასასვენებლად ხმა ისეთ შემაღლებულ გორაფებიან დღიულს იჩხევს, საიდნაც ხდება: რე მეტია და გარემო კარგად მოჩანს. თვითონ კი ყოველთვის ხის, კუნძის ან ბუჩქის მოფარებით ისე წევბა. რომ თავის ნაკარევზე მისელის მხერეს იცქირებოდეს. საწოლს წინა ფეხებით მოხარის, ფოთოლს მიწამდე გადაქვექავს და ისე წევბა. ვაწმეორებით რჩოს და იმავე საწოლში არისოდეს დაწვება, მას ყოველთვის ხელა-ზე იკრებს. მით მისი ნაწილი და ნამყოფი ადგილი გამოსაცნობია.

შველი ძალზე ფრთხილი და სწრაფია. მის ძალიან მახვილი სმენა და უნისეა, ქვეს. მტრის მოახლოვებას შორ მანძილიდან გრძეობს. ღა-ლის ძალიან ფაქიზად, ფეხაკრეფით. მის ყურადღებას ბუნებაში ფოთლის უჩვეულო, უბრალო მოძრაობა და ფაჩუნიც კი არ გამოეპარება. საშიშროების ღროს ელვის სისწრაფით გარჩის. ერთი ნახტომით ზედ გადაეცლება მოტეხილ ხეებსა და პატარა ხრამებს. მონადირეს მოლანდებასავით მოეჩენება და სშირად იმეღვაცრუებულს ტოვებს. მის ძალვაზეა ხალხური ნათქვამი:

წე წახე:ლ ნაღირობადა,  
ვამოვისტება შველა,  
წამოხვალ გატრებელა,  
აზირშრლი და სეელა.

მხოლოდ ისაა შეველის უბედურება, რომ შიშისპანი და ფრთხებული ორიენტაციის აღვილად კარგას, უგზო-უკვლოდ გარიბი და როგორ თავის მტერს შეეფეობა ხოლმე.

არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში უკიდურესად  
შემცირდა. ომის წინა წლებში თუ ყოველწლიურად 8000-მდე გარე-  
ულ ღორს მოიპოვებდნენ, ახლა სალიცენზიონ ნადირობით 1000 ცალ-  
საც ვაღიარ კლავენ. ეს ძვირფასი სარეწაო ცხოველი როგორც იტყვი-  
ან თვალსა და ხელს შუა გვიქრება. ამ ძვირფას გენოფონდს უკვე  
ადამიანის ყურადღება და ხელისშეწყობა სჭირდება. უნდა გვახსოვ-  
დეს, რომ, თუ ნამდვილი — წმინდა სისხლის გარეული ღორი არ გვი-  
ყოლება, ჩვენ მთავორიან ტყის სამონადირეო სავარგულს. რომელსაც  
ორ მილიონამდე ჰექტარი უკავია, სრულყოფილად ვეღარ ავითვი-  
სებთ და დიდად ვიზარალებთ. ამერამდ ამ ფართობზე ამიტრავესიუ-  
რი გარეული ღორი უკელვან არ მოიპოვება, იგი არათანაბრადაა გა-  
ნაწილებული. დასახლების საშუალო სიმჭიდროვე ყოველ 1000 ჰექ-  
ტარზე 1—2 სულამდე მოდის, საერთო რაოდენობა კი 2000 სულს არ  
აღემატება. ამიტომ საჭიროა მისი წითელ წიგნში შეტანა და დაცვა-  
მომრავლებაზე ზრუნვა.

ბუნებრივი შესაძლებლობა გვკარნახობს, რომ საქართველოს  
სხეადასხვა კატეგორიის სამონადირეო სავარგულში გარეული ღორის  
დასახლების საშუალო სიმჭიდროვე ყოველ 1000 ჰექტარზე შეიძლე-  
ბა 15—20 სულამდე გაიზარდოს, საერთო რაოდენობა კი 20 ათას სუ-  
ლამდე, მაშინ შესაძლებლობა გვექნება, ყოველ წელს გეგმიურად  
6—7 ათასამდე გარეული ღორი მოვიპოვოთ და სახელმწიფოს 350  
ტონამდე ხორცი ჩავაბაროთ.

გარეული ღორის დასახლების სიმჭიდროვე როცა 1000 ჰექტარ-

ზე 30 სულს გადააჭირბებს და სავარგულში განსახლების სამართლება აღიარა, გამოხშირვა (ნაღირობა ან დაჭერა და სხვა ადგილებში გადაყვანა) აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ბუნება თუ ითომ ახდენს გამოხშირვას, ხშირად ავადმყოფობა უჩიდებზე და მაგრამ გადაუდინებელი ინდივიდთა რაოდენობა მინიმუმამდე მცირდება. მას შემდეგ მრავალი გვაქვს: 1914 წელს მტკვრის ჰალაში (ყარაიაზში), როცა გარეული ღორის რიცხვონობამ მაქსიმუმს მიაღწია, ჭირისაგან მთლად განადგურდა. ასევე დიდი ზარალი მოუვიდა აქ მობინადრე ღორის 1978 წელსაც. 1956—1957 წლებში აფხაზეთში — აღმოსავლეთ გუმისთას ნაკრძალში გარეული ღორი ჭირმა მინიმუმამდე შეამცირა. აღსინიშნავია, რომ ღორის დაავადება ამ აღვილებში, პირველად გარედან შევევანილი შინაური ღორებიდან გავრცელდა. ეს საქმე ვერებინიარულ ზედამხედველობის მოითხოვს, რაც ჩვენი რესპუბლიკის ნაკრძალებსა და სამონადირეო მეურნეობებში სამწუხაროდ ჯერჯერობით არ ხდება.

## მურციპი

მოვიდა ჭოჭი წალირთა ანგარიშ-მიუწვდომელი:  
ირეში, იხა და კანგარი, ქურუკი შალა მხტომელი...  
შ. რუსთავ ვ ვ ლ ი

ქურუკი, ანუ ჭეირანი ღრურქიანების ოჯახს ეკუთვნის, ცნობილია სამი ქვესახეობის ქურუკი, აქედან საბჭოთა კავშირის — საქართველოს ფარგლებში მოიპოვება, ერთი ქვესახეობა — აღმოსავლეთ ამიერკავკასიური ქურუკი. რომელიც სხვებთან შედარებით პატარა, პროპორციული, ლამაზი ტანითა და მკვირცხლი მოძრაობით გამოიწვევა.

ქურუკის სხეულის სიგრძე 90—115 სმ-ს აღწევს, მინდაოში სიმაღლე კი — 67 სმ-ს არ აღემატება. კუდის სიგრძე 17—20 სმ-ია, ბეწვიანად — 25 სმ. ყურის სიგრძე — 16,5 სმ; ცოცხალი წონა 24—30 კგ. ჩემები მხოლოდ მამალს ამოსდის 27—40 სმ სიგრძისა, შავი და ტალღისებრ რგოლებიანი. იშვიათად, პატარა, 3—5 სმ-მდე სიგრძის რქები, დედალსაც აქვს. დედალი საერთოდ ნაკლები ზომა-წონისაა,

ვიღრე მამალი. სხეულის შეფერილობა ორივე სქესის პირზე გვხვდა /რუზი, ჩალა-ბალაზის ფერია. ზაფხულში უფრო კლასი მოყვარულობა, მეცელზე კი მოთეთრო ნათელი ფერი დაკვერდა. ტექსტურული და ბარბარული ბზედაც გადადის. ცხვირის წვერზე, ლოკებით და წომიერის ხე-მოთ თეთრი არშია გასდევს, ხნიერებს კი შუბლი მთლად უთეორდებათ. შეფერადება დამოკიდებულია ადგილსამყოფელზე და ბეჭის ცვლაზე, რაც მარტიდან მაისის ბოლომდე შეიძინევა. ზაფხულის ბეჭვის საფარელი უთივთიკო, თხელი, 1—1,5 სმ-მდე სიგრძისაა. ზემთ-რის დამდეგისათვის (ოქტომბერ-ნოემბერში) კი თითქოს გახუნებულ შეფერილობას იძენს, თივთიკიც ეზრდება და ბეჭვის სიგრძე 3—5 სმ-ს აღწევს. ჩლიქები შავი, 5—6 სმ სიგრძისა და 3—4 სმ სივანის, გულის მოყვანილობისა აქვს.

ქურციი გაცრცელებულია: ერაყში, ირანში, ავღანეთში, სამხ-რეთ მონლოლეთში, დასავლეთ ჩინეთში. ტიბეტის ჩრდილო ნაწილში, კობში, ალაშანში, ორდოსში, საბჭოთა კავშირის ფარგლებში — სამხრეთ ყაზახეთში, უზბეკეთში, თურქმენეთში, აზერბაიჯანია და სა-ქართველოში.

საქართველოში ქურციი 1930—1940 წლებიდე მრავლად ბინად-რობდა შირაქის ვალზე. მისი 100—200-სულიანი არველი ძოვდა კო-წახურის მთაზე, უდაბნოში, ჯანდარის ტბის მიდამოებში, უფრო აღ-რე კი თბილისისა და სამგორის საზღვრებშიც შემოღილდა. 1950—1958 წლებისათვის კი ერთეულებიღა შემოჩნდა, მხოლოდ შირაქში — სამუხის მიდამოებში, ვაშლოვნის ნაკრძალის საზღვარზე. იმედიდ ამ ადგილებში 5—6 სულილა გვხვდება, ისიც იშეიათად. აზერბაიჯანის ტერიტორიიდან შემოღის ზაფხულობით, როცა ზამთრის საძოვრები შინაური პირუტყვისაგან განთავისუფლდება. შემოღვმაზე კი, როცა საქონელი და ცხვარი ბრუნდება, ქურციი ამ ადგილებს ისევ ტოვებს.

ქურციის ტიპურ ადგილსამყოფელს ჩეენთან ნახევრადულ-ნოს ტიპის მშრალი, ბუჩქ-ბალახიანი ელები წარმოადგენს. თავისი წარმოშობითაც იგი მშრალი ველების, ზეგნებისა და უდაბნოების ტიპობრივი ცხოველია. თუმცა ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მონლოლეთსა და ყაზახეთში ზაფხულში, ზოგიერთ ადგილებში, სა-დაც ნაკლებად დაქანებული ფერდობებია. ქურციი ზ. ღ-იღან 3000 მ

მაღლა აღის, მავრამ იქ დიდხანს არ ჩერდება. იქაც უპირადესთაბას ანიჭებს მლაშობ უფაბნოებსა და ბუჩქ-ბალაზიან, აბზინდიან, ურთიან-ნახევრადუდაბნოს მცენარეულობით დაფარულ ატკრძალვის უძლი-ჯის ნათელ ტყეებში კი მხოლოდ ზამთარში გადმოტვის უმეტესუატო-ბებია ჩერნოვინ ვაშლოვანის ნაკრძალსა და მის მოსაზღვრე აღ-ვილებში.

ქურციკს საკვების მოპოვებასთან დაკავშირებით უმნიშვნელო აღვილვადანაცელება უხდება ზაფხულსა და ზამთარში. იღლის-ვეგის-ტოში, როცა ბალახი განმება, არვეები თავს იყრინ წყლიან ლელეებ-ში და მახლობელ აღვილებში, სადაც ბალახს სიმწვანე აქვს შერჩენი-ლი. ზამთარში, თოვლში ისეთ აღვილებში მიდის, სადაც თოვლი ქა-რძაგან გაღაწმენდილია და ბალახი მოჩანს, ან ნეკერი და მარად-მწვანე მცენარეთა ფოთლებია.

ქურციკის აღვილსამყოფელში წყალი საერთოდ ნაკლებადაა. ეს ცხოველი ზაფხულში ამიტომ ეტანება ნედლ, წვნიან მცენარეებს და ამით ნაწილობრივ იქმაყოფილებს წყლის მოთხოვნილებას. წყლის ნაკლებობას უფრო გაზიფხულსა და ზამთარში განიცდის, როცა ეს მცენარეები არაა. სხვა დროსაც წვნიანი მცენარეები მის აღვილსამ-ყოფელში საერთოდ ნაკლებადაა. მავრამ ქურციკი თავის საკმარს მა-ინც პოლობს. დღე-ღამებში 5—6 კგ-მდე საკვებს იღებს და 40—60- ზე მეტი სახეობის მცენარეს ცენებს საკვებად. გაზიფხულზე ძირითა-დად ეფერერული მცენარეებით: შერიცლით, ვაციწვერით, უროთი, ქალამანით, ძალლკბილით, ჭუბლუნით და სხვა მსგავსი მცენარეებით იკვებება, შემოღვიმებადა და ზამთარში კი — საქალაქის, სალსალაჯის, ყარლანის ფოთლებითა და ყლორტებით, კამს მღიერებსაც.

ქურციკი დღის განმავლობაში 3—4 ლიტრ წყალს მოითხოვს. დიღი სიცხის დროს წყლის მოთხოვნილება და ხარჯვა უფრო იზრდება. მცენარეებიდან მიღებული წყალი მას ვეღარ ყოფნის და ამ დროს ახდენს შორეულ აღვილვადანაცელების. არვეები წყლისაკენ 3—4 დღეში ერთხელ მაინც მიღიან, გზადაგზა ძოვით მიპყებიან და ხში-რად 15—20 კმ-ზე მეტ მანძილს გაივლიან. დღისით იშვიათად მოძრა-ობენ, უფრო დილა-სალამოსა და ღამით მიემართებიან. ქურციკი უპი-რატესობას აძლევს ღია აღვილებში გამდინარე მტკნარ წყალს. ბუჩ-ქნარით დაფარული დაგუბებული, დამჟაყებული წყალსატევი მას არ

უყვარს. გაჭირვების დროს სვამს მღაშე-მწარე წყალსაცავი მის აღვილსამყოფელში უფრო ხშირად გვხვდება. წყალთან მისი კონკრეტული სახე, დასალევად ერთი ამორჩეული ბილიკით, ცალკეალუ ან რამდენიმე ცალი ერთად მიღის. ამიტომ წყალზე მისასვლენი ტრანსპორტი უფრო ლად, სწორად გადის და შორიდანაც კარგად შეამტკიცება. მეტყველების ადვილად ავნებენ ბრაქონიერები. მოწყურებულ ქურციკის არვეს გზაში უსაფრთხებიან და სულ ადვილად ანადგურებენ.

ქურციკი დღის ცხოველია. ზამთარში მთელ დღეს საძოვარზე ატარებს, ლამით კი წევს და ისვენებს. ასევეა ზაფხულშიც, მაგრამ დიდი სიცხის დროს საძოვრად დილის რიცრაცხე გამოდის, ათი საათიდან კი ბუჩქების ან ბექობების ჩრდილში აფარებს თავს. დღის ბოლოს ძოვას 16—17 საათიდან იწყებს. ხშირად ერთ ამორჩეულ აღვილას ისვენებს და ერთი და იმავე საწოლარით სარგებლობს. ამიტომ, საღაც დიდი არვე აფარებს თავს, ბაკივითაა და ნაკელის გროვებითაა სავარ.

ქურციკი თავშესაფარში, თუ საძოვარზე მყოფი, ყოველთვის ცრატილობს. მას საუცხოო სმენა აქვს, ერთ კილომეტრზე შორს იგებს მტრის მიახლოებას, ასევე კარგად ხედავს შორს. ყნოსვა კი შედარებით ნაკლებადა აქვს განვითარებული. თავს ძირითადად გაქცევით იცავს. თავშესაფრიდან წამოვარდნილი, დამცრთხალი ქურციკი თავაწეული და კულაწეული ელდასავით გარბის. ერთ-ორ კილომეტრს გაიჩინებს და გაჩერდება, კუდს ჩამოუშვებს, მიაყურადებს. საშიშროებას ამოწმებს და გზას ნელი ჯანჯალით აგრძელებს. სირბილის დროს ხშირად შარდავს, აკეთებს წრეს. მდევრისათვის იცის გზის არევაც. ქურციკის ჩვეულებრივი ნაბიჯი 50—60 სმ-ს არ აღმატება, ნელი სირბილის დროს ნაბიჯის სიგრძე 130 სმ-მდე იზრდება, ჩქარი სირბილის დროს კი 5—6 მეტრიან ნახტომებს აკეთებს და სათში 60—70-კმ-მდე სისწრაფეს აცილარებს.

ქურციკი ჭოგურად მობინადრეა. განსაკუთრებით დიდ ათეულ და ასეულსულიან ფარებს ქმნის შემოდგომასა და ზამთრის დამდევს. აკადემიკოს ნ. კეცხოველს თავის წიგნში „მკერდში დაჭრილი ბუნება“ აღნიშნული აქვს ადრე ქურციკის ათასი და ხუთიათასსულიანი ფარების არსებობაც.

გაზაფხულსა და ზაფხულში ქურციკი უფრო მცირე, 4—6 სულიან არვეებს ქმნის. არვეებისა და ფარების რაოდენობა დამოკიდებულია არვეების ქურციკის არამატებელი განვითარების და ამორჩეული ფარების მიმდევად.

ბულია აგრეთვე საძოვრებშიც და ქურციკის დასახლების სამცირო-  
ები. ორვეები გაზაფხულზე, მარტ-აპრილში იშლება. როცა შევ დედ-  
ლები ცალკე გამოიყოფიან. მა დროს ახალგაზრდებები, მამლებები და ბე-  
რწად დარჩენილები ისევ ერთად არიან. გამოუყოფელებული და  
დედლები ცალ-ცალკე (2—3 სული ერთად), გვხვდება. შემოიარობის  
შემდეგ ავვისტო-სექტემბერში ეს პატარ-პატარა არვეები ჩვლავ ერ-  
თდებიან. მათთან ერთად არიან თიქნებიც.

ქურციკის კერშილობა ნოებერ-დეკემბერში მიმდინარეობს. მის  
დაწყებაზე გავლენას ახდენს მინდის მდგომარეობა. ხანგრძლივი,  
მშრალი, ცხელი მინდის დროს კერშილობა ერთი-ორი კვირით გვიან  
იწყება. მა დროს მამლებს სპეციალურ სეკრეციულ ჯირკვლებში, სპე-  
ციურული სუნის მჭონე ნივთიერება გამოეყოფათ, რაც დედლებს ალ-  
აგზნებს. კერშილობის დაწყებისას მამლები ჩახლუჩილი ხმით ბლავი-  
ან და ერთმანეთთან ჩხუბობენ. ზოგჯერ ჩხუბი იმდენად თავგამეტე-  
ბული და მძაფრია, რომ ძლიერი მამლები ხშირად სახიჩრდებიან და  
იღუპებიან. უძლიერესი ვაცი არვეში მალე თავის საუფროსო იდგილს  
იყავებს, ფლობს დედლების 3—5 სულიან დამოუკიდებელ არვეს და  
მათ სხვა მამლებისაგან ცავს. ვაცები ამ დროს ძალიან ცოტას ჭამენ,  
დაღ ენერგიას ხარჯავენ, უძლურდებიან და იდგილად ხდებიან მტა-  
ცემლისა თუ სტიქიური უბედურების მსხვერპლი. ესაა ქურციკის  
რიცხოვნობის შემცირების ერთ-ერთი ბუნებრივი მიზეზი.

როგორც დედალი, ისე მამალი, სექსობრივად მეორე წელს  
18—19 თვეს ასაკში მწიფდება, მაგრამ მამალი გამრავლებაში აქტიურ  
მონაწილეობას მხოლოდ მესამე წელს იღებს, როცა ზრდას ამთავ-  
რებს, ძალა და ღრმე ემცემა, მანამდე კი მეტოქეობის გაწევა არ შე-  
უძლია და დედლებიც არ იყარებენ. მაკეობა ხუთთევნახევრამდე  
გრძელდება. თიქნები (1—2 ცალი) იპრილ-მაისში იბალებიან. თიქნია-  
ნობაზე უარყოფით გაელენას ახდენს: ცენტრალურ-აზიური, არა-  
ხელსაყრელი უდაბნოს ცივი და მშრალი კლიმატი, რაც იწვევს ბერ-  
წიანობას, მშობიარობის გახნევრძლივებას და ნაყოფიერების შე-  
ცირებას. ივი ასევე უარყოფითად მოქმედებს ამ ცხოველის საკედ-  
მცენარეთა ვეგეტაციაზედაც.

მშობიარობის წინ მაკე დედლები ცალ-ცალკე ან ორი-სამი ერ-  
თად დადიან და სამშობიაროდ ხელსაყრელ ღარტაფიიან, არახშირბუ-

ქნარიან ქარისაგან მოფარებულ მყუდრო ადგილს დოჩივენ, საღაც  
 შორისხლოს წყალიც არის (ლრმა ხევებსა და კიტო ხშირობისარი-  
 ან ხრამებში ყოფნა კი ქურციქ არ უყვარს. ალბათ იმიტომ, რომ ხე-  
 დვის არე ნაკლებია და არემარე კარგად არ მოჩატა. კურცი უძველეს და გა-  
 ვს ინსტრინგულანაა დაკავშირებული). ასეთ წინაშე უძველეს კურცი მდ-  
 გილს, საღაც საჭიროების დროს, სამზველად თითო-ოროლა დედა შე-  
 დის; „სამშობიარო სახლსაც“ უწოდებენ. ასლად თაბალებული თითო  
 40—60 სმ-მდე სიგრძისაა, 2—3 კგ-ს იწონის და არაპროპორციულია;  
 აქვს მრგვალი ტანი, სუსტი კიდურები, წვრილი კისერი, კომბალიკით  
 თავი და დილი ყურები. ივი დაბადებისთვის ფეხშე დგება, ბარბა-  
 ცით დადის და იქცევა. პირველხანებში მას დედა ბალახებსა და ხრა-  
 მებში მალავს, საღაც მწოლარე კარგად ეხემება გარემოს და ძნელი  
 შესამჩნევია, იმიტომ უმეტესად წევს. ძუძუს მოსაწოვებლად დედა-  
 თვითონ მიღის მასთან. პირველ დღეებში დღეში ორ-სამჯერ 50—100  
 გრამამდე აწოვებს, შემდეგ კი უფრო ხშირად — 300—400 გრ. მა-  
 დე. ხუთი-ექვსი დღის შემდეგ თიკანი უკვე მოლონიერებულია და გ-  
 მართულად დადის. საშიშროების დროს დამოუკიდებლად ცალკა  
 გარბის და იმალება. მაგრამ შორ მანძილზე სირბილი მაინც არ შეუძ-  
 ლია. იმიტომ დედა როცა საძოვარზე წა წყალზე შორს მიღის, თან არ შიპ-  
 იყვავს. ორი კვირის თიკანი კი დედას ვით სწრაფად დარბის და დე-  
 დას ყველგან თან დაპყვება. ამ დროს ბალაზის ძოვასაც იწყებს და  
 სწრაფად იზრდება. საფრთხის დროს დედა შეილს აღვრილად არ ტოვებს.  
 თავგამოდებით იცავს პირმშის, ჩლიქებითა და რქენით იგერიებს  
 მტაცებელს.

ერთი თვის საუში თიკანი 7—8 კგ-ს იწონის, მამალ თავანს 2—3  
 სმ-მდე სიგრძის რქები ამოსდის. ამ საუში დედა ძუძუს იშვიათად  
 აწოვებს, ძირითადად მცენარეულით იკვებება. ორი-სამი თვისა კი  
 13—14 კგ-ს აღწევს. დედა მას საბოლოოდ ტოვებს და უკვე დამოუკი-  
 დებელ ცხოვრებას იწყებს. იგი ჭერ კიდევ გამოუცდელია, ობოლი-  
 ვრთ დაეხერება, მტერ-მოყვარეს კარგად ვერ არჩევს. გამოცდილე-  
 ბის შემდეგ, ფარაში ყოფნისას, თანდათან იძენს. წლინახევრის საუ-  
 ში გარეგნულად ზრდასრულის სახე აქვს, 25 კგ-მდე იწონის, სხეუ-  
 ლის სიგრძე კი ერთ მეტრს აღწევს, ტანით მშობლებს ალარ ჩამოუვა-  
 რდება. მამლებს 20—30 სმ-დე სიგრძის რქები მესამე წელს ეზრდე-  
 ფ2

ბათ. ზრდასაც ამ ასაკში ამთავრებს. ბუნებრივ პირობებში / ქურუები 20 წლამდე ცოცხლობს, ტყვეობაში კი 5—6 წელს იშვიათოდ 8—9 წლამდე ძლებს.

როგორც ღლენიშვნეთ, ქურუები ძალიან ფრთხეულობრივ უფრისი ცხოველია. მას მტერი გარდა გეპარდისა, ადვილად მწელებულის მტერი მოლოდ თოვლში სიარული უკირს, 25—30 სმ-მდე თოვლის საფარი ჯამშუპლელად მოქმედებს და მტაცებელიც ადვილად იჭერს. მის შეპურობას მგლის ჭოვი ღობური ნადირობით უფრო ადვილად ახერხდებს, გენსაუკირებით დიდოვლობის დროს, როცა თოვლის საფარი გვიგრებულია, ნიადაგი მოყინულია და ქურუებს ფეხი უსხლდება. მკელი კი ამ დროს თავისუფლად მოძრაობს. პატარებს თავს ესხმის და იმორჩილებს გარეული კატა, ტურა, მელა, არწივი. მაკე დედებს, დაუძლურებულებს და ახალ დაბადებულ თიკნებს ანადგურებს ფოცხვერი, მოხეტიალე და მეცხვარის ძალლები. ქურციკის კველაზე ღიღი მტერი მარც თანამედროვე მანქანებითა და სანადირო იარაღით აღჭურებილი დამიანია. ქურციზე ნადირობენ თოფით, იჭერენ ხაფანებით, ყულფებით, არწივისა და მწევარი ძალლების საშუალებით, უსფრდებიან წყალთან, სამარილესთან და სამშობიარო აღვილებთან. შირაქის ველზე 1940—1945 წლებში რამდენჯერმე ვიყავი იმის მოწმე, ქურციზე თვითმფრინავებით რომ ნადირობდნენ ბობოლა ბრაკონიერები. ამ წლების შემდეგ შირაქში ხშირად ნადირობლნენ ღამითაც. მანქანის სინათლის გამოყენებით, და ხშირად იმდენად თავდაცრწყებით, რომ ამას ღიღი უბედურება მოსდევდა. ელდარში ერთმა სეთი უბედურების მომსწრე მონადირემ გვიამბო: „ერთხელ, ტარიბანის ველზე, ღამით საბარეო მანქანით ქურციზე და კურდლელზე ვნადირობდით, ერთ საათში ექვსი ქურციკი და ათამდე ქურდლელი მოვკალით და მანქანაზე დავყარეთ. „ამდენი ნადირის ხოცვა ბრაზებაა, ამ საცოდაობას ნადირთა მეფე არ გვაპატიებს“ — ხუმრობით გვეუბნებოდა მძლოლი და თან ბნელ ადგილებს მანქანის სინათლეს უმარჯვებდა. ავშნიანიდან ქურციკის თიკანი წამოგვიხტა. წყვილ-წყვილად ყველამ ვესროლეთ, თიკანი მოცელილივით დაეცა, მაგრამ მანქანა არ შეჩერდა, სვლა გააგრძელა და გონს მხოლოდ მაშინდა მოვედით, როცა ხრამში გადაიჩეხა. ჩვენდა საბეღნიეროდ ხრამი ღრმა არ ილოჩნდა და გადავრჩით, მაგრამ მძლოლი მანქანაში აღარ აღმოჩ-

ნდა — ივი ქურციეს თიკანთან ვიპოვეთ თავგახეთქილი, თავისებრ/როცა მანქანის სინათლეს უმარჯვებდა გაქცეულ ნადირს, მანქანის/კარი გახსნა, რომ უფრო კარგად დაენახა, თავი გარეთ ქვეშემცირებული ხეზე ადგომაც მოინდომა. უკან, მანქანის ძარაზე მღვმელი, ზარსტმეტს წზარტში შესულმა მონადირეებმა ეს ვერ შენიშვნეს და ქურციესათვის ნასროლი ტყვიით მძლოლი თავში დაჭრეს და მანქანიდან გადმოვარდა. უმძლოლო მანქანამ ას მეტრზე მეტი ისე იგორა, რომ ვერაფერს მივხვდით. იმ უკუნეთ ლამეს ასე უბედურად დამთავრდა ჩეენი ნადირობა, ეჩქარობდით, ეხარბობდით — რაც შეიძლებოდა ბევრი ნადირის მოკვლას ვცდილობდით და იმის ბრალიც იყო“ — დაასკვნა მან.

გარდა დასახელებული მიხეზებისა, ქურციეს რიცხოვნობაზე უარყოფით გავლენას ახდენს სხვადასხვა სახის დაავადებანი. ივი 18-მდე სახის ისეთი პარაზიტული ჭიებით ავადდება, რომლებიც შენაურ პირუტყვშიც გვხვდება. მასზე პარაზიტობს აგრეთვე სისხლისმწოველა მწერები — ტკიპები, რომლებიც მის ადგილსამყოფელში მრავლად არიან.

ქურციეს რიცხოვნობაზე განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს დილთოვლიანი. მკაცრი, ყინვიანი გახინგრძლივებული ზამთარი, რაც მის ადგილსამყოფელში იშვიათად იცის. როცა საძოვრები თოვლით იფარება, ქურციეს თოვლის თხრისა და საქმარისი საკეთების მოპოვებას ვერ ახერხებს, შრმშილს კი ვერ იტანს, მალე უძლურდება და ილუპება. ბუნებრივი კონკურენტი, საიგავისა და ძერების ვარდა, არა ჰყავს, მაგრამ ამ ბოლო დროს მისი სავარგული ზვილგან საზამთრო საძოვრებადა გამოიყენებული და ცხვრის ფარებს უკავია. ამტრომ მისი რიცხოვნობისა და არეალის აღდგენა უკავი შეუძლებელია.

ქურციეი ძეირფასი სპორტული სანადირო-სარეწაო ცხოველია. ივი იძლევა უმაღლესი ხარისხის 15—19 კგ-მდე ხორცს 60—70 კვდმ-მდე ტყავს, სიღრანაც გამოჰყავთ საუკეთესო ხარისხის ხრომი და ზამბი. მისგან ამზადებენ წყლის, რძისა და ყველისათვის გუდებს, რომელიც სპეციფიკურ სუნს არ აძლევს. გამოიყენება რქები და ჩლიქებიც. ადრე ქურციეი ძირითადად სარეწაო ცხოველად ითვლებოდა. 30—40-იან წლებამდე ჩვენთან ყოველწლიურად 2000 ცალზე მეტს მოიპოვებდნენ. ამჟამად კი რიცხობრივი სიმცირის გამო სარეწაო

ବାରିଦ୍ଵାରୀ



ଫୁଲିଦ୍ଵାରୀ





အောက်ဘက်လွှာ နာက်စံခြင်



မြို့ပြရုံးဘွဲ့ ဝါယံခြင်



ဂာလာစွဲလောက်တွေ့လာ လျှို့ခြင်

ისტორია ნეკროპოლის



იმოლი ნეკრი დედობილ-  
თან



შელისგან მოყლელი ახალ-  
გაზრდა ხარისული





ବାର୍ଷିକୀୟ ସମ୍ପଦ  
ଶାଖାଗାନ୍ଧୀ

କାନ୍ତପାଲଗୁଡ଼ିଳ ଜାଫା ଶିଲ୍ପି



ଅମ୍ବିଲକାନ୍ତପାଲଗୁଡ଼ିଳ ଜାଫା ଶିଲ୍ପି



შელები დაღითოველობისას



ზეავში მოყოლეობი შეელი

ပန်မြန်မာရှိ  
ဂေါက်စံရာများ



လျော့ ရွှေ့လေ့ စုရောက်လာတဲ့ ကျော်ပြန်စွာ ဖွဲ့စည်းပဲ့ပါး



ရွှေ့လေ့ ရာလာဖြစ် ဖော်ပြုခဲ့တဲ့



ნეკროლის  
ამონტანის

ნეკროლის დედას ფეხლაფეხ მიქვენენ.



შეკვენეს ეწელება ფოთოლსა,  
შევლი ყელმოლერებული



შელის ნუკრს ხალები აღარ  
ვტყობოდა, შაშითიც საშოს-



მინისტრის  
მიერაობა



შელის ცვირილობა



შელის დაცერა დიდოვა-  
ლობისა



რას მეტჩი, ალაშიანო



აშიურკავკასიური გარეული  
ღორი — ტანი



ამიერკავკასიონი ნეზვი



გარეული და ჰებრიდული  
ლორები გარღაბნის სამონა-  
დიორეო შეცრდეობაში



ଗାନ୍ଧୀପଦ୍ମ ଲକ୍ଷ୍ମୀଙ୍କ ଗ୍ରୂପ୍ସି



ଶେଖରଭ୍ରାନ୍ତ



անիվս




ՆԱՇԽՆՐԵՑՈ

0100360-0  
0082000000



აღმოსავლეთ კავკასიური ხარჯიშვი შენთან

დასავლეთ კავკასიური ხარჯიშვი





ဗုဒ္ဓဘာသု  
ပရီဏ်ဂရမ်

ပြည်ထဲရေးနှင့် ပေါ်လျှင်စွဲ နာရီနာရီ



ပိုမိုကလ္လာ ရွှေ့ပါဝါ လျှို့ဝှယ်  
အဖွံ့အွေတော် ပြောနေတွော့၏



ပြည်လွှှားချုပ် ဒေသ၊ ပြည်  
တွေ့အွေတော်

ამხორის მდინარეში  
შენაწირი ჭიხვის რეკები



ბჟობაზე ხარჯისვები





ତୁଳିନାଳି ପ୍ରକାଶନ  
ଓରିଜିନେଲ୍ ପ୍ରକାଶନକାରୀ



ଖର୍ବୁତ୍ତସ୍ଥିତ ତଥାଲୋକିସିଲ୍ ଶାଖାକ୍ଷେତ୍ର



ଶ୍ରୀଶର୍ମାପଣ୍ଡିତଙ୍କୁ

ენიშვნელობა ყველგან დაკარგული აქვს. იშვიათად მოიპლევებინ ბრა-  
კნიერებიც. ქურციკის სამეურნეო ლირსება ისიცაა. რომ სამეურნეო  
შინაურლება, ეჩვევა ადამიანს, ტყეობას კარგად იტანს და მოვლდე-  
ბა, მაგრამ განსაკუთრებულ ხელის შეწყობასა და უზრუნველყოფის უ-  
ხვეს, რადგან დიღხანს ვერ ცოცხლობს ტყეობაშიც წრებული მოსამართებელია, ადვილად იტანს  
აქლიმატიზაციას და ხელის შეწყობით სწრაფად მრავლდება. მისი  
მოშენებისას საჭიროა გავითვალისწინოთ ყველა ზემოჩამოთვლილი  
უარყოფითი და დადებითი ფაქტორები. მის ადგილსამყოფელში შე-  
ფუქმნათ საკედი ბაზა, მყუდრო თავშესაფარი, მტაცებლები და მაწან-  
წალა ძალები კი თავიდანვე მოვსპოოთ.

ქურციკშე ნაღირობა სხვადასხვა რესპუბლიკაში სხვადასხვა  
დროს, ჯერ კიდევ 1946—1952 წლებიდან, აირძალა განუსაზღვრელი  
დროით, მაგრამ მისი რიცხვი არ გაზრდილა. მექანიზაცია ეს სახეობა, რო-  
გორც უძვირფასესი, იშვიათი და გადაშენების გზაზე მდვომი ცხოვე-  
ლი შეტანილია საერთაშორისო მსოფლიო, ვგრეთვე. საბჭოთა კავში-  
რისა და საქართველოს წითელ წიგნებში. ეს ღონისძიებები იმაზედაც  
მივერთოთებს. რომ მისი დაცვა-მომრავლებისათვის მარტო ნაღირობის  
აკრძალვა და წითელ წიგნში შეტანა არ კმარა, საჭიროა უფრო რადი-  
კალურ ღონისძიებათა გატარება.

საქართველოს ბუნებრივ პირობებში ქურციკის მოშენებისათვის  
მექანიზაცია, როგორც აღვნიშნეთ, არავითარი პერსპექტივა არ არსებობს,  
რადგან მისი ადგილსამყოფელები: შირავისა და ყარაიაზის ველები,  
ცხვრის ფარებმა და ბალ-ვენახებმა დაიკავა, თანაც ყველგან მანქანია-  
ნი ბრაჟონიერები დათარეშობენ. საქართველოში ამ ძერფასი გენო-  
ფონდის გადასარჩენად მხოლოდ ერთი პერსპექტიული ღონისძიება  
იქნება რეკომენდებული: დავით გარეჯთან ან ვაშლოვანის ხაკრძალში  
თას პექტრიანი ქურციკსაშენის შექმნა, სადაც პირველ ხანებში გაშ-  
ვიბული იქნება 20—30 სულამდე ქურციკი. მსგავსი ქურციკსაშენები  
გასულ წლებში შექმნეს უზბეკეთში, ბუხარას მახლობლად. (სადაც  
ამ საქმისათვის 5200 პექტრიამდე შემოღობეს, სათანადო შენობები და  
ლაბორატორიებიც მოაწყვეს და შიგ 35—37 ქურციკი გაუშვეს) და  
აზერბაიჯანში. ამ საქაცონდრიო მნიშვნელობის საქმეზე ჩვენს რესპუბ-  
ლიკაშიც უნდა ვიზრუნოთ.



## ჩალა კურ ურთელებელი

არჩევი ღრუსერქიანთა ოჯახს ეკუთვნის. ცნობები მომზადებულია ფსიტის, ათამდე ჰელისახეობა. აქედან საბჭოთა კავშირში გავრცელებულია: კარპატული არჩევი და კავკასიური არჩევი. საქართველოში ძირითადად ბინაღრობს კავკასიური არჩევი, რომლის სხეულის სიგრძე 100—120 სმ, კულის სიგრძე — 10—14 სმ, მინდაოში სიმაღლე — 70—80 სმ, გავაში სიმაღლე — 90—95 სმ. ქალის უდიდესები სიგრძე — 20,7—21,3 სმ, ყურის სიგრძე — 12—14 სმ. არჩევის ცოცხალი წონა 23—35 კგ-ია. დედალი უფრო პატარაა. შედარებით უფრო დიდი ზომა-წონას არჩევი გვხედება აქარის წყლის ხეობის სათავეებში: ჯანჯღნარისა და საუგიას მთაში — კერძოდ, გორგოთის, კარჩხალის, ლეპნარის, ნაფათხევის, სალებისა და წითლის მიდამოებში. აქ ძირითადად არჩევი ტყეში ბინაღრობს, სადაც ვაკე რელიეფია და კლდეები ნაკლებადა.

არჩევი ლამაზი აგებულების ცხოველია. მისთვის დამახასიათებელია მოკლე ტანი, ძლიერ განვითარებული განიერი მკერდი, მაღალი და სქელი ფეხები. უკანა კიდურები წინაშე მნიშვნელოვნად გრძელია, ამიტომაც წელში მოხრილი და სწორ ადგილზე სიარულისას კუზიანი გვეჩვენება. ჩლიქები მახვილკიდეებიანი და წვერიანი აქვს, 7—8 სმ სიგრძისა და 5—6 სმ სიგანისა. ჩლიქის ნახევრები წვერში განზეა გაწეული, მისი წვერიანი წვერები ნაკვალევშე თავისებურ ანაბეჭდს ტოვებს და ადვილად გამოსაცნობია. ჩლიქის ძირზე აქვს რბილი, ხორქლიანი ბალიში. ტერფის ასეთი აგებულების წყალობით ადვილად მოძრაობს ძლიერ დაქანებულ კლდიან ფერდობებზე. ამასთან ერთად, როგორც წინა ისე უკანა კიდურებზე განვითარებულია აქვს 3—4 სმ-მდე სიგრძის გვერდითი ჩლიქები, რომელსაც აგრეთვე დაქანებულ ფერდობზე დაცურებისას სამუხრუჭოდ იყენებს. კისერისა ყამით გრძელი და წვრილი აქვს, თავი კი — პატარა, წაგრძელებული ქალით. ორივე სქესს აქვს 20—30 სმ-მდე სიგრძის ანკესივით მოკაუჭებული ჩანგალა რქები. რქების ასეთი ბიოლოგიური აგებულება და მნიშვნელობა ძნელი ასახსნელია. ზოგიერთი მკვლევრის აზრით,

ამგვარ კაუჭიან რქებს არჩევ ვითომ კლდიან აღგილებული მუსტობისას სამუხრეცოდ იყენებს, ზოგის აზრით კი თავდაცუას ითავარება ვაკის რქები უფრო გრძელი და სქელია, თანაც რქის ძირები უფრო ახლო-ახლოსაა და შევი ფერისაა. დედალს კი რქებში შემცუტ წარმოიდი აქვს, რქის ძირებიც ერთმანეთისავან შესამიშეც და დამატებულია. არჩევი რქას არ იცვლის. მას ზრდის წლიური რგოლები კარგად ემჩნევა და ამის მიხედვით ზუსტად შეიძლება ცხოველის ასაკის დადგენა. კუდი ზედა მხრიდან ბალნიანია, ხოლო ქვედა მხარეზე შიშველი აქვს.

ზამთარში არჩეს ხშირი და გრძელი ბეწვი აქვს. ზურგსა და მხარეზე ბალნის სიცრძე 15—20 სმ-დე აღწევს. შეფერილობით მოშაო-მურაა, ზოგიერთი ყავისფერია. ყელი და მუცელი ღია-მურა ფერისაა. ზაფხულში არჩეს თხელი და მოკლე ბეწვი აქვს. შეფერილობით კი უფრო უღალი-უანგისფერია. დედლები უფრო კრალი ფერისანი არიან. ვაცს კი ზაფხულშიც ზურგზე შავი მურა ფერი ვასდევს. როგორც დედალს, ისე ვამალს ყებებსა და შუბლზე თეთრი ზოლი დაჰყვება, ზოგჯერ სითეთრე ყელზე და კისერზედაც გადადის. ზაფხულში ბეწვების მაის-ივნისში იცვლის. ზამთრის ბეწვი კი ოქტომბერში ამოსდის. ამ დროს გრძელ ბალანთან ერთად თბილი და რბილი თივთიკიც ეზრდება და ზამთრის შეფერილობა შავ-მურა ფერს იქნის, ამიტომ მას „შავ თხასაც“ უწოდებენ. ზოგჯერ გვხვდება მთლად თეთრი ფერის ალბინოსი არჩევებიც, რომლებსაც თვალები, ჩლიქები და რქებიც ღია-მოთეთრო ფერისა აქვთ.

არჩევი გავრცელებულია სამხრეთ ეკროპის მთიანეთში. პირინეიზე, ალპებსა და მცირე აზიაში. საბჭოთა კავშირის ფარგლებში მხოლოდ კარპატებსა და კავკასიაში მოიპოვება. აღმოსავლეთ კავკასიაში შედარებით ნაკლებია, ვიდრე დასავლეთ კავკასიაში. ჩრდილო-აღმოსავლეთ დაღესტანში სერთოდ არაა. საქართველოს ფარგლებში მოიპოვება როგორც მთავარ კავკასიონზე — ლაგოდეხიდან გაგრის რაიონამდე, ისე მცირე კავკასიონზე — კასპის რაიონიდან ხულოს რაიონამდე. ამ ტერიტორიაზე იგი არათანაბრადაა განაწილებული. ყველგან არ გვხვდება. ბინადრობს მხოლოდ იქ, სადაც მისი შესაფერი ადგილ-სამყოფელი — ძლიერ დაქანებული გაუვალი ტყე-კლდიანი ფერდობებია. განსაკუთრებით მრავლადაა: ყვარლის რაიონში — არეშის ხევის სათავეებში, ღოლოიანსა და სიმურის გარასას სელულთან. შეტა-

დურუჭის სათავეებში, საბუის მთაში; ახმეტის რაიონში კულტურული და ალაზნის სათავეებში, მთა სპეროზაზე, წიფლოვანის ხევში; ლუშეთის რაიონში: კიშხევსა და მთიულეთ-გუდამაყრის ხეჭავაზე ლათანებებში (აქ საძოვარზე ხშირად ცხვარში ერევა). არხოტშეგვარის მარჯვენა მთაზე: კალოთანისა და ტანის ხეობაში; ყაზბეგში: თოუსოს ხეობაში; ჯვის მთაში; ონისა და ამბროლაურის რაიონში — ჰანკახის წყლისა და ურაველის ხეობათა სათავეებში; გალის რაიონში: ოქუმის ხეობაში; სოხუმის რაიონში; აღმოსავლეთ გუმისთის ხეობის სათავეებში; გულრიფშისა და გაგრის რაიონის საზღვრებში — ბზიფის ხეობაში; ქვემო სვანეთის მთაში; მდინარე ენგურის მარცხენა მთაზე — მდ. მაგანის ხეობის სათავეებში — ღარებში; გურია-აჭარის ქედზე; აჭარის-წყლისა და ჩაქვის-წყლის სათავეებში — კინტრიშის ნაკრძალში; ჩიხატაურისა და მახარაძის რაიონის საზღვრებში; ბახმაროზე — სათიქნიაში, სურებში, ქორთაბულის მთაში; ენის რაიონის მთის ტყეებში; მაიაკოვსკის რაიონში: ზეკარისა და წაბლარის წყლის ხეობებში; 5—6 არჩია შემორჩენილი ბორჯომის ნაკრძალში — ზორეთის ხევის კლდეებში. ასევე ერთეულების სახით გვხდება ხაშურის რაიონის ზოგიერთ ხეობათა სათავეებში.

არჩი მთის ტიპიური ცხოველია. გვხდება როგორც ჰარბტენიან, ნალექიან (აფხაზეთის, აჭარის, ბახმაროს) უბნებში, ისე მშრალ, მცირენალექიან — სამხრეთ-კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში. ძირითადად ბინალტობს სუბალპურ და ალპურ ზონაში (1800—2700 მ ზ. დ-დან). თავს აფარებს ტყეში, კლდიან ადვილებში. საძოვრად კი ლია ადგილებში, მდელოებზე გამოუის. უყვარს შემალლებულ კლდეზე, ლოდებზე დგომა და წოლა. ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს გარემოს ზევრავს და არვეს დარაჭობსო, სინამდვილეში კი არჩეს ეს ერთისიათებს, საქმიანდ თავნება ცხოველია.

ზოგიერთ ხეობაში არჩი ტყის ქვედა საზღვრამდე (500—700 მ ზ. დ-მდე) ჩამოდის და, თუ მისი საიმედო თავშესაფარი ტყე-კლდიანი დიდ ფართობზეა და არავინ აწუხებს, მუდმივად ბინალტობს. არჩი კი ტყის ქვედა საზღვარზე გვხდება: ლაგოდეხის ნაკრძალში — გოვი ტყის ქვედა საზღვარზე გვხდება: ლაგოდეხის ნაკრძალში — გოვი ტყის ქვედა საზღვარზე გვხდება: ლაგოდეხის ნაკრძალში — სპეროზის მთის ძირიში — ხალორთან; გალის რაიონში — ოქუმის ხეობაში, მაიაკოვსკის რაიონში — ზეკარის ხეობაში — თიხნარის კლდიანებში, ასევე საირმის ხეობაში და სხვაგან.

არჩევი ბინადრობს ჯოგურად, ქმნის პატარ-პატარა არა კონკრეტულ ჩანას. ჩვენი საუკუნეს 40-იან წლებში ლაგოდეხის ნაკრძალში დარჩევთ 100—200-სულიანი არვეებიც შეუნიშნავთ (ჩაც ჩვენ არ გვხვდი), ამ მციდად, ამ იქ 10-12-სულიანი არვეებიც იშვიათად გვხვდება. გამოსაზღვრული ცხვი პერიოდულად და დილა-სალამოსაც კი ხან გარელობის, ხან კლებულობს. ავვისტო-სექტემბერში 15—30 სულამდეა ერთად, პრილ-მაისში კი ხშირად 5—7 სულიანი არვეები გვხვდება. გამრავლების დროს თივნიანი დედები ყრჯობიდან ცეკვით ცალკე ცხოვრობენ, შემდეგ ის-ევ ერთდებიან. მთლად მარტონი მხრივ ჩნიობი ან სასქესო გირვლებით დაავადებული ვაცები ცხოვრობენ, რომლებიც გამრავლებაში აღარ მონაწილეობენ. ასეთი ეგზემპლარები არვეს. ახლოს აღარ ვკარებიან და მათ მთიელები „მარტო ფსიტა“ ეძახიან. არჩემა ძალიან სიმსუქნე არ იცის „მარტო ფსიტა“ კი ხშირად მსუქანია. იშვიათად მთლად გაძვალტყავებული. მისი ხორცი მაგარი ან უვარვისია. საერთოდ ვაცის ხორცს სპეციფიკური, არასასიამოენო სუნი აქვს, განსაკუთრებით ბოტობის დროს.

საქართველოს ბუნებრივ პირობებში არჩევი შორეულ აღგილვაზანაცვლებს არ ახდებს. ზამთარ-ზაფხულს ხშირად ერთსა და იმავე აღგილს ბინადრობს, მისი აღგილსამყოფელი უბნის ფართობი მცირეა. ზოგან 800—1000 პექტარს არ აღმატება. ზოგიერთ აღგილებში მხოლოდ ზამთარში. დიდოვლობის დროს ახდენს მცირე მანძილიან (4—5 კმ) აღგილვაზანაცვლებას, ტყის შუა სარტყლამდეს ჩამოვის, ხოლო ზაფხულში (მაისიდან) ზევით მიიწვევს, უფრო აღმურ ზონაში დის. ზოგიერთ აღგილებში კი საღაც ტყე არ არის, მავალითად, ყაზბეგის რიონში — თრუსოს ხეობაში. აგრეთვე ჯავისა და მთიულეთის მთებში, არჩევი ზამთარ-ზაფხულ მუდმივად ერთსა და იმავე აღგილსამყოფელში ზ. დ. 700-2700 მ ფარგლებში) ბინადრობს და მთის ფერდობებშე ექსპოზიციების მიხედვით ახდენს მცირე მანძილიან აღგილვაზანაცვლებებს. ზამთარში ნაკლებთოვლიან სამხრეთ-დასავლეთ ექსპოზიციის კარგად ვანათებულ მხიან აღგილებში გამოიზამთრებს, საღაც თოვლის საფარი დიდხანს არ ჩერდება, არჩეს მოძრაობა და საკვების მოპოვება არ უჭირს, საერთოდ ზაფხულში იღლის-ავვისტოში უფრო ჩრდილო ექსპოზიციის გრილ აღგილებს ეტანება, საღაც მისი საკვები



ბალახი კარგად ხარობს. ძლიერ დაჩრდილულ. ღრმა უფრო უფროიან  
წევებში არჩევ იშვიათად შეხვდებით. უყვარს მთის მდინარის პატარ-პა-  
ტარა ჩანჩქერებიან ადგილების ახლო-მახლოს ყოფშეს მასში უკეთებ-  
შე დგომა და წოლა.

ზაფხულში არჩევ უმეტესად დილა-სალამოს ბალახობს და საძო-  
ვარზე ჭიქეთან შედარებით დიღხანს 10—11 საათამდე რჩება. ზოვ-  
ჯერ კი იქვე ისვენებს. ტყეში, სადაც სიგრილეა და სიმყუდროვე, არჩ-  
ევი დღისითაც ბალახობს. ასევე იქცევა მოლრუბლულ და წეიმიან დღე-  
საც. ზაფხულში დიდი სიცხეების დროს კი საძოვარს 7—8 საათიდან  
ტოვებს და დასასვენებლად ტყეში შედის, სადაც ხეების, ბუჩქების.  
ან კლდის ლოდების ქვეშ წევს. უყვარს გამოქვებულში ყოფნა და მი-  
ტომ ძნელი მისაგნებია. იქიდან სალამოს 16—18 საათზე გამოდის სა-  
ძოვარზე. ზამთარში კი მთელი დღე დაღის, საკედეს ეძებს, ხშირად  
ერთსა და იმავე აღვილებში ტრიალებს. მოძრაობასა და საკედეს მო-  
პოვებაში ხელს უშლის ფიფქი თოვლის საფარი. სიცივისა არჩეს არ-  
ეშინია, სიცხეს კი გაურბის.

არჩევი თავისებურად ფრთხილი ცხოველია. მას საუკეთესოდ აქვს  
განვითარებული ყნოსვა, მხედველობა და სმენა. ადამიანის თუ სხვა  
მტრის მიახლოებას ნახევარ კილომეტრზე იგრძნობს; მაგრამ ადგი-  
ლად, მაშინვე არ ფრთხება. შეელივით არ ფეთღება და მასავით უმი-  
სამართოდ არ გარბის. პირველად წყნარად იქცევა. მაღ-მაღლე ჩერდე-  
ბა, აკვირდება თავის დამტრთხობს, ზოგჯერ როცა ხედავს. პირდაპირ  
მისკენ მიმავალ ადამიანს არ გაურბის, გაშტერებული უყურებს და,  
როცა დარწმუნდება, რომ მას ეპარებიან, მხოლოდ მაშინ გავარდება  
ელდასავით. ზოგჯერ თოფის ხმაც კი არ აფრთხობს. ასე უფრო ტყეში  
მოპინადრე არჩევი იქცევა. საფრთხის დროს თავისებურად „სტენს“  
„ფსიის“ მაგვარ ხმაზე (სწორედ ამ ხმის მიხედვით უწოდებენ მას  
მთიელები „ფსიის“). რითაც სხვებსაც საგანგაშო სიგნალს ძლიერს. და  
ჭრეფი აქეთ-იქით იფანტება, ერთი მიმართულებით იშვიათად გარბის  
ყველა. არჩემა ძალიან სწრაფად და შორ მანძილზე სირბილი არ იცის.  
სწორ ადგილზე და თავდალმართზე უფრო ხელა გარბის, თითქოს მო-  
კუზულია და სიარულიც კი უჭირს. ოღმართზე და ფერდობზე კი ლა-  
ლად გაიქრალებს. უფრო მარჯვედ მოძრაობს კლდიან ადგილებში,  
ძლიერ დაქანებულ ფერდობებზე, აკეთებს დიდ, მაღალ ნახტომებს  
და ხშირად ისეთ ფრიალო კლდეზე გადის, სადაც ჭრებისა და ნიამორ-



ის გარდა სხვა ჩლიქ-ისანი ცხოველი აღვილად ვერ გაედინოს კარგად ცურავს წყალში. აღვილად გადაცურავს მთის ჩქარ მდინარეს. მოხერ-ხებულად გადის წაქცეულ და გადახრილ ხეებზედაც ქრისტიანული

არჩევი დღის ცხოველია. შუალლისას და შუალლიშემატკიცის ისევნებს, სხვა დროს კი დადის. საკეების დიდ მარავს არ მოითხოვს, ჯერზე 2—3 კვ ჰყოფნის. ამავე დროს შიმშილის ატანის დიდი უნარი გააჩნია და მრავალნაირი უხეში საკეებით იკვებება. მის კვების რა-ციონში ასზე მეტი მცენარე შედის. ძირითადად სუბალპურ და ალ-პურ მდელოს ბალახითა და იქ არსებული ტყის ნეკერით იკვებება. გაზაფხულსა და ზაფხულში უმეტესად ბალახს ძოვს, ხოლო შემოლ-გომისა და ზამთარში: ნეკერს, მაყვალსა და მარალმწვანე წივანა ბა-ლახის ფოთოლს. გაკირვების შემთხვევაში ჭამს მლიერებს, ხაის, მუ-ხის, რცხილის, ნეკერჩხლის, არყის, მოცვისა და სხვათა ხმელ ფოთ-ლებს. აგრეთვე უთხოვრის, ფრივისა და სოჭის წიწვებს. არჩეს მარი-ლის დიდი შოთხოვნილება აქვს, წყლისა კი — ნაკლები. აღვილად მო-ძებნის და აგნებს მლაშე გამონაყონებს; ბუნებრივ „ვეძებს“. ხარ-ბად ლოკას დამლაშებულ ნიაღავს, მარილთან და სხვა მინერალებ-თან ერთად ჭამს თიხამიწასაც.

ოქტომბრის მეორე ნახევარში იქმნება არჩევის პატარ-პატარა შე-რეული არვები 2—3 ვაცი, 5—6 ნეზვი; ამათში არიან სქესობრივად მოუმწიფებელი მოზარდები: წალები და ქოშები. ასეთ არვეებში ყოველთვის ნეზვები სქარბობენ. ამ დაჭვუფებას თან ახლავს ვალი-ბის ჭიდილი, რაც იმს გვაუწყებს, რომ კერძოილობა იწყება. ეს პრო-ცესი ნოემბერში უფრო აქტიურად მიმდინარეობს და დეკემბერში მთავრდება. ბოტობის დროს ორივე სქესი, განსაკუთრებით ვაცი, სპე-ციფიკურ სუნს გამოსცემს. ეს აღმგზნები ნივთიერება გამოიყოფა რქებს უკან მოთავსებულ სპეციალური მუსკუსის ჭირკვლებისან. რო-მელიც გააჩნია როგორც ვაცი, ისე ნეზვეს. ვაცი არჩევის გამონაყოფი სეკრეტი ნეზვეს აღაგზნებს; ნეზვისა კი — ვაცი. მაცეობა 166—170 დღემდე გრძელდება. თიქნები (1—2) აპრილის ბოლოს, მასში იბა-დებიან. თიქნიანი არჩევი პირველ ხანებში ტყეში, უფრო კლდიან ად-გილებში, ლოდების ჭვეშ, გამოქვაბულებში იმალება. თიქანი დაბა-დებისთანავე, ორი-სამი საათის შემდეგ დგება ფეხზე. ორი-სამი დღის შემდეგ 2—3 კვ-ს იწონის. დედას თან დასდევს, და ხშირად წოეს ტუ-ძუს. 20—25 დღის შემდეგ ძუძუს წოვასთან ერთად ბალახის ჭამისაც

იწყებს და ძალიან სწრაფად იზრდება. ორი თვეს სემონი კარგად დარბის კლდეებზე, დედას დღარ ჩამორჩება და არვეს წვერად გოლება. დედა ტუბეს აგვისტომდე აწოვებს, ამ ცრობულ ტუბეზე — 15 კვ-მდე იწონის და რქები ამოსდის. რქები საქმულ ტუბეზე უკურება: პირველ წელს 5—6 სმ-მდე სიკრძის სწორი და წვერიანი რქა წამოეზრდება, მეორე წელს 12—14 სმ-ს აღწევს და წვერში ოდნავა უკან გადალი ული, მოკაუჭებული. სრულყოფილი, წვერიანი მოკაუჭებული რქა მესამე წელს ეზრდება. პატარა რქიანი მოზარდები დედასთან მეორე წლამდე რჩებიან.

არჩევ ზრდას სამი-ოთხი წლის ასაკში ამთავრებს. სქესობრივად კი ორი წლის ასაკში მწიფდება. ცოცხლობს 20 წლამდე, იშვიათად აღწევს 25 წლამდე. უზრავლესობა 10—12 წლის ასაკში იღუპება.

არჩეს მრავალი ბუნებრივი მტერი ჰყავს, განსაკუთრებით ადვილად იქერს და დიდ ზიანს აყენებს ფოცხვერი, ჯიქი, მკელი, დაუზურებულებს იქერს დათვი, პატარებს თავს ესხმის და აღვილად იმორჩილებს მთის არწივი, მელა, კვერნა, ტყის კატა. ეს ცხოველი ყველაზე მეტად ზვავებისავან ზარალდება. ავადდება სხვადასხვა სახის დაავადებით: თურქულით, ციმბირის წყლულით, ნეკრობა-ცილოზით, ბრუცელოზით, კოკილიოზით, ჰელმინთებითა და ნემატოზებით, აგრეთვე მრავალი სახის გარევანი პარაზიტებით. საყურადღებო და აღსანიშნავია არჩევის სასქესო ჯირკვლების ავთვისებიანი სიმიკნით (კიბოთი) დაავადების ხშირი შემთხვევები, თითქოს ამითაა გამოწვეული ვაცების არეადან განცალკევება — „მარტოფსიტობა“. კიბოთი დაავადებული არჩები შეგვევდა კახეთის კავკასიონზე მდინარე ლოპოტას სათავეებში — სასანთლე ში: გურია-აჭარის ქედზე ბახმაროზე — სათიქინიაში: აჭარის-წყლის ხეობის სათავეებში — ლორჯომის მთაზე და სხვაგან. სხვადასხვაგვარი და ხშირი დაავადებების. აგრეთვე თოვლის ზვავების გამო არის, რომ მისი რიცხოვნობა საერთოდ ნელა მატულობს. ზოვერთ ადგილებში კი — უცბად კლებულობს. ამიტომ საჭიროა ამ ცხოველისაღმი განსაკუთრებული ყურადღება და პროფილაკტიკურ ღონისძიებათა წინასწარ ჩატარება.

არჩევის სამეურნეო გამოყენებას, ერთგვარიად ხელს უშლის ის, რომ ეს ცხოველი ტყვეობაში დიდხანს ვერ ძლებს; მიუხედავად იმისა, რომ ადვილად შინაურდება და ეჩვევა ადამიანს, მალე იღუპება.

ამიტომ სჯობია, მის უშუალოდ ბუნებაში მოშენებას შეესწყოთ ხელი.

არჩევი ადამიანს მაინცდამაინც არ ერიდება და უმეგობრდება კიდეც. ი. რას გვიამბობს ყვარლის სატყეო მეურნეობის წარმომადგრენ, ზოოტექნიკოსი ნოდარ ჩოხელი: „ჩვენი რაფინატურულონადირეო მეურნეობაში — ბურსასა და ღურუჭის ხეობათა სათავეებში არჩევი მრავლად ბინაღობს. აქ ხშირად გვხვდება 15—20 სულიანი არუები. არჩეს მარილი ძალიან უყვარს. მე ხშირად მივდიოდი მათან და საარჩევებში მარილი კლდეებზე ზურგით გამჭონდა, არჩევითითქოს გრძნობდნენ ჩემს მოყვრულ დამოკიდებულებას, ხელებოდნენ. რომ მათთან სასიკეთოდ მივდიოდი, უკვე ყნოსვითაც მცნობდნენ. მათი ნდობა მაღლ დავიმსახურე, (მ აღგილებში მონალიზებს არ ვუშევდი და არც თეოთონ ვარლველი წესს), არჩევი მომეჩვინენ და ბოლოს სულაც არ მერიდებოდნენ, თითქოს დამიმეგობრდნენ კიდეც-ვვრძნობდი, რომ ჩემს გამოჩენას ყოველთვის ხალისით ელოდებოდნენ. ტომარაავიდებულს რომ დამინახავდნენ, ერთმანეთს სტევნით ანიშნებდნენ, თავს ერთად მოიყრიდნენ და შესახვედრად ყველანი სერჩე გადმოღვებოდნენ. სამარილებისაკენ წასულს თვალს არ მოაშორებდნენ. შორიახლოს უკან მომყვებოდნენ. მეც ფრთხილად ვექცეოდი, ვცდილობდი, არ დამეფრთხო, მარილის დადების შემდეგ სამარილეს მაშინევ გავეცლებოდი, თავისუფლად მისვლის საშუალებას ვაძლევდი. მათ უკან არასოდეს გამოედევნებივარ, ზედმეტი დაინტერესება არ მიგრძნობინებია. მხოლოდ ფოტოსურათებს ჩუღებდი... ამგვარად მოჩევულ ნიშა არჩეს ერთხელ უხასიათიბა შევატყვე. სამარილესთან მარტოდ, კოჭლობით მოვიდა. შორიახლოს გაჩერდა და მეც ეჭვის თვალით დამიწყო ყურება. თითქოს აღარ მენდობოდა. როცა უკან გბრუნდებოდი ეს არჩევი ახლა ბილიქე შემეფეთა, რატომლაც ამეღევნა, რამდენხერმე ტყიდან გამოყო თავი, ტუჩებს აცმაცუნებდა. რაღაც ზმუილის მსგავს ბგერებს გამოსცემდა. მისი ქცევა მეუცნაურა, შეშინებულივით იყო. მიახლოვება მოვინდომე, მაგრამ ტყეში გაუჩინარდა. შემდეგ გზა ხელახლა გადამიჭრა და უფრო მოშორებით გაჩერდა, თან გაშტერებული მიყურებდა. მივხედი, რაღაც აწუხებდა და ჩემგან ყურადღებას მოითხოვდა, თანაც ცხოველური სიფრთხილით იქცეოდა. მისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და ისევ გამექცა. სამარილე ტომარა დავინახვე და მის-

კენ შორს გადავაგდე, თან შორიახლო ხეებს ამოვეჭარუ, ისე მოაჩიტე-  
ცი თითქოს მას ყურადღებას აღარ ვაქცევდი. არჩევ ცორიანის შემ-  
დეგ ტომარიასთან მივიდა, ფრთხილად დაყნოსა. **ვაშვარუნული** და  
მშერად პირდაპირ სამარილისაკენ გაემართა. **ჰოგერული** და  
რომ უფრო კარგად დამენახა. ბარკალზე სისხლის ლაქა შევნიშნე. დე-  
და არჩევი იყო, ცურიც დალადრული ჰქონდა. ალბათ ფოცხვერს გადა-  
ეყირა, შეიძლება „მეულლე“, ან თიკანი შეუჭამა კიდეც და თეოთონ  
ასე იოლად ამიტომ გადარჩა. აშკარა იყო მტაცებლისაგან დაგლეჭი-  
ლი ცხოველი ახლა ჩემვან ითხოვდა შეელას.

ასე იყო ერთხელაც, ბრავონიერებისაგან დაჭრილმა არჩევა. რო-  
მელსაც მონადირე ძალლები დასდევდნენ, მოურიდებლად პირდაპირ  
ჩემთან მოირბინა, წინ გამიჩერდა და ნალვლიანი, დაფუთებული თვა-  
ლებით შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა: „რას მერჩიან, მიშველე  
ადამიანონ?“ თან უკან იყურებოდა, ძალლების ყეფას უგდებდა  
ყურს. მაშინ მე მონუსხულივით ერთ აღგილს გავშეშდი, თითქოს  
სუნთქვაც შემეკრა, ველარაფერი მოეახერხე. გონს მხოლოდ მაშინდა  
მოვედი, როცა ძალლებმა მოატანეს და არჩევი მოსხლეტილივით გადა-  
ეშვა ტყეში, მაგრამ შორს წასელა აღარ ინება, ალბათ ისევ ჩემი იმე-  
დი ჰქონდა, არჩევი და ძალლები იქვე ახლოს დატრიალდნენ. როგორც  
ჩანდა არჩევი ახლა დამალვას ცდილობდა, მაგრამ ძალლები კვალში  
ედგნენ, მაინც აგნებდნენ. შეწუხებულმა როგორც იქნა ერთხელ კი-  
დევ მოაღწია ჩემამდე და ძალლებიც მოჰყვნენ. გულმა აღარ მომით-  
ჩინა, ცოდვა ჩავიდინე: ერთი მდევარი ძალი, რომელიც არ დამემორ-  
ჩილა, სიცოცხლეს გამოვასალმე, ხოლო მეორე დავიჭირე და ერთ ჩემ  
თბილისელ მეგობარს ექიმ სოსო გეელესიანს გაეუგზავნე, ჩემი და იმ  
ნატუვიარი არჩევის მეგობრობა, როგორც მოვიყევით, დლესაც გრძელ-  
დება. უკიდურეს შემთხვევაში ნადირმა ასე იცის: მტაცებლის ან მო-  
ნადირე ძალლებისაგან დაფუთებული, როცა ძალიან გაუჭირდება, მხსნელად  
ისევ ადამიანს მიმართავს, თითქოს იცის, რომ ის ყველაზე  
ძლიერია და შეელა შეუძლია. ამ დროს ნადირი თუ დაინდე, უფრო  
ადვილად დაგიმეგობრდებაო“ — მითხრა ნოდარმა და თან ამ დროს  
გადაღებული ფოტოსურათები მაჩვენა. მეც დავიჯერე, რომ ეს ზღაპა-  
რივით იმბავი სინამდვილე იყო.

არჩევი ზოგჯერ მართლაც გასიოცრად იქცევა: ერთხელ, ლაგო-  
დების ნაკრძალში, საღამო ხანს ქოჩალოს მთიდან ქვევით მოედიოდა.

შიხვეულ-მოხვეულ ბილიკს, ე.წ. „პრუეინების“ დასაწყისში მომზადის პირის ლოდზე შემდგარ ერთ შავი ფერის, მამალ არჩევა შევაფეთე. ჩეენ შორის ორმოცი-სამოცი მეტრიც არ იყო. ტრიტონის ტრიტონის მიზნე და გადალება დავიწყე. არჩევი პირდაპირ მიუკრძალება მშენებელ გარბოდა. მხოლოდ მაშინ იყადრა გზის დათმობა, როცა უფრო მიახლოვება მოვინდომე. ივი ნელ-ნელა ზანტად ჩამოვიდა ლოდიდან, გზის ზემოთ სწრაფად შეხტა და კლდეს მოეფარა. რამდენიმე წამში შეეულად აღმართულ კლდის თავზე გამოჩნდა. ახლა იქიდან დამიწყო გამომწვევად ყურება. მე ერთ ადგილზე გავჩერდი და გადალება გავაგრძელე. არჩევიც გაუნძრევლად იდგა და მიყურებდა. თავი საიმედო ადგილს ეგულებოდა, თითქოს იცოდა, რომ იქ ასელას ადვილად ვრ შეეძლებდი. კინოფირზე მოძრავი კადრების გადალება სკობია და ამიტომ ველოდებოდი, როდის ამოძრავდებოდა, მავრამ ამაოდ — ჩემ ჯიბრზე ოდნავაც არ გარჩეულა. ახლოს მისვლა მოვინდომე, კლდეს ამოვეფარე და მიპარება დავიწყე. არჩემა მაშინვე გამივი და გაიქცა. უკან გამოვებრუნდი და გზის დავადევი. არჩევის სტენა გაეიგონე, მიიცხედე და არჩევი ისევ იმ ადგილზე იდგა, თითქოს დამიძახა, ისევ აქა ვარო. ახლა პირდაპირ წავედი მისეენ. სანამ თვალით მხედა-გდა, არ განძრეულა, როცა კლდეს ამოვეფარე და ასელა დავიწყე, კელავ გაუჩინარდა. ასე გაეიმეორეთ რამდენჯერმე. ამასობაში შემომალამდა კიდეც. წამოვედი და ერთხელ კიდევ მიეხედე. არჩევი ისევ თავის ადგილზე იდგა და ნიშა თავს აქნევდა. რამდენჯერმე კიდეც და მისტრინა, აშეარა იყო, თამაშის გაგრძელებას მთხოვდა.

არჩევი რომ ადამიანს ადვილად ეჩევეა და უმეგობრდება, სხვა მაგალითებიც არსებობს: რაჭაში — ამბროლაურის რაიონში, ერთ მონაცირეს მოშინაურებული არჩევი ჰყავდა. რომელსაც ბოლოს საჭირო ყურადღებას ვეღარ აქცივდა და ბუნებაში თავისუფლად გაშვება გადაწყვიტა, მანქანით წაიყვანა და, სადაც დაიჭირა, იმ ადგილზე (ურავის ხეობის სათავეებში, ტყის ზედა საზღვარზე) საარჩევებში გაუშვა. თვითონ უკან გამობრუნდა, გამოიარა რამდენიმე კილომეტრი, წისქვალთან შეჩერდა, მიიცხედა და დაინახა, რომ მისი არჩევი მანქანას სიჩბილით უკან მოსდევდა. მონაცირე მანქანიდან გაღმოვიდა, დაჭლა და არჩეს მოუალერს. არჩევიც მოუჩიდებლად მიეკიდა თავის გამზრდელთან, თავი მკერდზე მიაღო, თითქოს გულში ჩეებუტა და უსაყვე-

დურა, ასე ადგილად რად გამიმეტეო. პატრონს ცხოველზე შეცოდა და ისევ სახლში წამოიყვანა. მაგრამ არჩეის მოელა მარნე ცხვრაზე შეძლო და ეს საყვარელი არსება თბილისის ზოოპარკს ჩააბარა. აქ კი/არჩევმა ინალელა, საკვებს არ მიეკარა, მნახველებს მოწყვეტილი შეკუჭმოდა, ერთ ადგილზე გაქვავებულივთ იდგა და შორს ჰქილავი/მსკურებოდა, პატრონის გამოჩენას ელოდებოდა. ზოოპარკის დირექტორი ვივი გუშებერიძე მიხედა, რომ ცხოველი აღმზრდელის განშორებას განიცილდა და შეატყობინა ჩამოსულიყო, მაგრამ შეაგვიანდა, ცოცხალს ვეღარ მოუსწრო, არჩეი მალე მოკვდა.

არჩევი არამარტო უმეგობრდება ადამიანს, ზოგჯერ მის გუშაგადაც გვევლინება სამამულო ომის დროს, როცა მტერი კავკასიონის, კარიბებს მოადგა, სანქტ-ულელტეხილზე ცხირე ბრძოლების დროს, ერთ-მა არჩემა თურმე მთელი ასეული გადაარჩინა: გამთენისას საგუშავიზე მყოფმა მთელმა მონადირე ჯარისკაცმა, რომელმაც არჩეის „ხასიათი“ კარგად იცოდა, მოულოდნელად. სრულიად სხვა მხრიდან, საიდანც არაეითარ საფრთხეს არ ელოდნენ, არჩეის სტენა ვაიგონა, ამ ხმამ დააცემა და უფრო გაამახვილა ყურადღება იმ მხარეს, ფრთხილ ად გადახოხდა და ადგილი დაზვერა. დარწმუნებული იყო, რომ არჩევ ამგვარად მხოლოდ ადამიანის დანახვისას, საფრთხის დროს უსტვებს, და მისი ეჭვი კიდეც გამართლდა. მთამსვლელი გერმანელი პარაშუტისტები, თურმე ციცაბო ფერდობიდან ეპარებოდნენ ჩვენიანებს. არჩეს ეს არ გამოპარვია. მის სტენას მალე შაშხანების ქუხილი დაერთო და კლდეზე თოკებით დაკიდებული მტრის ჯარისკაცები წუთში გაანალებულეს. ამის შემდეგ აქ არჩეს მებრძოლები თავის მეგობრად თვლიდნენ და თოფს აღარავინ ესროდა. ამ ამბის მომსწრენი იმ „შვერავი“ არჩეის სადლეგრძელოს დღესაც სვამებს.

არჩევი საქართველოს ბუნებრივი რესურსების ათვისებისა და სამონადირეო მეურნეობის განვითარების დიდ პერსპექტივას ქმნის, რადგან საპინადროდ იყენებს მთის სხვამხრივ ნაკლებად გამოსაყენებელ, ძლიერ დაქანებულ, ტუე-კლდიან ფერდობებს. იყენებს აგრესულ ალპური ზონის კლდიან საძოვრებსაც. კარგად ეგუება მთის მკაცრ ბუნებრივ პირობებს. იტანს საკვების ნაკლებობას. საარსებოდ დიდ ტერიტორიასა და ხელოვნურ კვებას არ მოითხოვს. რაც მთავარია, ახასიათებს ადგილზე მობინაზრეობა, ნაკლებად მომთაბარეობს. ტერფისა და ჩლიქების თავისებური აგებულების მეშვეობით, იმით რომ

ნისი ჩლიქების ნახევრები თხილამურიეთ წაგრძელებულია, ამა-  
ერ იწევა განზე, ამსუბუქებს სხეულს, თოვლში ღრმად იარ ფულიბა  
და ადვილად სძლევს დიდ, გამაგრებულ თოვლის საუკეთესო ტექნიკური  
ჩლიქოსნებისათვის ხშირად დამღუპველია. არჩევ ჭრის უზარეს უზენა  
გის ადგილს მყოფელში მობინადრე ცხოველებს, ამიტომ მისი აკლი-  
მატიზაცია და რეაკლიმატიზაცია ყველგან შეიძლება. იგი საუკეთესო  
ცორტული სანადირო-სარეწაო ცხოველია. იძლევა ცოცხალი წონის  
60%-მდე (15—20 კგ-მდე) საუკეთესო ხარისხის ხორცის. ცხიმს, რო-  
მელიც ძალიან მაღვე ცივდება და იყინება. გამოიყენება ტყავი, ბეჭვი,  
რქები და ჩლიქებიც. მიუხედავად იმისა, რომ ამჯემად არჩევ ნადი-  
რობა აკრძალულია განუსაზღვრელი დროით, თუ ამ საქმეს წესიერიად  
წარვმართავთ, ჭოვილან გამოცალკევებულ ბებერსა და ავადმყოფ  
„მარტოფსიტაზე“ წლის ყველა დროს (კარგად ორგანიზებულ არჩევის  
სამონადირეო მეურნეობებში, საღაც სათანადო კონტროლი იქნება  
დაწესებული ცხოველის მოპოვებაზე) დაშვებული უნდა იყოს ნადი-  
რობა, რაღვენ ასეთი ეგზემპლარები გვარისათვის უკვე უკარგისია და  
მინც დასალუპავადა განწირული.

საქართველოში არჩევის სამონადირეო სავარგულს ერთ მილიო-  
ნამდე ჰქექტარი უკავია. ამ სავარგულში ირჩევ არათანაბრადაა გენიტი-  
კულტული. ყოველ 1000 ჰქექტარზე არჩევის დასახელების საშუალო სემ-  
პიდროვე 3—5 სულს არ აღმატება, საერთო რაოდენობა კი ხუთია-  
თასს. ბუნებრივი შესაძლებლობა საშუალების გვაძლევს სხვადასხვა  
ხარისხის სამონადირეო სავარგულში არჩევის დასახელების საშუალო  
სიმჭიდროვე 1000 ჰქექტარზე 25—30 სულამდე გაიზარდოს, საერთო  
რაოდენობა კი — 25—30 თასამდე. მაშინ შესაძლებლობა გვექნება.  
უოველ წელს გეგმიურად 7—8 თასამდე არჩევი მოვიპოვოთ და სა-  
ხელმწიფოს 100 ტონაზე მეტი ხორცი ჩავაბაროთ.

## ნ ი ა მ რ ი 0

სიმაგრეებში ნაზარდო, ვაცო, უკალოდ მტრიან!

ხ ა ლ ხ უ რ ი 0

ნიამორი ღრურქიანთა ოჯახს ეკუთვნის. ცნობილია ამ სახეობის  
რამდენიმე ქვესახეობა, რომელთაგან საბჭოთა კავშირის ფარგლებში  
მოიპოვება ორი: კავკასიური ნიამორი და თურქმენული ნიამორი, საქ-

დურა, ასე ადგილად რად გამიმეტეო. პატრონის ცხოველი შეიცოდა და ისევ სახლში წამოიყვანა. მაგრამ არჩეის მოელა მარნუ დაბარ მეძლოდა და ეს სიყვარელი არსება თბილისის ზოოპარკს ჩატარებულ ურჩემა ინაცელა, საკეთო არ მიეკარა. მნახველებს მოუწელეს უწყებულებიდა, ერთ ადგილზე გაქვავებულივით იდგა და შორს სადღაც იყუოებოდა, პატრონის გამოჩენას ელოდებოდა. ზოოპარკის დირექტორი ვიზი გუმბერიძე მიხვდა, რომ ცხოველი აღმზრდელის განშორებას განიცალდა და შეატყობინა ჩამოსულიყო, მაგრამ შეავვიანდა, ცოცხალს ვერარ მოუსწრო, არჩევი მალე მოკვდა.

არჩევი არამარტო უმეგობრდება აღამიანს, ზოგჯერ მის გუშაგადაც გვევლინება სამამულო ომის დროს, როცა მტერი კავკაციონის, კარიბეს მოადგა, სანვაროს ულელტეხილზე ცხარე ბრძოლების დროს, ერთ-მა არჩემა თურმე მთელი ასეული გადაარჩინა: გამთენისას საგუშაგოზე მყოფმა მონაღირე ჯარისკაცმა, რომელმაც არჩევის „ხასიათი“ კარგად იცოდა, მოულოდნელად, სრულიად სხვა მხრიდან, საიდანაც არავითარ საცროხეს არ ელოდნენ, არჩევის სტენა გაიგონა, ამ ხმამ დაცემვა და უფრო გაამახვილა ყურადღება იმ მხარეს, ფრთხილ-ად გადახოხდა და აღგილი დაზეერა. დარწმუნებული იყო, რომ არჩევი იმგვარად მხოლოდ აღამიანის დანახვისას, საფრთხის დროს უსრულეს, და მისი ეჭვი კიდეც გამართლდა. მთამსვლელი გერმანელი პარაშუტისტები, თურმე ციცაბო ფერდობიდან ეპარებოდნენ ჩვენიანებს. არჩეს ეს არ გამოპარვია. მის სტენას მალე შაშხანების ქუხილი დაერთო და კლდეზე თოკებით დაკიდებული მტრის ჯარისკაცები წუთში გაანადგურეს. ამის შემდეგ აქ არჩეს მებრძოლები თავის მეგობრად თვლიდნენ და თოფს იღარევინ ესროდა. ამ ამბის მომსწრენი იმ „შვერავი“ არჩევის სადღევარძელოს დღესაც სვამენ.

არჩევი საქართველოს ბუნებრივი რესურსების ათვისებისა და სამონადირეო მეურნეობის განვითარების დიდ პერსპექტივის ქმნის, რადგან საბინადროდ იყენებს მთის სხვამხრივ ნაკლებად გამოსაყენებელ, ძლიერ დაქანებულ, ტექ-ელდიან ფერდობებს. იყენებს აგრეთვე ალპური ზონის კლდიან საძოვრებსაც. კარგად ეგუება მთის მკაცრ ბუნებრივ პირობებს. იტანს საკეთო ნაკლებობას. საარსებოდ დიდ ტერიტორიისა და ხელოვნურ კვებას არ მოითხოვს. რაც მთავარია, ახასიათებს ადგილზე მობინაზრეობა, ნაკლებად მომთაბარეობს. ტერფისა და ჩლიქების თავისებური აგებულების მეშვეობით, იმით, რომ

მისი ჩლიქების ნახევრები თხილამურივით წაგრძელებულია / ძლიერ იწევა განზე, ამსუბუქებს სხეულს, თოვლში ღრმად ჰარი გულაბა და აღვილად სძლევს დიდ, გამაგრებულ თოვლის საფარის, რაც სავა ჩლიქოსნებისათვის ხშირად დამლუპველია. არჩვი აუზუდანულს ჩემი გის ადგილსამყოფელში მობინადრე ცხოველებს, ამგრძელებულ გის გარიზაცია და რეაკლიმატიზაცია ყველგან შეიძლება. იგი საუკეთესო სპორტული სანადირო-სარეწაო ცხოველია. იძლევა ცოცხალი წონის 60%-მდე (15—20 კგ-მდე) საუკეთესო ხარისხის ხორცს. ცხიმს, რომელიც ძალიან მაღალ ცივდება და იყინება. გამოიყენება ტყავი, ბეჭვი, რქები და ჩლიქებიც. მიუხედავად იმისა, რომ ამეამად არჩვებე ნადირობა აკრძალულია განუსაზღვრელი დროით, თუ ამ საქმეს წესრეჩად წარვმართავთ, ჯოგიდან გამოცალკევებულ ბებერსა და ივალმყოფ „მარტოფსიტაზე“ წლის ყველა დროს (კარგად ორგანიზებულ არჩვის სამონადირეო მეურნეობებში, საღაც სათანადო კონტროლი იქნება დაწესებული ცხოველის მოპოვებაზე) დაშეებული უნდა იყოს ნადირობა, რაღაც ასეთი ეგზიმპლარები გვარისათვის უკავე უვარგისია და მინც დასალუპავადა განწირული.

საქართველოში არჩვის სამონადირეო სავარგულს ერთ მილიონ-მდე ჰქებრაზი უკავია. ამ სავარგულში არჩვი არათანაბრადაა განაწილებული. ყოველ 1000 ჰქებრაზე არჩვის დასახელების საშუალო სიმჭიდროვე 3—5 სულს არ აღემატება, საერთო რაოდენობა კი ხუთიათასს. ბუნებრივი შესაძლებლობა საშუალების გვაძლევს სხვადასხვა ხარისხის სამონადირეო სავარგულში არჩვის დასახელების საშუალო სიმჭიდროვე 1000 ჰქებრაზე 25—30 სულამდე გაიზარდოს, საერთო რაოდენობა კი — 25—30 ათასამდე. მაშინ შესაძლებლობა გვეზნება, ყოველ წელს გეგმიურად 7—8 ათასამდე არჩვი მოვიპოვოთ და სახელმწიფოს 100 ტონაზე მეტი ხორცი ჩავიბაროთ.

## ნ ი ა მ თ რ ი

სიმაგრეებში ნაზარდო, ვაცო, უვალოდ მტრიანო!

ხ ა ლ ხ უ რ ი

ნიამორი ღრურქიანთა ოჯახს ეკუთვნის. ცნობილია ამ სახეობის რამდენიმე ქვესახეობა, რომელთაგან საბჭოთა კავშირის ფარგლებში მოიპოვება ორი: კავკასიური ნიამორი და თურქმენული ნიამორი, საქ-

ართველოში გავრცელებულია კავკასიური ნიამორი, რომელსაც უფრო  
დიდი ზომა-წონა და ლამაზი რქები ახასიათებს.

ნიამორი მთის თხების გვარის უცველესი და უძვია-  
თესი სახეობაა. იგი შინაური თხების უახლოესი წენაპარულ-განვითა-  
ლად მართლაც ზოგიერთი შინაური თხის ჯიშის განვითარებულ მქა-  
ვით წვერებიანია და მისი 80—160 სმ-მდე სიგრძის ბრტყელი, ბორ-  
ცვებიანი რქები უკან ნამგალივითაა გადახრილი. ნეზეს 20—30 სმ-  
მდე სიგრძის სუსტი და ნაკლებად გადახრილი რქები აქვს. ნიკაპზე  
წვერებიც ოდნავ ეტყობა და ულაზითო შესახედავია. სამაგიეროდ  
ვაცი სილამაზით კავკასიურ ხარისხმს არ ჩამოუვარება. განსაკუთ-  
რებით მომზიბელელია კლდის ქიმზე ქანდაკებასავით მდგომი ნიამო-  
რი, რომელიც ასეთ შიშველ, უტყვეო კლდის კინჭუხს თითქოს განვებ  
ირჩევს, რომ თავის სილამაზე ქვეყანას დაანათლოს, მთიელები ამიტომ  
უწოდებენ მას „კლდის ვაცს“. მისი ვრცელი, უკან გადალუნული,  
ხმალივით ბრტყელი, ფეხიანი რქები ტანს უსწორდება და თავისებურ  
სილამაზეს მატებს. ამ მშვენებაზე ამბობს ხალხური ლექსი:

ქარაფზე წაღვა კლდის ვაცი,

ლამაზად გაიზართო.

წამიგრძელა კისერი,

რქებ ზერგზე გადიყარაო.

კლდეებზე რქათა ნაგრილი,

შშვილდივით მაიხარაო.

ნიამორი ხასიათდება: მოკლე და მქვრივ-კუნთოვანი, აკვალთული  
სხეულით და სქელი ფეხებით. აქვს მოკლე, 15—20 სმ-მდე სიგრძის  
ბრტყელი, ფუნჯიანი კუდი. მისი სხეული სიგრძე 1,5 მეტრს იღწევს,  
მრნდაოში სიმილლე — 90—100 სმ-ს, უკანა მხარე (გვა) შედარებით  
მაღალი აქვს. ამიტომ გარეგნულად წელში ოდნავ მოხრილი ჩაას. ვა-  
ცის ქალას სიგრძე 248—279 მმ-ია, ნეზები 215—235 მმ-მდე. ცოც-  
ხლი წონა 60—80 კგ-ს აღწევს. დელლები უფრო მცირე ზომა-წონისა-  
ნი არიან.

ნიამორი ზამთარში, ზერგზე, მურა-მუქია, ფერდები კი მორუხო  
აქვს, კისრიღან კუდამდე შავი ზოლი გასდევს, კუდი და ნიკაპზე წვე-

რიც მოშაო ფერისა აქვს, მკერდსა და მუცელზე თეთრია, ვაცებს ეს-  
სითეთრე უფრო ძლიერ აქვთ გამოხატული და კიდურების შიდა  
მხარეზე ჩლიქებამდე გასდევს, ბარბაუების გარეთა შხარე კი მურაა.  
ახალგაზრდები ზაფხულში ზურგსა და გვერდებზე უფრო მოწაბლის-  
ფრო-ყავისფერია, ხერხემალზე კი მათაც მურა ფერმა ქვემდებარებულის  
ბეჭვის ცელას მარტის დამდეგს იწყებს, პუნქტუალური მურა-  
სულის სამოსშია. სექტემბერში კი ზამთრის მორუხო ბეჭვი ეზრდება.  
მც დროს ახალგაზრდები უფრო ღია-ნათელი, რუხი შეფერილობისა-  
ნი არიან, მათ ზურგსა და კიდურებზე სიშავე ბევრად აღარ ეტყობათ.  
ჩლიქები მაღალი, წაგრძელებული, კუთხიანი ფორმისა აქვს. მისი ნაკ-  
ვალევი შინაური ვაცის და ჯიხვის ნაკვალევს წაგავს, მაგრამ მათზე  
ოდნავ დიდი ზომისა და წინა ნახევრილან წაწვეტებულია.

საქართველოს ფარგლებში ნიამორი მხოლოდ მთავარ კავკასიონ-  
ზე განაპირა სასაზღვრო აღგილებში გვხვდება. ძირითადად დაღისტ-  
ნის: ანდის, ავარიის ხეობათა სათავეებში, ბოკოსკომის ქედსა და  
მის მომიჯნავე აღგილებში ბინადრობს. აქედან შემოღის ჩვენი რეს-  
პუბლიკის საზღვრებში: შილდისა და საბუის მთაში. პირიქით ალაზ-  
ნის ხეობაში — თუშეთში დიკლოს, ჩილოსა და შენაქოს ხეობებში.  
შემორჩენილია ოლუნის ხეობაში — არდოტისა და არიშის ხეობათა  
შორის მოქცეულ ტყის შასიერში. აქედან შედის მითხოს ხეობაში და  
ასას ხეობამდე ვრცელდება. მცირე კავკასიონზე იჭარის წყლის ხეო-  
ბის სათავეებში — ყარადერსუს მთის ფერდობზე 1975 წელს მონა-  
დირეებმა ნახეს ზვავისაგან ჩამოგდებული ნიამორი ერთ მეტრამდე  
სოვერძის რქებით. 1982 წლის ზაფხულში წიხანის მთაში — 65-მდე  
ნიამორი დაეთვალეთ. საქართველოსა და ღალესტნის გარდა ნიამორი  
გავრცელებულია: სომხეთში, თურქმენეთში, საბერძნეთში, ირანში,  
თურქეთში, ავღანისტანსა და ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში.

ნიამორის ტიპური აღგილსამყოფელია სუბალპური ზონის ძნე-  
ლად მისაღვომი კლდე-ტყიანი აღგილები (1500—2500 მ ზ. დ. ფარგ-  
ლებში, თუმცა ზოგიერთ აღგილებში 3000 მ ზ. დ-ზე მაღლაც ვრცელ-  
დება. იქ, საღაც ტყეში გაუვალი კლდეები დაბლაა, შეიძლება ნია-  
მორმაც იარსებოს, თუნდაც ეს ზღვის დონიდან 500—600 მეტრ სი-  
მაღლეზე იყოს. ლიტერატურული ცნობებით შეა აზიაში ნიამორი  
ზოგან 100—200 მ ზ. დ-ზე, ნახევრად უდაბნოებში ბინადრობს.

მთავარ კავკასიონზე ნიამორი თავის გავრცელების ადგილებში ზოგან მუდმივ თოვლის ხაზამდე აღის, მაგრამ იქ მურამისად არ განადრობს. საბინადროდ ყოველთვის ძლიერ დაქანებულ კლიტონ ფერდობებსა და ლრმა, ყრუ ხევებს ირჩევს. მაგრამ უტესებულ უწევებისა ინც არ უყვარს. საერთოდ ვაცეპი უფრო მაღალ ტექნიკურ უსაკუთრობენ, ვიდრე ნეზევები.

ნიამორი თავისი ადგილსამყოფელის ტიპობრივი მიმონადრეა. ადგილმონაცვლეობა არ უყვარს. სადაც იბადება და იზრდება, მთელ თავის სიცოცხლეს იქვე ატარებს. საბინადროდ პატარა ადგილიც კი ჰყოფნის; თუ მას საიმედო თავშესაფარი კლდეები და გამოქვაბულები ახლავს. ამონებებულ ადგილს შორ მანძილზე არ სცილდება. წყლის, მარილისა და სხვა საკეებისათვის ახდენს მხოლოდ მცირე მანძილიან ადგილგადანაცვლებებს.

ნიამორი, როგორც მთის ყველა ცხოველი ზემთარში, დიდთოვლობისას ხევის პირებში ჩამოდის, ხოლო ზაფხულში, როცა თოვლი დნობას იწყებს, ზევით მიიწევს. უფრო მეტად კი სამხრეთ ექსპოზიციის ძლიერ დაქანებულ, თანაც კარგად განათებულ პირმშით ფერდობებზე გადაინაცვლებს. სადაც თოვლი ზვავების, ქირებისა და შიშის რაღიაციის გავლენით დიდხანს არ ჩერდება. ასეთ ფერდობებზე მთაში გაზაფხული და მცენარეთა ვეგეტაცია ერთი თვით აღრე იწყება. გარეულ ცხოველებს აქ მოძრაობა და საკეების მოპოვება ყოველთვის შეუძლიათ.

ნიამორი ბინადრობს პატარ-პატარა, ორი-ოთხი, იშვიათად 7—11 სულიანი არცების სახით. 1970 წლის ზაფხულში ასას ხეობაში — ბისნისა და ტანიის ხეობებს შორის მოქცეულ მთის ფერდობზე, ჯიხვებს ჭოვრით ვულთვალთვალებდით. საღამოს ხეთი სათი იყო, როცა ისინი კლდე-ტყიან ლელედან გამოვიდნენ და საძოვარზე გაიშალნენ. ძალიან გამიკვირდა, რომ მათ შორის თერთმეტი ნიამორიც ერთა. ნიამორი აქამდის აქ არავის უნახავს: თანაც ნიამორები ჯიხვების ფარაში იშვიათად ერევიან. ეს ერთ-ერთი ხეობაა, სადაც ჯიხვები და ნიამორები ერთ ადგილსამყოფელში იყრიან თავს. რადგან ჯიხვების საბინადრო ალპური ზონა ცხვრის ფარებს უკავია. თანაც გაუვალი კლდეები ნაკლებადაა. ამიტომაა, რომ ჯიხვი აქ უფრო ტყეში ბინადრობს, სადაც კლდეები და ციცაბო ფერდობები სჭარბობს (მითხოვა

და არღუნის ხეობაში კი ნიამორი ჭვევით — ტყეში ბინათრობს, ჯიხვი — ზევით ალპურ ზონაში. ასულ განცალებულად ართნ დიჭ-ლოსა და ჩილოს ხეობებშიც. აქ, ნიამორის აღვილსამყოფელში, ჯიხვა არასოდეს არაა.

### ურავისული

ნიამორზე დაკვირვება გავაგრძელეთ: ისინი უკიდურეს შემოწინებულოს იყვნენ და წიწვიან-არყიან მეჩხერ ტყის პირს არ სცილდებოდნენ. კერშილობის წინა პერიოდი იყო, ერთმანეთს დასდევდნენ, ვა-ცები ხანდახან ჭიდაობდნენ კიდეც, მაგრამ ერთმანეთს რქებს გამე-ტებით მაინც არ ურტყამდნენ, თითქოს ერთმანეთს წინასწარ უსინ-ჯავდნენ ძალას. ერთი დიდი ნიამორი ხარჯიხვებსაც აშინებდა, მასთან ჰიდილს, მხოლოდ ერთი ცალტქა ჯიხვი ბედავდა და არ გაურბოდა. ორი დიდი ვაცი განმარტოებულად, ხის კენჭეროებშე მაღლა აზი-დულ კლდის თავშე იდგა. ისინი დროდაბრო თითო-თითოდ ჩინდებო-დნენ, თითქოს რიგით მორიგეობდნენ, სალ კლდეს რატომლაც არ სცილდებოდნენ. მათთან ახლოს მიპარვა და სურათის გადაღება ადვილად მოხერხდებოდა, მაგრამ გვიანი იყო, ბნელდებოდა. ადვილ-ად შესამჩნევ აღვილას სამიზნესავით იდგნენ. ეუყურებდი და ვოიქ-რობდი: იქნებ ეს ქცევაც არის ხელის შემწყობი მიზეზი მისი რიც-ხოვნობის უკიდურესად შემცირებისა.

1978 წლის ზაფხულში ამ აღვილებში ისევ მოვწვდი და აღვი-ლობრივ მონადირეებს ნიამორების ამბავი გამოვყითხე. მათი გადმო-ცემით აქ ერთი კლდის ვაცილა შემორჩენილა, დანარჩენი კი მწყემსე-ბსა და ბარიდან ასულ ბრაკონიქრებს დაუხოცა.

1981 წლის ზაფხულში ნიამორის გავრცელებისა და რიცხოვნო-ბის შესწავლისათვის ჩვენ შემოვიარეთ: არღუნის ხეობა — შატილი-დან 5—10 კილომეტრის დაშორებით ხეობის მარჯვენა მხარეს, ტყე-კლდიან აღვილებში ცალ-ცალქე (2—3 ერთად) შვიდი ნიამორი ვნა-ხეთ (ამ ხეობაში 1980 წლის შემოდგომასა და ზამთარში აღვილობ-რივ მონადირეებს 13 ნიამორი მოუკლავთ, 1981 წლის შემოდგომაშე კი — 2 ნიამორი მოკლეს); ჩილოს ხეობაში — ცალ-ცალქე ექვსი ნია-მორი დავითვალეთ, დიკლოს ხეობაში რვა (აქ ბრაკონიქრებმა ჩვენი იქ ყოფნის დროს, ერთ კვირაში, სამი ნიამორი მოკლეს. ჩვენ აღვილ-ზე გადავიღეთ ერთ-ერთი მოკლული ნიამორისა და ბრაკონიქრ ან-6. ა. არაბული

ზორ თსურაულის ფოტოსურათები). ეს მასალები ცხადჲყოფენ ნიამო-  
რის დაუცველობას და მის მომავალ ბეღს.

ნიამორი ადამიანისაგან იძლენადაა დაშინებული, რომ საძოვარზე  
დილას დამით, ხოლო სალამოს გვიან შებინდებისას გამოიწვია მართლია-  
ლესა და შუალამისას კი მიუდგომელ კლდე-ტყიას ვიწრო ღელეერში  
აფარებს თავს. უამინდობისას ნიამორების მთელი ჯგუფი ზოგჯერ  
გამოქვაბულ კლდეში ერთად შედის და ერთმანეთთან ახლო-ახლოს  
წვებიან, ნაწილი კი ფეხზე დგას, თითქოს დარაჯობენ კიდეც. შემჩნე-  
ულია, რომ ნიამორების ჯგუფს ხშირად ფრთხილი ნეზვები იცავენ.  
ყარაულის გამოყოფა კი აქ არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ ჯგუფში უვე-  
ლი ერთნაირად არ ფრთხილობს. აშკარაა, რომ ნეზვები უფრო  
ფრთხილები არიან, ვიდრე ვაცები. საფრთხის დროს ერთი მიმართუ-  
ლებით გარდიან, მაგრამ ჯგუფი ადვილად იშლება.

ნიამორს ჯიხვივით კარგად განვითარებული მხედველობა, ყნოს-  
ვა და სმენა აქვს, მაგრამ ჯიხვთან შედარებით ნაკლებად ფრთხილია,  
ტყიან ადგილებში მასთან ნიავის საწინააღმდეგოდ მისვლით ახლოს  
მიპარვა 100—200 მეტრამდე შეიძლება მოხერხდეს, როცა ნიავი მის-  
კენ უბერავს, ადამიანის სუნს ერთ კილომეტრზე შორს იგებს და  
კლდეებზე ხტომით ელდასავით გარდის. ამაზეა ხალხური ნათქვამი:

რცე-ელდანებში ნადგომო,

ვაცო, რქებ ლაზათიანო,

აშპავს მოგოტან ნიავი,

თავი არ დაიზანო.

ნიამორს სწორ ადგილზე სწრაფი სირბილი არ შეუძლია. მას მო-  
ნადირე ძალით ადვილად დაეწევა, მაგრამ კლდეზე და ციცაბო ფერ-  
ღობებზე ხტომაში. ჯიხვის გარდა, ბალალი არ ჰყავს. შვეულ  
კლდეზე 3—4 მეტრზე მაღლა შეხტება ხოლმე. ჩვენ გაოცებული  
დავრჩით, როცა კლდეში ჩაჭედილ ცხრა-ათი მეტრის სიგანის მდინა-  
რე არღუნს ვაცი ერთი სკუპით გადაახტა. ამიტომ არის, რომ თავის  
ადგილსამყოფელში მას მგელი იშვიათად იქერს. ჯიქის, ფოცხვერისა  
და მთის არწივის მეტი მას ბუნებრივი მტერი არ ჰყავს. სამაგიეროდ  
ხშირად ავადდება: ნეკრობაცილოზით, ნემატოდებით, ნიამორში ნაპოვნი  
22 სახის ჰელმინთიდან ოცს საერთო აქვს შინაურ პირუტყვთან.

ნიამორი შემოდგომაზე ძალიან მსუქანია. იკვებება /განახანით, ხემცენარეთა ფოთლებითა და ნეკერით. ზამთარში ცალის მოცერებსა და ხავსსაც. იქვე მარილის დიდი მოთხოვნილება. ეტანება მღლაშე სალოკავებს „მუჭებს“, ლოკავს დამღლაშებულ თიხატაზე და განაკვეთის გამო მას კუჭში უჩინდური გაკერაული საკედის გუნდები — „კუჭის კვები“. რასთანაც დაკავშირებულია ნიამორის რუსული სახელწოდება — „ბეზოაროვი კაზიოლ“.

კერშილობის დროს, რაც ნოემბრის ბოლოს იწყება და დეკემბრის ბოლომდე გრძელდება, ნიამორი განსაკუთრებით ვაცი, ძალიან ხდება, ზამთარი უსწრებს და გამოზამთრება უკირს. ხნიერი ვაცები მთლილ კერშილობის დროს მიღიან არგესთან, სხვა დროს უმეტესად ცალკე არიან. კერშილობა ჩვეულებრივ ვაცების ჭიდილით იწყება. არვეში, ერთხელ გამარჯვებული უფროსობს, ახალგაზრდა ვაცები მათან მორილებულად იქცევიან.

ნიამორის მაკეობის ხანგრძლივობა ხუთ თვენახევრამდე გრძელდება. თიკნები (1—2 ცალი) მაისში იბადებიან და დაბადების პირველ დღიდანვე დედას თან დასდევენ. დედა მათ ხუთ-ექვს თვემდე, კერშილობის დაწყებამდე აწოვებს. ამასთან ერთად ბალახითაც იკვებებიან და სწრაფად იზრდებიან. შემოდგომისათვის უკვე 12—15 კგ-ს, აღწევენ, პატარა სარქეებიც ამოებურცებათ. ამ ასაკში მათ „ვაცუნებს“ უწოდებენ. ისინი უკვე დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ, მაგრამ დიდების გვუფს მაინც არ შორდებიან, მათი მეთვალყურეობის ქვეშ არიან. დაობლებულ თიკნებს ზოგჯერ ბებერი ვაცებიც შეიქედლებენ. მოზარდები 3—4 წლამდე უმეტესად დედების არვეში არიან, საშუალო ხნისა და ბებერი ვაცები კი ყოველთვის ცალკე არვეს ქმნიან.

ნიამორი სქესობრივად ერთი წლის ასაკში მწიფდება, ხოლო გამრავლებაში მეორე წელს მონაწილეობს, ზრდას კი ოთხი წლის ასაკში აზთავრებს. ბუნებაში 15—20 წლამდე ცოცხლობს, ტყეებაში კი 8—10 წელზე მეტხანს ვერ ძლებს. აღნიშნულია შემთხვევა, რომ ნიამორმა ზომპარქში 14—17 წლამდე იცოცხლა.

ნიამორზე ნადირობა განმეორებით 1925 წელს განუსაზღვრელი ვადით იცრდალა, მაგრამ მისმა რიცხოვნობამ მაინც არ მოიმატა, რადგან კონტროლი სუსტი იყო, მაინც ნადირობდნენ. ბრაკონიერებმა განსაკუთრებით დიდი ზარალი ამ ცხოველს ომიანობისა და ომიანო-

ბის შემდგომ წლებში მიაყენეს, როცა შორს მსროლებლი შინაგანებით შეიიარაღებულმა ბანდიტებმა, რეციდივისტებმა და მათთან მცირდოლად პარტიზანებმა მთაში დაიდგვეს ბინა...

ამ საუკუნის 40-იან წლებამდე ნიამორის მოსახურით შემდგები ბინადრობდა შატილის ქვემოთ, ანატორის ჯვრის შილამექში, სატაც უამრავი შენაწირი ჩაქებია. სალოცავის ხათრით ამ ტერიტორიაზე თოფს არავინ ესროდა და ისინიც ზოგჯერ დღისით-შისით ჩამოდიოდნენ არღუნზე წყლის დასალევად. მოპირდაპირე საბოსლო აცეხიდან შეუიარაღებელი თვალითაც კი ადვილად გაიჩინდა რომელი იყო ვაცი და რომელი თხაო, ამბობენ შატილელები.

ანატორის ქვარის ტერიტორია, რომელიც თავის კლდე-ლრეებით ათას ჰექტარს არ აღემატება, საქმარისი იყო ამ ცხოველისათვის, რომ თავი გადაერჩინა და გამრავლებულიყო. აქ შეხიზნული ნიამორი ხატის ცხოველად იყო აღიარებული და მას თოფის სროლას ვერავინ უბედავდა. ვიღაც სულწასული გადამთიელი თუ ტაარლევედა ამ წესს, უჯრძელი ნაღირის მოკვლა ბევრს სანაებლად გახდომია, რადგან თავს დამტყდარ უბედურებას ამ ნაღირის მოკვლას აბრალებდნენ. თვით ხალხი იყო ხატის ინტერესებისა და ტრადიციების დამცველი. ხატის რწმენას იყენებდა ამ იშვიათი ცხოველის დასაცავადაც. ერთხელ თურმე აქ მეზობელ სოფელში მცხოვრებმა, გზად მიმავალმა ახალგაზრდა ქისტმა, კლდეზე ლამაზად გადმომდგარი „კლდის ვაცი“ დაინახა, ველარ მოითმინა, თემ-სოფლის ხათრი არ შეინახა, ესროლა, გაღმოავდო და თან დაიტრაბახა: თქვენ ხატს ტყვია შუბლში მოვარტყოთ. საკუთარ შუბლში მოგირტყამსო, უთხრა ერთმა იქაურმა მოხუცმა. ამ „თავმომწონე“ ქისტს თურმე სამი პირი ცოლშვილი ჰყავდა. იმ ხანებშივე თავის თქახი ააწიოკა. უფროს ცოლს შეშის ნაჩეხით გაუხეთქა თავი. შვილმა სისხლიანი დედა რომ დაინახა, საკუთარ მამას ტყვია იმავე იარაღით, მართლაც შუბლში დაახალა. ასეთ დამთხვევებს ხალხი შემდეგ ხატის მიზეზს მიაწერდა.

ნიამორს კარგი დღე არც აქ მისულმა ურწმუნო მილიციელებმა დააყენეს. წესრიგის დაცვის მაგივრად, ხატის ტყეში შეხიზნულ ცხოველს სახალისოდ ესროდნენ თოფს და კლავდნენ. მათ არც ხატისა და არც ხალხის ხათრი შეინახეს და მალე სრულიად ამოწყვიტეს. 1950 წლის ზამთარში თრი უკანასკნელი ნიამორი ზეავმა ჩამოაგდო

შატილიდან მეათე კილომეტრზე, არდოტის ხეობაში. მაგვარად, შატილის მიღამოებში ნიამორი თითქმის მთლიანად მოიხსო: გადარჩა მხოლოდ ძნელად მისადგომ არიშეის ხეობაში, ქისტეთის აქტორებში, საიდანაც ამჟამად ერთეულები შემოდის საქართველოს წილების გადასამყოფებლივ. მაგრამ აქ, როგორც აღვნიშნეთ, მაშინვე სპობენ. ყოველივე ეს იმას გვიჩვენებს, რომ ამ ცხოველს მხოლოდ ბრაქონიერებისაგან დაცვა სჭირდება. მისი ადგილსამყოფელი ჩენითან თითქმის დაცარიელებულია.

გასულ ზაფხულში, არდოტის ხეობის მარჯვნივ სერზე გადავიარე და არიშეის ხეობის სანადიროებში, ნიამორების ადგილსამყოფელში მოვხდი და 1948 წელს ნადირობის დროს ერთ ლამაზ, სიპ ქვეზე, ლეკ ოთ წიქს მინაწერი ლექსი ამოვიყითხე:

ვაცებზე ნადირობი ვერაგობაა ნამდვილი,  
ქარაფში გაგიჭირდება, შინ რომ გეგონოს ადვილი,  
მე, საყურამ, და ლადომა თვალით ვერ ვნახეთ ნადირი;  
ცალია პურ-ყველს მიერთმევთ, დავსწივი ეესერ საღილი,  
სად რა წევს ჩქარიშალაი ის მამაძალლის გაზრდილი.

„სამნი წაცედით ნიამორზე სანადიროდ, — გვითხრა წიქამ. არიშეის ხეობაში სახელავზე აცედით. გალმა-გამოლმა მხარეს ჭოვრით დაუწყეთ ზვერვა, ვერაფერი ვნახეთ, ციც პურ-ყველს გეახელით ისე როგორც ნათქვამია:

შეწყალი მონადირეო,  
დამრჩალო წვერის ძირსაო.  
პურ რომ გშიოდას, ვერა სკამ  
შიგ თვირთვილ გამოდისაო.

შე რომ ლექსს ვკაწრავდი ქვაზე ლადოს ხმა მომესმა: „ვააცის (ენას უკიდებდა ლადო) რქას ვხედავ!“ ჩვენც გვანახა, კლდის ქიმზე იწვა, ტანი არ უჩანდა, ხოლო ცალი რქა პქონდა კლდეს გადმოცდენილი. გამიკირდა ლადოს თვალის გამჭრიახობა, საიდან სად ნახა. რახან ნადირი დავიგულეთ, მეორე მხარეს გადავედით და დაახლოებით იმ ვაცის „ორბიტამდე“ ავედით დიდი გორის თავზე. იქ სიპერდა აღმოვაჩინეთ (სიპით დახურული მონადირის ქოხი), შემთხვევით გადა-

ვეუარეთ, რომელსაც წინიღან თუ არ მიხვიდოდი, შერ შეაჩინებდი, ისე იყო სიპიან გორაზე შეხამებული. შიგ საქმაო შეშა და ფიჩხე ეყარა. ჩვენზე წინ ნამყოფს მოემარავებინა წესისტეტრიუმულობრეს ქოში შეშა ყოველთვის უნდა დახვდეს — ეს წესულებულებულებ ქოხს, შეშაც უნდა დატოვო. მოპერალ რაიმე თუ არა, ამას არა აქვს მნიშვნელობა. გათოშილი კაცი რომ მივა, იმ შეშით უნდა ისარგებლოს. როცა მომაგრდება, თვითონაც უნდა მოამარავოს; არა მარტო თავის სამყოფი, შემდეგ მომსვლელი მონადირისაც.

კაის ყმის ნაბინავარში  
შეშენი დარჩებიანო,  
ცელი ყმის ნაბინავარში  
ქარნი ნაცარსა შლიანო.

მივიტანეთ შეშა, მოვაწყვეთ ქოხი და შემდეგ ვთქვით: გადავხედვალმოხედოთ დალამებამდე, ეგება რაიმე გადაუყაროთო. აღგილი ახლო-მახლო გორებით იყო დასერილი. გადავიარეთ ერთი, მეორე გორა და... მესამეზე ვაცუნა დგას დასხვარტული. ვნახეთ, ვნახნა და ერთი ნახტომით გადახტა, გორს მოეფარა. დავიქცენით. იმის იქით ფერდი იყო იშვიათარყიანი. ან იქ უნდა გასულიყო, ან აღმა გაქცეულიყო. ვაცის ნადგომთან რომ მივედით, ფერდაზე გაჩნდნენ ვაცი და ერთი თიკანი. (თიკანს ამ სამი-ოთხი წლის ვაცთან რა უნდოდა, ახლაც არ ვიცი). საქმაოდ შორს იყვნენ. დავუწყეთ სროლა, ვაცი დაგორდა. ხოლო თიკანს ტყვია აქეთ-იქით აგლებდა, თან ბლაოდა და გარბოდა. გორს მოეფარა. ვერ გავიგეთ მოხვდა რაიმე თუ არა. ვაცი ქოხში მივიტანეთ უკვე შებინდებისას. ლამე თოვა დაიწყო (შემოღვომა იყო), დილით გამოიდარა, მაგრამ თოვლი საქმაოდ დაედო. დილით ჩვენზე ადრე ნიამორები გამოსულიყვნენ, ნაკვალევით მივხვდით, რომ ჩვენს ქვემოთ კლდის ქანქახებზე ერთი არვე მდგარიყო და სადლაც გადაკარგულიყვნენ. ცოტა ადრე რომ გამოსულიყავით, იქვე ახლოს, იქიდან გადმოყრილები პირდაპირ ჭალაში (არიშეის ხევზე) ჩავიდოდნენ, ზიდვაც არ დაგვჭირდებოდა, მაგრამ...

ისევ ლადომ შენიშნა ზემოთ, დაახლოებით კილომეტრნახევარზე ობი ვაცი: ვეებანი იყვნენ, ერთს მარწუხა, ერთშანერზე გადაჭვარედინებული რქები ჰქონდა, სეეთი რქებიანი ვაცი სხვა ღროს არავის

უნახავს, ოთხი-ხუთი წლის მოზერის ტოლა ჩანდა. მეღრეს ჩაუგლებ-  
რივი რქები ჰქონდა, ოღონდ თავს რომ ასწევდა, რქები ტანს უკან/გა-  
დადიოდა. ეს იყო ორი უდიდესი ვაცი, რაც კი ვიწმეს მოეკლ, ან  
ენახა ოდესმე ჩვენს კუთხეში. ავღელდით, ავფორიაშესთ. ეთშეუძლით  
მარცხენა მხარეს, რომ ნიავი არ ეკრათ (ალბათ ჭარბი უადანშემტკიცეს).  
შიგადაშიგ გამოვჩნდებოლით, ვზევერავდით იქვე არიან თუ არა.  
შუალის შემდეგ მოვუარეთ სათავე, ჩავეპარენით და... თვალდახელ-  
შუა გაქრნენ, როგორც ჩანს, იმათ უფრო აღრე გაგვიგეს. ურც გავია  
გეთ, როდის ან საით წავიდნენ (მზის პირი იყო და თოვლი ამშრალი).  
აუგილზე მივედით. ნაწოლის მიხედვით, ერთი კვირა მაინც მდგარიყ-  
უნენ იმ ადგილზე.

დავბრუნდით, ავიყარენით და აქეთობას თოვლიანი ჩრდილი ავ-  
ირჩიეთ, ეგება კიდევ რამეს გადავეყაროთო.

შორს ენახეთ ერთი წინწამოწეული კლდის ფიცრის (სახლის ფა-  
სალი რომ არის, იმხელა კლდე იყო) თავზე დგას ვაცი, დიდი, მაგრამ  
იმხელა კი არა, დილით რომ ვნახეთ. სათოფედ შორი იყო, ოღონდ  
სამ ნასროლიდან ერთი მაინც ნაღდად მოხვდებოდა. ლადომ გვირჩია:  
ეგ კი ნაღდია, მაგრამ კლდის უკან მაგას თხები ჰყავანან და ისინი გა-  
მოვლენ ცოტა ხანში, დავუცადოთ, მერე „ეთოფნათო“. დავუცადეთ, ვა-  
ცი შებრუნდა და შეეფარა. „დიაცებს გამოიყვანსო“, ამბობდა ლადო.  
მთელი საათი ვუცადეთ და ალარც ვაცი გამობრუნდა, ალარც მისი  
„მანდილოსნები“. ასეთია ხარბი მონაღირის ბედი. ამაზეა ნათქვამი  
„ორი კურდლის მაღვეარი ვერც ერთს ვერ დაიჭირსო“.

გვალამდებოდა. უფრო შორს, ქვევით და მარცხნივ თხები ვნახეთ.  
ორნი ნახევრად წაქცეულ ხიდივით გადებულ ხეზე გასულიყვნენ, და-  
ნარჩენი თხა-თიქნები თოვლში დაბორიალობდნენ. ალალბედზე, უო-  
ლად უიმედოდ, თითო-ოროლი ვესროლეთ, მაგრამ უშედეგოდ.

ჟალაში, ჯარევის ძირს (ქისტეთის ტერიტორია) არღუნში უნდა  
გაშოგვეტოდა (ხიდი არ იყო). ორივე მხარეს ყინული ჰქონდა მოკიდე-  
ბული, გავიხადეთ ფეხზე, შევედით ამ ყინულ-მდინარეში, ვადმოვ-  
ტოვეთ და ხტუნვა-ხტუნვით, ბაგ-ბაგით ჩავიცვით ფეხზე. წინ დიდი  
აღმართი გვედო ჯარევომდე, შემდეგ ცხრა-ათი კილომეტრი შატილამ-  
დე. შევხედეთ ჩვენგან მოვლილ არიშეის ხეობის თოვლიან ფერდო-  
ბებს, იმ ადგილსაც, სადაც ვაცმა მოხერხებულად გაგვაცრუა, არის

ზღაპარი, სადაც ასეთი სიტუაცია: იცინის, იცინის მელია კულტურა სიცილითა... ლადომ უცებ გადააკეთა ამ ზღაპრის პერიოდიაზა: იცინის, იცინის ვაცი, კვდება სიცილითა. ჭალაში სამი კაცი ჰურები უკულურა...

მონათხრობიდან ჩანს, რომ ნიამორზე ნადარტა ჩრუტულ ფაქტიდა აკრძალვისა, მთაში ყოველთვის თავისუფალ ფორმებში ხდებოდა და ხდება. აქ ბევრმა ორც იცის, რომ მისი მოკვლა აკრძალულია. ამ საკი-თხზე პროპაგანდა დღესაც მოისუსტებს.

ნიამორი ძვირფასი სანალირო-სარეწაო ცხოველია. მისი ნორუი გემოთი და ყუათიანობით ბევრად არ განსხვავდება შინაური თხის ტაცისაგან. ასევეა ტყავიც, საიდანაც საუკეთესო ხარისხის „ზამშსა“ და „შეეროს“ ამზადებენ. ყველაზე ძვირად 200—300 მანეთამდე ფარობს მისი რეებისაგან დაზადებული ყანწები, რისი გულისთვისაც ბრავო-ნიერები დაუზოგავად სპონსორ ამ ცხოველს.

საქართველოში ამჟამად 300-მდე ნიამორი აღვრიცხეთ. იგი მცი-რე რაოდენობითა სხვაგანაც. ამიტომ მოხდა ნიამორის საერთაშორი-სო, სსრ კავშირისა და საქართველოს წითელ წიგნებში შეტანა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ნადირობის აკრძალვამ ამ ცხოველს ვერ უშველა და ვერც წითელ წიგნში შეტანა უშველის, თუ მის გადასარჩენად უფ-რო რაღიკალური ღონისძიებები არ გატარდა. საჭიროა სპეციალური ნიამორსაშენის შექმნა, თუშეთში — ჩილოსა და დიკლოს ხეობებში, ჭეროსა და ხუშეთის (დიდოეთი) ჩათვლით ნაკრძალის შექმნა. აქ ნია-მორი დაღისტნიდან — ანდიისა და ყოისუს ხეობებიდან შემოდის. საჭირო იქნება ამ ხეობების განაკრძალებაც. ე. ი. საქართველოსა და დალისტნის ერთიანი სარესპუბლიკათშორისო ნიამორის სახელმწიფო ნაკრძალის შექმნა. ასევე შეიძლება 6000 ჰექტარიანი ნაკრძალის შექ-მნა არღუნის ხეობაში — შატილშიც.

ნიამორის გადარჩენას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობის პროდუქციის გაზრდისათვის. იგი ერთ-ერთი უძვირ-ფასესი გენოფონდია, საიდანაც მრავალი შინაური თხის ჯიშების ში-ლება და გაუმჯობესება შეიძლება. ნიამორი ხომ უახლოესი წინაპარია შინაური თხისა. კარგად ეჭვარება ყველა შინაურ თხას. მათი ჰიბრი-დები იძლევა ნაყოფიერ შთამომავლობას, რომელიც ფერითა და რეებით ნიამორს წააგავს. ასევე კარგად ეჭვარება ჯიხესა და მის ჰიბ-რიდს შინაურ თხას, გარეულ ცხერებს; ხრახნილრებიან და ციმბი-

რულ თხებს. მიღებული შთამომავლობა ზოგჯერ ბეჭდუდ დიდი შემაწინისაა მშობლებზე.

ამიტომ ნიამორს მეტი გაფრთხილება და ყურადღებულ ცურავების მიუშერეს, როცა ეს ცხოველი 200—500 გ. ზ. დ-შეჭრაც ყარტველ ცურავებს, საკუეთესოდ იტანს ტყვეობას, დიღხანს ცოცხლობს, აღვილად შინაურდება და ეჩვევა აღამიანს. ხასიათდება მობინადრეობით, თავ-შესაფარად და საბინადროდ დიდ ადგილს არ მოითხოვს, თანაც ისეთ ალდიან ადგილს იყენებს, საღაც სხვა ცხოველი ნაკლებად ხეირობს, იკვებება უხეში საკვებით, რომლის მარავიც დიდია. საქართველოში ნიამორის სავარგულს ნახევარ მილიონ ჰექტარამდე უკავია (აქელან მხოლოდ 8000 ჰექტარზე ბინადრობს). ამ ტერიტორიის სრულყოფილად ათვისება გამოყენება მხოლოდ ნიამორის მეშვეობით შეიძლება.

## ვ ი ხ ვ ი

ჯიხვების გადავლილი კლდი  
რომ ნახო, გაგიკვირდება,  
იმათ ნაღომშა, ნაწილსა,  
თოლი არ მოეკიდება,  
ფეხ, რო მაუცდას ტიალსა,  
რქით კლდვზე დაეკიდება.

ხ ა ლ ხ უ რ ა .

ჯიხვი ღრურქიანთა ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელია, ძირითადად ორნაირი სახისაა: აღმოსავლეთ კავკასიური, ანუ დალესტნური ჯიხვი და დასავლეთ კავკასიური, ანუ ყუბანური ჯიხვი. აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი გავრცელებულია კავკასიონის მთავარი ქედის აღმოსავლეთ ნაწილში, უფრო მეტად ჩრდილოეთ კალთებზე, დალესტნის საზღვრებში. მეცნიერებისაგან პირველიდ აქ იქნა აღმოჩენილი და აღწერილი, ამიტომ უწოდებენ დალესტნურ ჯიხვს. დასავლეთ კავკასიური ჯიხვი კი კავკასიონის ქედის დასავლეთ ნაწილში, უფრო მეტად ყუბანშია გავრცელებული და ყუბანურ, ანუ სევერცოვის ჯიხვს უწოდებენ. მათი არეალი ერთმანეთს რაჭა-სვანეთის ქედზე ერწყმის. ეჯვარებიან ერთმანეთს, მათ შუალედურ ფორმას, რომელიც ძირითადად აფხაზეთის, სვანეთისა და თებერდის სახელმწიფო ნაკრძალში

შინადრობს, ცალკე ქვესახეობად გამოყოფენ და ცენტრალურ კუთხა-  
სიურ, ანუ გულდენშტედტის ჭიხვს უწოდებენ. ჭიხვების გურიალე-  
ბის საზღვრები რადგან ცალ-ცალკე გამოიყოფა, მერკერულურების  
სახეობებადაც აღიარებენ, (ამავე დროს კოდორის წერტილი წერტილი გვე-  
ვდება ცენტრალურ კავკასიური და დასავლეთ-კავკასიური ჭიხვე-  
ბის პიბრიდული ფორმა უზარმაზარი, გაშლილი რქებით, ხოლო პი-  
რაქეთ ენგურის სათავეებში სვანეთ-სამეგრელოს საზღვრებში — მა-  
განას ხეობის სათავეებში მობინადრე იმავე ფორმის ჭიხვს რქები  
მნიშვნელოვნად პატარა აქვს, სხეული კი დიდი). ძირითად ფორმებ-  
ში განსხვავება იმაშია, რომ აღმოსავლეთ კავკასიური ჭიხვი შედარე-  
ბით დაბალი მქერივი აგებულებისა და მურა შეფერილობისაა, ნიკაპ-  
ზე წვერი შეიძრეა სანტიმეტრამდე აქვს ჩამოშლილი, რქები კი უფ-  
რო დიდი და რგოლურად შიგნით მოხრილი. დასავლეთ კავკასიური  
ჭიხვი მასზე ხუთი-ათი სანტიმეტრით მაღალია, შეფერილობით რუხი  
ნათელი, ნიკაპზე წვერი უფრო გრძელი, ათ-თხუთმეტ სანტიმეტრამდე  
ჩამოშებული, რქები კი შედარებით პატარა, მაგრამ ძირში განიერი,  
აღმართული და წვერში განზე გაშლილი აქვს. ცენტრალურ კავკასი-  
ური ჭიხვი უმეტესად საშუალო ზომისაა და რუხი ჩალისფერია, ნიკა-  
პზე წვერი საშუალოზე მოკლე ან სულ არა აქვს, რქები კი აღმართუ-  
ლი და განზე გაშლილი, რეის წვერები ოდნავ შიგნით მოხრილი და  
ერთმანეთისაკენ არის მიმართული. აგებულებით, ფორმით, ზომა-  
წონითა და ზოგიერთი სხვა ბიოლოგიური ნიშნებით ისინი ერთმანე-  
თისაგან ამგვარად განსხვავდებიან, მაგრამ ცხოვრების ნირით, ქცევე-  
ბით ერთმანეთს ძალიან ჰგვანან. ეს იმიტომ, რომ ერთნაირ, მსგავს  
ადგილსამყოფელში — კავკასიონის მთავარ ქედზე ბინადრობენ.  
ჭიხვს ხომ დედამიწის ზურგზე სხვაგან ვერსად შეხვდებით. ბიო-  
ლოგიურადაც არ არიან ერთმანეთისაგან ძალიან დაცილებულნი —  
უვარებიან ერთმანეთს და ნაყოფიერ შთამომავლობას იძლევან. ამი-  
ტომაც ჩვენ საერთო დახასიათებას ვიძლევით.

ჭიხვი მთის თხების გვარის წარმომადგენელთა შორის ყველაზე  
დიდი ზომა-წონისაა. მას თავისებურად უხეში, მაგრამ მოხდენილი  
სხეულის აგებულება აქვს (შუნი უფრო უშნო შესახედავია). განსა-  
კუთრებით მქერივი, ძლიერი და მომხიბვლელია ხარჯისვი, რომელსაც  
ნიკაპზე წამოზრდილი წვერი, ხოლო თავზე უზარმაზარი (8—10 კი-

ლოგრამამდე წონის) ბორბალა რქები ამშვენებს. რქის სიგრძე 60—80 სანტიმეტრს აღწევს, ზოგიერთი რქის სიგრძე 100 სანტიმეტრს აღმატება, ხოლო გარშემოწერილობა 30 სანტიმეტრს, თავი სქელი, პატარა — 30—35 სანტიმეტრამდე სიგრძისა აქცეულური მოყვანილობის 10—15 სანტიმეტრი სიგრძისა წვერიანი, კისერი მოკლე და სქელი აქვს. მსხვილი მკვრივულობრივი, პროპორციულად განვითარებული სხეული, დაბალ და სქელ ფეხებზე დგას. ტანი სიგრძით 130—160 სანტიმეტრს აღწევს, მინჭაოში სიმაღლე—80—110 სანტიმეტრს, გავაში სიმაღლე მინდაოში სიმაღლეს 8—10 სანტიმეტრით სჭარბობს. კუდის სიგრძე 15—20 სანტიმეტრია. ცოცხალი წონა—60—80 კილოგრამი. იშვიათი ეგზემპლარები 100—120 კილოგრამს იწონან. შუნები შედარებით პატარები არიან. რქები ორივე სქეს აქვს. შენის რქის სიგრძე 30 სანტიმეტრს არ აღმატება. იშვიათად გვხვდება უფრო დიდ რქებიანი შუნი, ისიც დასავლეთ კავკასიური ფორმის. ჯიხების თევანს რქები ორი თვეს ასაკში ამოსდის, ნელა უვითარდება და შვიდი-რვა წლისას უკვე სრულყოფილი, განიერი, ბორცვებიანი რქები აქვს. შეძლევ რქა სიგრძე-სიგანეში კიდევ მატულობს და ბორცვებიც ტალღისებურად კიდევ ემატება თხუთმეტ წლამდე. ეს ნაზარდი კარგად ჩანს, მაგრამ შემოკლებული სახით. ჯიხე რქის არ იცვლის. ამიტომ წლიური რგოლები კარგად ეტუობა. რქის ბორცვების რიცხვს შუაზე ყოფენ და ამით დაახლოებით იგებენ ჯიხების წლოვანებას.

ჯიხეს რქები კლდეზე სიარულისა და ხტომისას წონასწორობის დაცვაში ეხმარება. ალბათ იმიტომაა, რომ დიდრქიანი ხარჯიხვები უფრო მაღლა, მიუღვომელ კლდიან ადგილებში ბინადრობენ. შუნები კი ყრველთვის დაბლა, ნაკლებად დაქანებულ ფერდობებზე და ლელეუბში არიან. კლდეებზე მოძრაობასაა შეგუებული ჯიხეს ჩლიქებიც, თითები კლდეზე სიარულისას განშე იწევს. ჩლიქის კიდეები ყრველთვის მოცვეთილი, ატკეცილი და შიგნით მხარეზე დაკბილულის მავარი და ფხიანია, ბალიშები მხოლოდ ქუსლზე ეტყობა. წინა კიდურას ჩლიქის სიგრძე 7—9 სანტიმეტრს აღწევს, უკანა კიდურის — 6—8 სანტიმეტრს, სიგანე—5—6 სანტიმეტრს, სიმაღლე 3—4 სანტიმეტრია. საერთოდ ჩლიქები მასიური, მომრგვალებული, ბლაგვი ოთვე-

თხედი ფორმისაა, ნაკვალევშედაც თავისებურ ანაბეჭდს ტოვებს აღ-  
ვიღო გამოსაცნობია.

აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ რქების მარტივობის უძრავი  
კლდეში და ტყეში მობინადრე ჯიხვს. მუღმივრები შეზღუდული ქალწუან  
ადგილებში მობინადრე ჯიხვს რქის წვერები მოცვეთილი და წარეხი-  
ლი აქვს, კლდეებშე ხახუნისა და მზის გამო გარუჩული, მუქი-უან-  
გისფერია, უფრო სწორად კლდის ფერი. ასეთ დიდ ხარჯიხეს მთაში  
, რქაჯანგიანს” უწოდებენ. ასე მოიხსენიებენ ლექსშიც:

გავხელე, მთას გადაუიღონ

ჯიხვით რქაჯანგიანები.

ტყიან ადგილებში მობინადრე ჯიხვის რქები კი უფრო დიდი, წვე-  
ტიანი, უცვეთი და შავია. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჯიხვი კლდიან  
ადგილებში სიარულისა და ხრომის დროს რქებს კლდეებშე ურტყამს,  
უხახუნებს, საჭიროების შემთხვევაში საბჭენადაც იყენებს. ნაკლებ  
დაქანების ფერდობშე — ტყეში კი რქებს ნაკლებად ხმარობს და ამი-  
ტომაც საღად უნარჩუნდება.

ჯიხვის სხეულის შეფერილობა განსხვავებულია როგორც ფორ-  
მებს შორის, ისე სქესთა შორის და ზამთარ-ზაფხულის მიხედვით.  
ხარჯიხები მურა-მოშაონი არიან, შუნები კი რუხ-მოწაბლისფერონი.  
ზაფხულში საერთოდ რუხი-ჩალისფერი სჭირობის, ხოლო ზამთარში  
მურა-რუხი. მუცელი ყოველთვის ღია-მონაცრისფერო აქვს, მკერდ-  
ზე, ბოქვენზე და ქედზე კი მურა.

ჯიხვის ბეწვის ცელა თითქოს ბუნებისა და გარემოს ფერისცვა-  
ლებასთანაა დაკავშირებული. ზაფხულის ბეწვის ცელა ივლისამდე  
გრძელდება, ოქტომბერში კი ისევ ზამთრის სამოსელშია. ის ზამთარ-  
ზაფხულის მიხედვით ეხამება იმ კლდიან გარემოს, საღაც ის ბინად-  
რობს. განსაკუთრებით იმ ლოდებსა და ნაშალს, საღაც გაიზარდა. ამი-  
ტომ არის, რომ კლდეში ლოდებსა და ქვებს შორის მწოლიარე ჯიხვი  
ძნელი შესამჩნევია. მას მხოლოდ რქების მოძრაობით თუ შეამჩნევთ.  
სერზე კლდის თავზე მწოლიარე კი, რაც ძალზე უყვარს, ცის ფონზე  
კარგად ჩანს.

კავკასიონის მთავარი ქედის აღმოსავლეთი ნაწილის ჩრდილო  
კალთებშე საქართველოს ფარგლებში, კლდიან ადგილებში, ჯიხვი

თითქმის ყველგან გვხვდება. ის ბინადრობს თუშეთის, შატილის, არ-ხოტისა და ყაზბეგის მთებში. აქ იშვიათად ორმოც-სამოც სულოსა-გან შემდგარი და უფრო მეტი რაოდენობის ფარებიც შემოდის მიგ-რაციის დროს. მუდმივად მობინადრე ჯიხვი მრავლად არსა, ანუ ში-ში — ასას ხეობის სათავის შენაკადებში: კალოთანის ტანის ტიპისა და თაოელის ხეობებში. აქ ჯიხვის ნამდვილი ბუნებრივი ნაკრძალია. აქედან შემოდის ყაზბეგის რაიონის საზღვრებში — ხდეს ხეობა-ში. ჯიხვი მხოლოდ მიგრაციის დროს ეწვევა აგრეთვე ამავე რაიონის თრუსოს ხეობასაც.

კავკასიონის სამხრეთ კალთველოს ფარგლებში, ჯი-ხეი მხოლოდ აქ შემოდის, სადაც გაუვალი კლდეებია და, სადაც სიმ-ყუდროვეა. ასეა თვით ლაგოდების ნაკრძალშიც — მობინადრე ჯიხვი აქ ორას სულ არ აღმატება. ერთეულები შეგვედა მდინარე დურუ-ჯის სათავეებში (შავკლეში), საბუის მთაში, მდინარე ალაზნის სა-თავეებში (სპეროზასა და ბორბალოს მთაში). კახეთის კავკასიონზე ჯიხვი სხვაგან არსად არაა. ჯიხვი დასავლეთ კავკასიონზე, საქართვე-ლოს ფარგლებში უფრო მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი: რაჭი-სა და სვანეთის ქედზე, აფხაზეთის, სვანეთის მთებში, მის დასავლე-თით, თებერდისა და კავკასიის ნაკრძალებში კი უამრავია. აქ ასი-ორა-სულიანი ფარები ენახეთ. ჯიხვი ვერტიკალურად მუდმივ მყინვარე-ბამდე (4,500 მ ზ. დ.) ვრცელდება.

გასული საუკუნის ბოლოს ჯიხვი შემოიყვანეს მცირე კავკასიონ-ზე, ბორჯომის ნაკრძალში. აქაურ პირობებს კარგად შეეგუა და მომ-რავლდა. ჯგუფში სულადობამ 40—60 სულს გადააჭარბა. 1917 წლამ-დე აქ 500-ზე მეტ ჯიხვს ითვლიდნენ, მაგრამ შემდეგ ბრაკონიერებმა გაანადგურეს, რადგან ჯიხვის საიმედო თავშესაფარი, აღამიანისაგან მიუდგომელი კლდეები, აქ არ არის.

ჯიხვი ძირითადად ალპურ და სუბალპურ ზონაში ბინადრობს. ზაფხულობით თოვლის ხაზამდე აღის. იქ უფრო ლაღად და უშეიშრად გრძნობს თავს. არც მტერი და არც სიცხე იქ არ აწუხებს, ბორა და კოლო-ბუზიც ნაკლებია. ჩრდილიან, გრილ ადგილებს ეტანება, თოვლ-თან ახლოს, ხშირად კი ზედ ზეავზე წვება. გაუვალ, დეკიან ბუჩ-ქნარში ყოფნა არ უყვარს. იშვიათად გვხვდება არყის ტყეშიც. უფრო ღია, კლდიან ადგილებში იცის ყოფნა, რასაც თან ღალიანი საძოვერი

მდელოები ახლავს. დილას ძოვს, შემდეგ კლდეში შედას და იქანებს თავს. ზოგჯერ ლელეებში ჩადის, კლდის ნაშალს გადაქექს და გრილ სილაში წვება, განცხრომით ისვენებს, როცა ჭამული შეუძლებელია, წინა ფეხით ქვიშის სიგრილემდე გამოქექს და ფრენელი მოფენები უკავშირდება, დაწვება. სიცხისაგან შეწუხებული ასე მაღ-მაღა ცცლის გერძეს.

ჭიხვის დღე-ლამური ადგილგადანაცვლება ძირითადად ბუნებრივი მტრებისა და აღმამიანის შიშით არის გამოწვეული, ისეთ ადგილებში, სადაც მას არაენი აწუხებს, დღე-ლამურად ადგილს არ იცვლის, იქვე ისვენებს, სადაც ძოვს. ასეა, მაგალითად, თებერლისა და კაუკასიის ნაკრძალებში, ლაგოდეხის ნაკრძალში. ისეთ ადგილებში კი, საღაც მასზე ხშირად ნაღირობენ და დევნიან, საკედის საშორენელად ხელის შვიდ-რვა საათიდან გამოდიან, როცა კარგად აღირ ჩანან, ჭიხვები კლდეშე ბილიქს წალიკად გამოპყებიან და მთის ნიავთან გრთად დაბლა საძოვრებისაკენ ეშვებიან ან მოპირდაპირე ბალახის ფერდობზე გადადიან. იციან, რომ ღამით მათ საფრთხე არ ელით, ადამიანზე უკათესი სმენა აქვთ და უკეთესადაც ხედვენ. რიყრაუზე კი, როდესაც ნიავი ქვემოდან ზევით დაუბერავს. მაძლარი ჭიხვის არვე წყნარი ნაბიჯით ისევ კლდეებისაკენ გაემართება დასასვენებლად. აი, სწორედ ამაზე უთქვაშ ხალხს:

ჭიხვო, საჭიხვე გორისკენ

გასწივ, თორე თენდება,

გჲის გირავს მენაღირუა,

სიცივისაგან ხერდება...

გამოცდილმა მონადირემ ჭიხვის თვისებები და ქცევა კარგად იცის: ღამით ორ-სამ საათზე გადის, სადაც ჭიხვები ეგულება, წინასწარ ჰყავს შეთვალიერებული, ლელეზე ჩუმად, ფეხაკრეფით მიიპარება, რომ ნიავის მიმართულების შეცვლამდე როგორმე მოასწროს მანძილის გაღლა, თავს დაუკლის და უკან დაბრუნებულ ნაღიშს თავშესაცარში შესვლამდე, ბილიკში უსაფრლება. ასეთ ნაღირობასა და ჭიხების ქცევაზე მოგვითხრობს ხალხური ლექსი, საღაც სიცივისაგან შეწუხებული მონადირე ამბობს:

გათენდი, ნუმც გასთენდები,

დიდო ღამეო სთვლისაო.



ამაზე, ნუმჯ ამოხდები,  
ცისუარო თენებისაო.  
გიხეთ, რო გაიგან საწოლი,  
დღისით სიმაგრეს წევსაო.  
გზას უკრავს მენაღირე,  
ღამეს გაატანს პნელსაო,  
საგათენებოდ შაუკრავს  
გადასავალსა წვერსაო...

ადამიანთან და მთის მექაურ ბუნებასთან ბრძოლაში გამობრძე-  
დილი, ამ ლეთისნიერი, ალლოიანი და უჭირვიანესი ცხოველის მტკიცე-  
ხესიათი, თვისებები და ქცევა ყოველთვის იპყრობდა მთიელი ხალხის  
ყურადღებას და ჭიხვის ცხოვრების ნირს ლამაზი ლექსებით ამიტომ  
გვიხარება:

ჭიხვების გადაულილი კლდე  
რომ ნახო, გაგვევირდება,  
იმათ ნაღომსა, ნაწოლსა,  
თოლი არ მოეკიდება,  
ცეკ რო მაუცდას ტიალსა,  
რქით კლდეზე დაკუიდება.  
იმათ მიმყოლსა ვაჟაცსა,  
რა კარგი წაეკიდება....

ჭიხვსა და მასზე მონადირეზე ლექსებს არა მარტო მამაკაცები-  
არამედ ქალებიც თხზავდნენ და მღეროდნენ:

უკარხარ მენაღირესა,  
ქედებო უინულიანო,  
ცამცე ხარ იყედებული,  
ჰუსხო ქარაფიანო,  
არავისგან ხარ სანდოი,  
სრუ მუდამ ღალატიანო,  
ჭიხვთაგან გადათელილო,  
მთაო ქუჩ-ბალახიანო,

არ გენდვა ქიხტა ბჟოჩხნა,

სიშვერებს შიხლებანო,

გრლში დარღი იქეს ზტრისათ,

ცისკრის შექს აპყვებიანო...



ეს ლექსები საყურადღებოა იმით, რომ მათში მხატვრულ ფორმებშია მოცემული მონადირე-ნატურალისტის ჯიხვზე დაკვირვების უძვირფასესი ეკოლოგიური მასალები — ქცევები, ცხოველისა და გარემოს ურთიერთობის ნათელი სურათები:

ჯიხვი საწოლთვე წასკლასა

იგებენ ცისკრის შექითა,

ქუჩის ძოვენ თვირთვილიანისა,

მიღიან წყნარის ბიჭითა.

როცა წვერს დაეჭრებიან,

გული უცხროობს შიშითა:

გზას კი არ გვეგდას მოყმეო,

ქვიში შევლებოთ სისხლითა...

ადამიანის უშუალო გავლენასთან ერთად გაშუქებულია სხვა უარყოფითი ფაქტორებიც. დახასიათებულია ჯიხეის აღგილსამყოფელი, ბუნებრივი პირობები და მასზე მუღმივად მოქმედი კლიმატური პროცესების ცვალებადობა, რითაც განპირობებულია ჯიხვის ცხოვრების ნირი, ქცევა, დღე-ღამური აქტივობა, აღგილგადანაცვლება და სხვა მიზეზები.

გაძრივლდა დილის ნიავი,

ჩამოპყიდვის კლდესაო.

შაგიტუვა, მენაღირეო,

შეკიტინებს, უცემს ფეხსაო.

გასწია სალის კლდისკენა,

ალარ ენდობა წვერსაო.

მყინვარში შენი შიშითა

შშიერ ალამებს დლესო.

1. ბებერი, გამოცდილი ხარჯისვე.

ამ შევენიერი ხალხური ლექსით იმასაც ვიგვაძოთ. ამამ ჩატარებულ მონაცირეს სათანადო სიფრითხილე ვერ გამოიტენია. გაზიარებულია დაპატივებია, ჯიხვებს შეუტყველ, გუში შეუცვლიათ და კრიტიკული შეხიზნებიან. დიდი წვალებისა და ყინულებში ღამის თევეის შეძლებები მონაცირე ხელმოცარული დარჩენილა.

ჯიხვი ჩვენი მოების გვირვეინი, სილამაზე და სიდიადეა, მთასავით ამაყი, დინხი, მიუკარებელი, კლდის გარეშე მისი არსებობა წარმოუდგენელია.

— „ჯიხვო, გუნვებით მძიმეო,  
კლდიდან აამ გაშოგუვანა?—  
— ისარმა ყავა წითელმა,  
მშეილმა, ამ ჩემის აქისამა,  
რუროულ შაბატეულმა  
პირტიტელას უშისამა.

ლექსის თანახმად ხარჯიხვეზე ნადირობა ახლუაზირდა. ჯერ კიდევ უწევრულვაში კა ყმის ხვედრი იყო. რომლებიც მთაში აჯრე ვაჟკაცობდნენ, გული და მუხლი ერთოდათ და ყოველთვის სავმირო სასახელო საქმისათვის ილვწოდნენ. მათ დედებიც ხელს უმართავდნენ:

კარგ ყმის აჭმიე, დედაო,  
დილას ადრიან საფილა,  
ან ხმა აამ შამავარდუბა,  
ან მთას გაუკლენ ნადირი.

ისინი სიძნელეებს არ ერიდებოდნენ, ოლონდ კარგი მონაცირის სახელი მოეპოვებინათ და ეს ცხოველიც თითქოს განვებას მათ საწვრტნელად გაეჩინოს; ჯიხვეზე მონაცირის გასპირზე მოვითხრობს ხალხური ლექსი:

საწყალო მენაფირეო,  
ვის აქვ წეალება შენია,  
გადავლა გინდა, რას იშარ,  
სუ ყინულიან წვერი.



გმირთა თავის საწოლია,  
ლაშე რო იყვას ბრელია  
კლდის ძირში გიგავ ლოვინი.  
ზედ წ.წევეთ ჩამაფლენია,  
ძილს გომიხობს ქვეშის წყრიალი,  
გულში დარდი გაევ მტრისათ,  
გვერდს გიწევს შენი ბერლენია,  
რეინას გრულს იხევ გრილსათ.  
ხელი გაფილა ზ.ჭაბუა,  
იმედ გაევ არვორც ძმისათ.  
შრალაშემდე ვეძინას,  
მემრ ღამინება ძნელია.  
გავიყუჩება გვერდები.  
ჰაუზის ქეიშა ვრილია.  
საგაორენებოდ ვარსკვლავი.  
გორისპირ გადასრილია,  
კლდეზე გაუაღის სარტყელი.  
კიხევბის გადაურილია...

ჯიხეზე ნაღირობა ვარგაცობის გამოჩენის გამოცდა და წრითობა,  
იყო. იგი განსაკუთრებულ აზარტს, მტრიცე ნებისყოფას, მტრანობას,  
სიძლიერეს, გამდედაობას, აგრეთვე სწრაფაა და ზუსტ სროლას მო-  
ითხოვდა. მ-მულსაც ასეთი დამცეცლები სჭირდებოდა:

ბური ვარია ახვატში,  
ბერდენიას ვქადლებია,  
ზოგერ მტრის მისდევს ლომბული,  
ხან კიხევბის მთებზე ჰუცებისა...

ამიტომ ითელებოდა ჯიხეზე ნაღირობა სასახელო საქმედ და სა-  
სახელო ლექსებითაც ამიტომ მოუწოდებლნენ:

ვინცა წართ ფარვი ვავკაცი,  
ფაჩევბის უძროთ კვალია,



შეცვერით სიმაგრეშია,  
რა ძნელი გასავალია,  
ადვილ მასაკრები წუ გგონეოთ,  
ჭიხვი უშმაქია ხარია,  
ცუდათა წარა-მარათა  
კარგებს უბანდეთ ჯლანია...

სომლერად გავრცელებული, ბესარიონ გაბურის ხალხური ლექსი  
დღეს ყველა ქართველმა იცის:

მოყმება პირშიშველაშა  
შიბნ გაიარნა კლდისანი,  
დალახნა დაინაღირნა,  
ბილიქნი ჰიუხისანი.  
შამახედეს კლდისა თავზედა  
ხორონი ჭიხვებისანი,  
ჭიხვა თოფ დახერა ბერხენსა  
კალას ჭაბნ იქნეს რეისანი...

კიდევ კარგი, რომ ჭიხვზე ნაღირობას ყველა ვერ ბედავდა, „ჭიხ-  
ვთა სიმაგრეში“ შემსილელი, უშიშარი მონადირე ერთი-ორი თუ  
მოიძებნებოდა და ის მტრისთვისაც რისხვა და თემ-სოფლის იმე-  
დი იყო:

ამლაში შანგაშვილო,  
ჰიუხებშ დაისვერნაო,  
ჭიხვთა წევერისას მდინართა  
რო ველარ მაასწევრაო...

კარგ მონადირეს ბინა მუდმივად მტრის შემოსასვლელ კართან  
ჰქონდა დადებული და ხშირი ნაღირობით ჭიხვებიც ყოველთვის სი-  
მაგრეში ჰყავდა შერეკილი. ასეთ ვაჟკაცებზე შეთხულ ლექსებს  
ფანდურზე მღეროდნენ:

<sup>1</sup> ადამიანისაგან მიუღვიმელი, გაუვალი სალი კლდი.



ტერლის წვერ უდგან ლოგინი  
გაგასა ბერდიშვილსაო,  
ჭიხვის ჰყან სიმაგრეშია  
არ ძინებენ ძილსაო.  
შედ კი არავინ შალვარდას,  
ძილ არ გაფრთხოს გმირსაო...

ამ ლექსებით ჯიხზე კარგ მონადირეს სახელი შორს ჰქონდა გა-  
ვარდნილი და მის სოფელს იყი განზრახვით ახლოს ვერავინ გაეკარე-  
ბოდა. იქიდან აღვილად ვერც ქალს გაიტაცებდნენ და ვერც საქო-  
ნელს. მონადირე საჭიხვე მთის წვერებიდან ყოველთვის არწივის  
თვალით დარაჯობდა თაეის ხეობას და შეუმნიერელი არაფერი  
რჩებოდა:

შასწონდა დედის გაზრილსა  
მაღლა წვერებზე ცეკვაო,  
სამუქაროდა მტრისადა  
სახლვარზე გადახედვაო...

გაჭირვებისას მტერს გზას იქ გადაუჭრიდა, სადაც არავინ ელო-  
და, და ყოველთვის მზად იყო თავიც კი შეეწირა. ამის მაგალითები  
უამრავია: თვით სახალხო გმირმა მამუკა ქალუნდაურმა, ხომ სანადი-  
როებიდან დაინახა, როცა მისი სოფლის ცხვარს მომხდერები მიე-  
რეკებოდნენ, მტერს დაედევნა და უთანასწორო ბრძოლაში თავი  
შეაკლა:

ნე მოგვდევ, ქალუნდაურო,  
არ მიღის შენი ცხვარია.  
არ დაიშალა მამუკამ,  
არ ბრუნავს ჩემი გვარია...

სახელოვანი მონადირისათვის ამიტომ იყო დაწესებული ცალკე  
სასმისი, „საკარგყმო“ თასი და, ცხადია, ყველა ჭაბუკი ცდილობდა  
მის დამსახურებას. სწორედ ამ დროს ირლევოდა ნადირობის წესები  
და ნორმები. ყველა გაებული მონადირე როდი იყო. ამ ძეირფას  
ცხოველს, ხშირად, როგორც მტერს, ისე თავგანწირვით სდევდნენ,

ხელსაყრელ მომენტში დაუზოგავად ულეტლენ და ეს სასახლო ხაჭ-  
მედ მიაჩნდათ. ამაზე მოგვითხრობს ხალხში გაბნეული ბევრი ცეკვი  
და თქმულება:

### უროვნეული

### ბიბლიოთეკა

ჩვენ ახალგაზრდებს ვენაცვლა,

მფრინავს შალგვანან ცისასა,

რო წავლენ ნაღირობადა,

სისხლით მაცერიან პისწასა. 1

აატირებენ დედასა, იმ ჯიხვთა პატრონისასა,

არჩევენ დიდ-დიდ ჯიხვებსა,

ოორმეტ-უამეტი წლისასა,

ჩვენი ლეთიშვილის კარზედა

ყონდს დასლგმენ ჯიხვთა რქისასა..-

ასე აქებდნენ და ადიდებდნენ მთაში ხარჯიხვების მკვლელს...  
მოხუცებიც კი უწონებდნენ და ხოტბას ასხამდნენ, ეინც ბევრსა და  
დიდ რქებს მიიტანდა ხატში შესაწირად და არავინ უწყოდა რას ერ-  
ჩოდნენ ამ უდანაშაულო, უძვირფასეს ცხოველს. ბევრი ნანაღირევი  
გამოუყენებელი რჩებოდა კლდე-ლრეში. შინაური ცხოველის ხორ-  
ციც არ აკლდათ, მაგრამ მაინც ნაღირობდნენ, ხატის პატივსაცემად და  
სახელისათვის. ასეთი მონაღირე ყოველთვის დიდრქებიანი ხნიერი  
„ბერხენი“ ჯიხვის მოკვლას ცდილობდა, რომ მისი რქები სალოცავი-  
სათვის მისაღები ყოფილიყო და შემდგომ ნაღირობასა თუ მტერთან  
ბრძოლაში გამარჯვებულსა და ხელმომართულს ევლო. მათ ნანაღი-  
რევს თემ-სოფელში ყველა ხედავდა და ღირსეულთ სახელსაც ულო-  
ცავდნენ. აზარტული ნაღირობა, ბევრი ნაღირის ხოცვა, რომ ნამდვი-  
ლი ბოროტება და დანაშაული იყო ის კი რატომლაც ავიწყდებოდათ.  
ასეთი უწესრიგო მონაღირეების მოკლული ჯიხვების რქების „ყონდ-  
ში“ ხშირად არც ერთი რქა არ აღმოჩნდებოდა ისეთი, რომ „საჟარგუ-  
მო“ დამსახურებინა.

ხარჯიხვეზე ნაღირობას ამგვარად თავისებური სპორტული ინტე-  
რესი და მნიშვნელობა რომ ჰქონდა, იმიტომ არ იყრდალებოდა და ეს  
საქმე მონაღირის პირად სურვილსა, განწყობასა და ჰუმანურობაზე  
უფრო იყო მინდობილი. ნაღირობის აზარტში შესულ მონაღირეს კი ზო-

1 საჯიხვებია ასას ხეობაში.



გვერ საკუთარი თავიც ავიწყდებოდა და კლდეზე გადატენილ ნატირს  
თან გადაპყვებოდა ხოლმე; ამაზე მოგვითხოვს საყორელობაზე ცნო-  
ბილი ხალხური ლექსი:

ჭირვი, ნუ მისდევ ჭიხვებსა,  
მაგრელუძენ ტიალნი.  
არ ლაიჭერა ჭარებიშა,  
— სხვაც ბევრ შაშტარა კუვინი.  
ჩამარჯადლა ვაკეაცმა  
ნირიში სპილოს ძელიანი,  
შინ ჭიხვმა, უან ჭარვიშა  
კლდეზე გადილეს გრიალი . . .

თემ-სოფელი მისტიროდა და გლოვობდა საჭიხეებში მარცხით  
დაღუპულ კარგ მონადირეს. მის შემდეგ სოფელი უპატრონოდ დარ-  
ენილად მიაჩნდათ:

ჭიხვებს ნუ ჩასდეთ, კვირიკავ.  
ჩხერს ჩაგაშრიან კლდისასა,  
გაგიმალლებენ ეშმაქსა,  
ნაქარს დაგცემენ მოისასა.  
თოფსაც ტანიეს ნუ სუირავ  
მხოცულსა ჭიხვებისასა;  
კერ ქისტებს გაუხარლება.  
მერე ჭიხვით ფადუჩი კლდისასა,  
გაიგებს მიოხოველები,  
ბეგარს დაგვდებენ (ხევრისასა . . .

უფრო დიდ სინანულს გამოთქვამდნენ ახალგაზრდა, ჭერ უწივი-  
უულვაშო გამოუცდელი მონადირის მიმართ, ვისაც ეს უპელურება  
უდროოდ ეწვეოდა, უფალს აველრებდნენ:

ნუ მაპელავ, დამბადებულო,  
წვერ შამამდინარ ყმასაო.



ჭიხვების ჰარებაშია,  
კლდისას ჩაშერია ფქასაო.  
წე გაუყინავ, მუინვარო,  
ფეხზე ნაცვაშია ჭლამსაო,  
წე ჩატალები, მთვარეო,  
წე ჩატალებ გზასაო,  
წე ატრიტებ დედასა.

გასათხოვარსა დასათ ...

კლდეში შესული ჭიხვი თავს ყოველთვის უშიშრად გრძნობს, იცის, რომ მტერი მას ვერაფერს დაკლებს, იქ შესვლას ვერავინ გაბედავს. ასეთ იდგილს ამიტომ უწოდებენ „ჭიხვთა სიმაგრეს“.

ყოფილა შემთხვევა, როდესაც „სიმაგრეში“ შესულ ჭიხვებს მონადირე შეპყოლია, მაგრამ იქიდან ცოცხალი ვეღარ გამოსულა. სევსურეთში ერთ-ერთ ასეთ კიუხს მონადირის სახელი „სინდიურისძის მალალს“ უწოდებენ. ის ყოველთვის ღრუბლებშია გახვაული:

არ კშობდან ღრუბელზი  
მალლის ჭიუხის წევრსაო,  
ჭიუხის კაპეტლაზედა  
სინდიურისძე წევსაო,  
ჭიხვების მუქრაზედა  
ღამეს ათენებს ბნელსაო.  
ჭიხვთა რა ქნეს შემდგართა.  
ან იმ კეფხვის რა იკერსაო?  
ჭიხვნი ჩივიან ჭიუხშია:  
„ვეღარ შეუდიოთ კლდესაო:  
ჩევრ გადასავალ სარტყელშია  
ვეფხვი მუკლანი წევსაო“.  
კაცის იკლებს სინდიურათ  
ნახოცის ჩამამთვლელსაო,

თორმეტ ჭიხვშიით ნარჩენება,

კლდობით ჩამამწვედელსაო.



ხევსური მონადირე ჭიუხის მიუღომელ წვერზე აქარლია ხარ-  
ჯიხვებს, ტალკვესიანი თოფით თორმეტი მოუკლაშირაშიშუშ შემცო-  
დე მონადირე უკან ვეღარ ჩამოსულა, სამუდამოტესტ ჭიხვებისგან

ამბობენ „კლდეში დამაგრებულის“ ყვირილი ერთი კვირის გან-  
მავლობაში ისმოდაო, მაგრამ იქ ამსვლელი და მშველელი არავინ  
იყო. ქარის დროს ეს ფრიალო კლდეები თვითონაც ლრიალებდნენ  
და ეს ლეგენდა შეიძლება იმასთანაა დაკავშირებული. ერთი კი ცხა-  
დია, იმ დროს ჭიხვზე მონადირე-მთამსვლელი თურმე იმ თემ-სოფლე-  
ბში სხვა უკეთესი არავინ მოიძებნებოდა.

გადმოცემის მეორე ვარიანტი კი გვარშმუნებს. რომ უკან ვამობ-  
რუნებულ, დამფრთხალ ხარჯიხვების ხოროს მონადირე კლდეშე ვა-  
დაუჩეხიაო. შეიძლება ეს უფრო მართალი იყოს, რადგანც ამგვა-  
რად ვიწრო აღგილას შემწყვდეული, თოფის სროლით შეწუხებული  
ნადირი, მითუმეტეს ამაყი და გამბედავი ხარჯიხვები, ერთმანეთის  
იმედით ბილიქზე შეხვედრილ მონადირეს აღარ ერიდებიან და კლდე-  
ზედაც ადვილად ვადაჩეხავენ. ასეთი დაუზოგავი ნადირობის გამოა,  
რომ ამეამად ამ კლდეებში ჭიხვის ხენებაც არ არის.

კარგი მონადირე, ადვილად გასავალ აღგილებში, (იქ სადაც შე-  
ნები (დედალი ჭიხვი და მოზარდი ბინადრობდა), საერთოდ არ ნადი-  
რობდა, მათი მოკვლა ეუკადრისებოდა. ამაზეა მონადირისაც ნათ-  
ქვამი:

ხარჯიხვებზე ენადირობდი,

გან თქვენსავით ფიტებს ეხოდი,

დაჭეხის მთაზეითა

სამჯერ ჩამავაგლი ოცი.

ასევე გამრავლების დროსა და ნაზამორევ, დასუსტებულ ნალირ-  
საც თოფს სულწასული მონადირე თუ ესროდა და ეს სასახელო საქ-  
მედ არ ითვლებოდა.

ჭიხვზე ნადირობა გვიან შემოღომით იწყებოდა, როდესაც შე-  
ნები და ხარჯიხვები ყალ-ყალკე დაერჩეოდნენ. ამ დროს ტყავიც  
კარგია და ხორციც, არც ბოტის სუნი უდის.

ბევრგვარ მივართვი სტუმარსა  
ნასოფლევი ჯიხვის ყაურშა . . .

აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი თავის წიგნში „მყერლში დაჭირილი ბუნება“ აღნიშნავს: „როგორ ორ შემცირდებოდა ნატურალისტის მიერ 1935 წლისთვის სამსონ ინაურიძეს, ომალოელ მოცდებულების მიერ პატარი პყავდა 350 ჯიხვი, მის ძმა ლაზარეს 175 ჯიხვი. ისინი ასახელებდნენ მონადირეებს, რომელთაც თოფი ხუთჯერ დაუმარხათ, ე. ი. 500 ჯიხვი მოეკლათ“.

სამჯერ ხომ ჩაგდება მიწაში,  
საში გათავე აზარი,  
ცალილა მიკლავ მეოთხეს  
შენი საფლავიც მზად არი.

(ვარა - უშაველა)

ასეთი მონადირეები ხევსურეთშიც ბევრი იყვნენ: „ბლოელ ნადირა გიგაურს თოფი ხუთჯერ დაუმარხავს. იტყვიან, ნადირამ ხუთჯერ აათავა „აზარიო“ და იმიტომ ვერ წაუვიდა კარგად საქმე მის შვილ-ბოლოსო“. ბევრი ნადირის ხოცვა მანც დიდ ცოდვად ითვლებოდა მთაში. ნადირს ხომ თავისი პატრონი პყავდა უფლისაგან მიჩენილი — „მწყემსი ქალის — დალის“ სახით:

ჰისუხში ღამის თევამა,  
მიყოლამ ჯიხებისამა,  
კლდის ეხში შამაცინებამ  
ჯიხეთ მწყემსა ქალისამა . . .

(ი. წიკლაური)

ნადირთ მწყემსის განაწყენება არ შეიძლებოდა, ამით ხსნილნენ, როდესაც ნადირობით უზომო გატაცებას, სიხარბესა და სახიფათო სანადიროებში სხვა არა წესიერ მოქცევას მარცხი მოჰყვებოდა. ამას გვიდასტურებს სახალხო მთქმელის ივანე წიკლაურის ლექსი:

სინდიკატის მალალო,  
უინცულის ზარადიანო,



შპონდ სძინავს სინტიურასა,  
წამაღეგ წრიაპიანო,  
გვერდს უწევს თვორი ხილიში,  
აბურავ, პირკეამლიანო.  
ახვედ და ველაზ ჩამოხვედ,  
ნადირთ მწემსნ დაგწველიანო,  
თორმეტი ჯიხვის თავტქანი  
ახლაც მყინვარზე ჟყრიანო .

ეშინოდათ ეს ცოდვები შემდეგაც არ მოსწეოდათ და იმიტომ  
მარხავლნენ მიწაში თოფს ყოველი ასი ჯიხვის მოკვლის შემცევა. რომ  
ეს ცოდვები როგორმე მიწისათვის მოებარებინათ, ჩამოეცილებინათ  
თავისთავისა და შთამომავლობისათვის. ბევრს კი, თითქოს, ამ ცოდ-  
ვებმა მართლა უწია: თავზე დამტყდარ უბედურების, რაც მონალისის  
ხიფათიან ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული, ამას მიაწერდნენ. ზოგ-  
ჯერ უშვილობასა და გვარის გადაშენებასაც ამავე მიზეზით ხსნდ-  
ნენ. ასეთ შემთხვევებში რეალობა ხშირად უპირისპირდებოდა ყალბ  
რწმენას და მალე თვითონეე რწმუნდებოდნენ და სკეროდათ, რომ  
ცოდო-ბრალი არ არაებობდა. ამგვარ ცოდვებს ხშირად ხატისთვის  
შენაწირი ძლვენიც ველარ შეელიდა. იმიტომ იყო, ალბათ, რომ ბო-  
ლოს თოფის დამარხვა ფორმალური სახით სრულდებოდა, იგი თავისა  
და ხატის მონიცენებით მოტყუებას უფრო ნიშნავდა, რადგან მონალი-  
რე დამარხულ თოფს მიწიდან მესამე დღეს ისევ იღებდა, ან თოფს  
იცვლიდა, ნადირობას ისევ იგრძელებდა და მოკლულ ნადირსაც თავ-  
იდან ითვლიდა. სათვალავში მხოლოდ დიდი ხარჯიხვები შედიოდა, პა-  
ტარა ნადირი არ ითვლებოდა.

ამ წეს-ჩვეულებით, გარდა იმისა, რომ უძმრავი ნადირი ნადგურ-  
დება, საუკეთესო ნარჩევი დიდრქებიანი საჯიშე ეგზემპლარების  
მოსპობა ცხოველის პოპულაციაზე უარყოფითად მოქმედებს — იწ-  
ვავს თაობათა დაკინება-გადაგვარებას. მაგრამ კავკასიონზე ჯიხვს  
ფართო არეალი გააჩნია — მრავალფეროვანი ეკოლოგიური უბნებით,  
მისი გავრცელება არ იზღუდება და ამან უშველა.

კარგი მონადირე ასე ხშირად ხორცის გულისათვის რომ არ ნა-  
დირობდა და უფრო სპორტული ინტერესით სახელისათვის, ამაზე

მოგვითხობს არხოტელი მონადირეების მშავი: უკავი არადექტინიანი, „რქაჯანგიანი“ ჯიხვებითა და საჯიხვეებით განტქმული ყუთი არხოტის ხეობა. ილბათ მიტომ შეარქვეს აქაურ ერთგრძელებულების „ხიცევი“, რაც ჩეჩინურად „საჯიხვეს“ ნიშნავს. ეს უკავი უკავი უკავი განტქმული ყოფილი ჯიხვის სიმრავლით და, ცხადია, ჯიხვები გრევი მონადირეებიც აქ უფრო იზრდებოდნენ და იქნებოდნენ. ამას მოწმობს აქაურ სალოცავებში შენაშირი ჯიხვის რქები, ხალხური ლექსები და თქმულებები. სოფელ ამლის ერთი სალოცავის (რკენას) კადლებშე მიქრულია ერთმანეთის მჯობი უამრავი რქა. მათ შორის შეადგილა მოთავსებული ერთი წყვილი რქა ყველაზე დიდია, მისი სიგრძე ერთ მეტრს აღემატება, დიამეტრი კი თექვსმეტი სანტიმეტრია. ამ უზარმაზარი რქების შესახებ აქ ასეთი თქმულება არსებობს: როცა ეს ჯიხვი არხოტის საჯიხვეებში გამოჩნდა, მონადირეებმა მოსვენება დაკარგეს, ერთმანეთს არ უმხელდნენ ნანას. ცალ-ცალკე კი ყველას დიდი სურეილი პქონდა მისი მოკვლისა, მაგრამ ვერ შესძლეს. ორი ცნობილი მონადირე ისე წავიდა ამ ჯიხვზე სანადიროდ, რომ თავიანთი მიზანი ერთმანეთისთვის არ გაუმხელიათ. ორივე თითქოს შემთხვევით აღმოჩნდა იმ ჯიხვების ფარასთან, სადაც ეს გოლიათი ხარჯიხვი ერთა. აქ კი წესის თანახმად წილი ყარეს: ერთ, უფრო ახალგაზრდა მონადირეს, (ჩინგლათ აბას) ჩასაფრება ხვდა წილად, მეორეს კი ნადირის მირეკვა... მიმრეკვას, რა თქმა უნდა, გული დასწყდა, რადგან მხოლოდ ჩასაფრებულს მოუწევდა ნადირისათვის სროლა. ემიმებოდა სხვისთვის „მიერთმია“ თავისი საოცნებო საშსხვერლა. კარგად იცოდა, რომ დამფრთხალი ჯიხვის ფარა სათოფეზე არ მიეკრებოდა მომრეკვა მონადირეს. პირდაპირ მისვლით კი, მარტომ, საშიოთხი წელი სდია, თურმე, ამ ჯიხვს, მაგრამ სასროლ მანძილზე ეკრასდროს მოიხელთა. ახლა კი გრძნობდა, რომ დიდი ხნის ოცნება წყალში ეყრებოდა. მაგრამ მანცც, გაიტიქა, რომ მისი ახანავი მას სხვა დიდ ხარჯიხვებში ვერ გაარჩევდა, ან ახალგაზრდა მონადირეს მოთმინება და გამოცდილება არ ეყოფოდა და პირველად მიმსვლელ ჯიხვს ესროდა. პირველი კი ეს დიდი ჯიხვი არ მივიდოდა, რადლელ ჯიხვს ესროდა. პირველი კი ეს დიდი ჯიხვი არ მივიდოდა, რადგან სისტრაფეში სხვები ჭობნიდნენ. ის კი თავისებურად დინჯად იქცეოდა, ყოველთვის ფარის შუაგულში ტრიალებდა, მას არ სცილდებოდა, ყოველთვის ფარის შუაგულში ტრიალებდა, მას არ სცილდებოდა, ზოგჯერ საძოვარზე ყველაზე ბოლოს შებინდებისას გამოდიოდნდა, ზოგჯერ საძოვარზე ყველაზე

და, მაშინ, როცა თოფის ნიშანი აღარ ჩანდა. ფიქრობდა, რამ თოფის გასროლის შემდეგ ჯიხვები ერთმანეთში აირეოდნენ, თავი უშეველიდნენ და მისი საოცნებო ჯიხვიც გადარჩებოდა. ამჟადებულმა ჯიხვები დააფრთხო და მონადირისაკენ წასულ ფარგლებით უფრუნველყოფილი უკრება. დიდ ხარჯის თვალს არ აშორებდა. როცა ჯიხვები ჩასაფრებულ მონადირეს მიუახლოვდნენ. შეატყო, ამა სროლის ავეიანებდა. შური მოერია, ვეღარ მოითმინა და ტყუილად დაუძახა: „აი, ეგ ხარჯიხვი, პირველი რომ მოღის ყველაზე დიდია, ესროლეო“. ჩასაფრებულმა მონადირემ ვთომ ვერ გაიგონა, არ ესროლა, ჯიხვი გაატარა. მას მეორე, მესამე ხარჯიხვიც მიჰყეა. მიმრეკი მიხვდა, რომ მოტყუვდა, მაგრამ კიდევ რამდენჯერმე დაუძახა: „აი, ახლა რომ მოდის, ეგ ყველაზე დიდია, არ გაუშო“ და ბოლოს გულახლილობა არჩია, ხატ-ანგელოზი დაარისხა: მაგ ჩემ ჯიხს თუ ესროლე, გაგრწყრეს არხოტის სალოცავებიო, მაგრამ ჩასაფრებული მას ყურადღებას არ აქციებდა, არ ჩქარობდა და ისიც სწორედ იმ „რქაგანგიანს“ ელოდებოდა, რომლის დევნაში ნაკლები ჭაფა არც მას დასდგომია თურმე და, აი, როდესაც ეს უზარმაზარჩებიანი ხარჯიხვი მიუახლოვდა ამას, თოფი მხოლოდ მაშინ გავარდა. მიმრეკავმა თავისი საოცნებო ხარჯიხვი დაგორებული რომ დაინახა, ამხანაგს ერთი გვარიანად შეუკურთხა: „ჩემი ცხოვრების მიზანი ეგ იყო, ეგაც შენ წამართვიო, შენი ამხანაგობაცაო“... აიღო გუდა-ნაბადი, მეგობარი და მისი ნანადირევი კლდეებში მიატოვა და უკან გამობრუნდა. ამხანაგმა დაუძახა: რა მოგვიადა, შე კაი კაცო, დაბრუნდი, რა მნიშვნელობა აქეს ნადირის მოკვლას, შენ გარგუნებს ღმერთი, თუ მე, ნანადირევს აქ ხომ არ დავტოვებთ, წალება უნდაო.“ განაწყენებულ ამხანაგს მისი ხმის გაგონებაც არ უნდოდა, ისე დატოვა იქაურობა, უკან არ მიუხედავს. იმის შემდეგ მან თურმე ნადირობისადმი ყოველგვარი ინტერესი დავარგა, ნადირობას თავი დაანება და თქვა: ვინემ არხოტის საჯიხვეებში იმაზე დიდრქებიანი ჯიხე არ გაიზრდება, სანადიროდ აღარ წავალ, ეს ხატმაც გაიგოს და ხალხმაცო.

მალე ომი დაიწყო და იმ სახელოვან მონადირეს, სახელისათვის ბრძოლა მტერთან მოუხდა, იქაც თავი ისახელა, მაგრამ შინ დაბრუნება აღარ ელირსა. თავი სამშობლოს მტერს შეაკლა. სიკვდილის უამს:



ეჭირა სისხლით გასურილი,  
ხელში ნატეხი ხმლისაო,  
მარცხენა ხელში ნაგანი  
მამკლავი ბევრაისაო . . .

(ხ ა ლ ხ უ რ ი)

დიდრქებიანი ხარჯიხვი კი არხოტის საჯიხუებში მხოლოდ ახლა-  
ლა გამოჩნდა. მისი მოკვლით ყველა იქაური და სტუმრად ჩამოსული  
მონადირეა დაინტერესებული. თავის სურვილს ერთმანეთს არც ახლა  
უშედავნებენ არხოტელები: ბებერი მონადირე ალექსი ლიიაური და  
ახალგაზრდა მონადირე ლეო ჯაბუშანური. ისინი ერთმანეთს თურმე  
იმით უშლიან ხელს, რომ სანადიროებისაეკნ გამავალ გზებზე მდინა-  
რებე გადებულ ხის ხიდებს წყალში აგდებენ, რომ მონადირემ დიდი  
ხარჯიხვეს ადგილსამყოფელში მძღვლა ვერ შეძლოს, თითქოს ლეგი-  
ნდა ცოცხლდება. ამით ერთის მხრივ, ნალირის დაცვის საქმეც კეთ-  
დება.

ასე ფარულად ეჭიბრებოდნენ ერთმანეთს ჯიხვზე ნადირობაში  
ლექსებით წაქეზებული, კაივაუობის სახელის შოხევების მცდელი,  
მგლის მუხლა მონადირები და, ცხადია, ჯიხვი მხოლოდ გაუვალმა  
სალმა კლდეებმა და მარად თოვლიან-ყრნულიანმა ჭიუხებმა გადაარ-  
ჩინეს საბოლოო განადგურებისაგან. მის მოდგმას აღამიანმა ბევრი  
ვერაფერი დააკლო. კავკასიონთან ერთად დაიბადა, გამოიწროო და  
კავკასიონის შეუვალ მწევრვალებთან ერთად ბერდება. ამაზე ამბობს  
ხალხური ლექსი:

შორით გაეხდავ ჭირებზს,  
უინელით მოელვარესა,  
კავკასიონის მწევრვალებს —  
ჯიხების საბუდარებსა . . .

ამ ცხოველს მრავალმხრივი ზრუნვა და ყურადღება დღეს უფრო  
სჭირდება. მისი გასაჭირის დანახვა და დახმარება კი პირველ რიგში  
ისევ მონადირეს შეუძლია, რადგან იგი ყველაზე ახლოსაა მასთან, იც-  
ნობს მთის ბუნებას. კარგი, კეთილშობილი მონადირე, ხომ ნამდვილი  
ბუნების შეილია, გრძნობს მშობლიური ბუნების სილამაზეს, მასზე

ზრუნვებს,, უფრთხილდება და ყოველთვის ცდილობს მის დაცვას.  
განა ამის მაგალითი არ იყო ის, რომ თავის სანალორო მიმდევარში  
უცხოს არ გაჟიჭანებდნენ, ან ის, რომ სამი წლის წინ აღდოტველმა  
მონადირეებმა ქეცით დაავადებული ჯიხვები შემოჩენილი  
ვინაობის გამხელას არ მოერიდნენ, დროულად პლაზმუმი მომქმედი  
ორგანოებს. კრიცელი წერილი მისწერეს აკადემიკოს ნიკო კეცხოველ-  
საც. სამწუხაროდ სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიება არა-  
ვის ჩაუტარებია, ჯიხვები ძალზე იზარალა და საბოლოოდ ისევ ბუნების  
წყალობით გადარჩია. ასეთი მონადირეები, ცხადია, საყვედურის  
მაგივრად მაღლობს იმსახურებენ. ჩანჩქერებოთან და კლდოვან  
ჭარალებთანაა მათივე ნათქევამი:

წყალვარდნილების ჭრებიდა,  
ზუდ ჟვავილები კრელადა,  
მოვარე კლდეს დავიდებული,  
უფსერულს, რომ დასცერს ცერადა,  
ჯიხვის სიმაგრეს შემღვარი,  
შენი გასერდი გელადა,  
ნაღირთ გუშავდ ლამდვარი,  
თავისულების მცველადა . . .

(ხალხური)

ჯიხვი კლდეს იყენებს არა მარტო გაჭირების დროს: თავშესაფარად, არამედ მაშინაც, როცა მას არავინ აფრთხობს. ტუტილად კი არ  
არის ნათქევამი — „ჯიხვის გამზრდელი აკვანი კლდეა, ბულბულისა —  
ბალიო“.

მყინვარს კალთაზე ჯიხვები  
ცწევს, ეთ დედას ბალია,  
ასიამოქნებს ჭიუბი,  
როგორც ბელბელებს ბალია.

ჯიხვი საძოვარზე უბრალო დასვენების დროსაც კი კლდეს, ან  
კლდის ნაშალ ქვიშას მოძებნის, იქ შედგება ან ჩაწვება. სხვაგან წო-  
ლა და დასვენება თითქოს არ ეხერხება, ან არ უყვარს. ფერითაც  
კლდეს ეხამება და უძრავად მდგომი, ან მწოლარე ჯიხვი ძნელი შესა-  
110

მჩნევია. ახალგაზრდები და შუნები უფრო მოძრავნი არიან. // სწორი  
ხარჯიცები კი, ზოგჯერ, კლდის თავზე ქანდაკებასაც სათამაზთ  
დგანან და განცხრომით, დინჯალ ზვერავენ გარემოს: „ამაზე მოუთი-  
თებს ვაჟა-ფშაველა: „გაპყუჩიებდა ნიავა ჭიხვი ყელ ქარტუმი ნაშენები“  
და ხალხური ნათქვამი: „კლდეზე გაღმოდგა ხარჯისუმ, ტუქმისუმ ქუქუ-  
ვარდი დაინა“.

ჭიხვი სწორაფალ ვერ დარბის, მაგრამ კლდეზე ძალზე გაბეღულად  
და მოხერხებულად მოძრაობს. დახვეწილად და გამოზომილად ხტის.  
ციცაბო კლდეზე სიარულში, მთის ცხოველთა შორის, ვერცერთი  
ჩლიქოსანი ტკოველი ვერ შეეღრება. ამაში ხელს უწყობს სხეულის  
თავისებური პროპორციულობა, ძლიერი, კარგად განვითარებული კი-  
დურების კუნთები და რაც მთავარია, ჩლიქების აგებულება და რქები.

ჭიხვის ადგილსამყოფელს თავშესაფარი კლდეებისა და საძოვა-  
რი მდელოების გარდა თან ახლავს წყაროები, ნაყადულები, ჩანჩქე-  
რები და სხვადასხვა სახის მინერალური გამონაფონი — „ვეძები“,  
ანუ „მუჯები“, სადაც ეს პირობები არ არის, ჭიხვი არ ბინადრობს.  
საქართველოს ზოგიერთ ადგილებში დალესტნილან ჭიხვის შემოსელა  
და მობინადრეობა სწორედ ამ პირობებთან არის დაკავშირებული.

ისეთ ადგილებში, სადაც ეს პირობებია და გაუვალი კლდეები  
დიდ მასივებს ქმნის, ჭიხვი სუბალპურ ტყეში მუდმივად ბინადრობს  
და თუ არაენ აწუხებს, ადგილგადანაცვლებას არ ახდებს. მისი ალ-  
პურ ზონაში მუდმივად გადანაცვლება უფრო იძულებითია და ძირი-  
თაღად ანთროპოგენური ფაქტორების გავლენა იწვევს. საქართველოში  
ამის დამადასტურებელი დღეს არხოტის — ისას ხეობაა, საღაც ამე-  
მად ხშირად აღირ ნაღირობენ, ჭიხვი მუდმივად ტყის ზონაში ბინად-  
რობს. ზაფხულში, დოლით ადრე, საძოვრად ტყის ზედა საზღვარზე  
ალპურ საძოვრებამდე აღის, მაგრამ დასავენებლად ისევ ტყეში ჩა-  
მოდის. დევნილი და დამფრთხალი ზევით კლდეებისაცენ კი არ გარ-  
ბის, არამედ ტყეში ეშვება და კლდე-ტყიან ლელეებში აფარებს თავს.  
ეს იმას გვიჩვენებს, რომ ჭიხვის ძირითადი საბინადრო რმთავითვე  
ტყე იყო და არა შიშველი, გაუვალი კლდეები. ისიც ცხადია, რომ ამ  
შეგუების წყალობით გადარჩა ბუნების ეს მშვენება.

ჭიხვი ძალიან ფრთხილი, ამაყი, კეკიანი და დაკვირვებული ცხო-  
ველია. საუცხოოდ აქვს განვითარებული ყნოსვა, მხედველობა, სმენა.

შორიდანეე არჩევს მტერ-მოყვარეს. განსაკუთრებული თოვლანი შონა-დირის ეშინია. ამავე დროს გააჩნია წინათვრებისა ლორ და მიხვე-დრის დიდი უნარი. ზოგჯერ, თითქოს, რაღაც ზეტერული წესების შორის საფრთხეს: მიახლოვებულ ადამიანსა და მტაცებჭელს თავისებულის წის ზეავების საშიშროებას. კლდის ჩიმოშლას — საგორავს, ამინდის შეცვლასა და სხვა. დიდთველობისას გონივრულად ერიდება საზვაო ადგილებს: ღელებში არ ჩადის, ზეავის გასატებ ადგილებს არ ეკარება, მაღალ გორის ფხებსა და სერებს არ სცილდება, ბევრს არ მოძრაობს, შემშილობს, ზოგჯერ რამდენიმე დღეს კალოს ტოლა ადგილზე ატარებს. როდესაც ფერდობები ზეავებისაგან განთავისუფლდება, მომოსელას მხოლოდ შემდეგ იწყებს, ზეავისაგან ჩამოწმენდილ ფერ-დობებზე გადადის და ბალათობს. მას ეს თვისებები ილბათ მოის, მკაცრ, სტიქიასთან მუდმივ ბრძოლაში გამოუმუშავდა და მემკვიდრულად ჩამოუყალიბდა.

იქ სადაც სისტემატურად ნადირობენ და ჯიხვი ნაფრთხობია, ნა-დირობის დროს ნალიანი ფეხსაცმელისა და რეინის ბუნიების სანა-დორო ჯოხის ხმარება გამორიცხულია. ხმაურიზე დაგეშილი ცხოველი საშიშროებას ერთ კილომეტრზე შორს იგება და გარბის. ასევე შორს ხედავს და შეუხამებელ საგანს რამდენიმე კილომეტრზე შენიშნავს. ყნოს ვით ხომ ყველაზე უწინ იგებს საფრთხეს.

მოის სხვა ცხოველების მსგავსად, ჯიხვის სეზონური ადგილგადა-ნაცვლებაც თოვლის საფარის და საკვების მოპოვებასთან არის დაკავ-შირებული. ზამთარში ალპურ და სუბალპურ ზონაში თოვლი დიდ ხანს დევს, ჯიხვს მოძრაობა და საკვების მოპოვება ძალზე უჭრს, იყი სამოცდაათ სანტიმეტრზე მაღალ თოვლის საფარს უერ ერევა და ლაბ-ლა, ტყის ზონაში ეშვება, სადაც ამის საშუალება არ არის; სისხრეთ ექსპოზიციის, ძლიერ დაქანებულ, ქარისაგან გადაწმენდილ, ნაკლებ თო-ვლიან ადგილებში გადაინაცვლებს და ძირითადად ასეთ ადგილების წყალობით ზამთრობს და მობინადრეობს ეს საოცარი ცხოველი. ზაფ-ხულში კი, როცა თოვლის საფარი იყენებს, ასევე ზევით მიიწევს და ჩრდილო ექსპოზიციის — გრილ ფერდობებზე გადაინაცვლებს.

ნორჩი ბალახით კვება ჯიხვს მხოლოდ ზაფხულისა და შემოდგო-მის პერიოდში უწევს (გაზაფხული კი მის ადგილსამყოფელში გამო-კლებულია). ჯიხვის საკვებ რაციონში მნიშვნელოვანი ადგილი უჭი-

რავს მარილს, რისთვისაც ხარბად ლოკავს ბუნებრივ გამოსახუნებში დამლაშებულ ნიადაგს. მიღის ცხვრისათვის მარილუაყა თევზლებში. განსაკუთრებით მლაშე წყლებს ეტანება და ადვილადა ჩვენებს „30-ძახე“ მიწვეული შეიძლება ტყის ქვედა სარტყლამზე სამარილის რიცხვების სარინში ბურსას ხეობის ტყის ზონაში ერთ ასეთ გამონაკრონს ნადირის სარწყულებელს უწოდებენ. ასეა ლავოდების ნაკრძალშიც— ჭიხვები და ორჩვები აქ გოგირდის წყლებამდე ჩამოდიოდნენ. სამარილე ზე მისული ჭიხვი ბევრად აღარ ფრთხილობს. ადვილად შეიძლება მასთან ახლოს მიპარვა. ვერ უგებს იქ ჩასაფრრებულ ადამიანსაც.

თოვაში, წვიმაში, ნისლსა და ქარბუქში ან როცა ქარი ერთი მი-მართულებით ზევილან ქვევით უბერავს, ჭიხვები საძოვარზე იშვია-თად გამოდიან და თუ გამოდიან, ბევრს მაინც არ მოზრაობენ, კლდე-ების ახლომახლო ბალაზობენ, მათ მომლოდინე მონადირეზეა ეს ხალ-ხური ნათქეამიც:

თოვლსა თოვს, ჭიხვი უებს ჩცებს.

გულს გილლის მენადირეო.

ვერცაით დაგვარ ისარი,

სისხლი ვერ მაგადინეო.

ვერ გადგაზდე კლეზედა,

რქებზე ვერ დაგამჭინეო.

თუ აქეთი ცუდი ამინდი დიდხანს გაგრძელდა, ჭიხვები შიმშილო-ბენ კიდეც. მათ შიმშილის მოთმენის დიდი უნარი შესწევთ.

ჭიხვი არვეებად ბინალრობს: 10—20, ზოგჯერ 50—100—200 სუ-ლი ერთად იყრის თავს და ფარას ქმნიან. ზაფხულში დედალ-მამალი ჭიხვები ცალ-ცალკე არვეებად არიან. ამ დროს შუნების არეში გვხვდებიან თიკნები, დურაყები და უფრო მოზრდილი ხარჯიხვებიც. დიდი ხარჯიხვები კი ყოველთვის ცალკე არიან და შუნებს მხოლოდ კერძილობის დროს, შემოდგომაზე უერთდებიან. ძალიან ბებერი ხარ-ჯიხვები კი მულმივად განცალკევდით არიან და ფარას იშვიათად უერთდებიან. არვეს უფრო ფრთხილი ჭიხვები, ხშირად შუნები და-რაგობენ, უფრო სწორად ადრე იგებენ საფრთხეს. საერთოდ ჭოგში ყველა ერთნაირად ფრთხილობს.

ჭიხვის ჭოგური ცხოვრება თავდაცვის ერთ-ერთი საკუთრებული საშუალებაა. ჩაც ამ ცხოველს ბუნებრივად გამოიწევადა, ერთმა მათ-განმაც რომ შენიშვნის საფრთხე, თავისცბური ქართული ტექსტის უკანას ავებინებს, გაქცევის მიმართულებას უჩვენებს ჭმი მოუმრავმის უცან გაიყოლებს. დამფრთხალი ჭიხვის არვეს ფეხის ხმა, თქარათქური, კლდეებზე ჩატებით გამოწვეული საგორავის გრუხუნი და კორიანტელი გრიგალის ამოვარდნას ჰვავს. ეს მომენტი ძველი, და-ლუში მოყოლილ მონადირეს დღი საფრთხეს უქმნის.

არვეში იშვირთნებიან და სიფრთხილის ეჩვევიან მოზარდებიც, ქავებსა და მტერ-მოყერის გამოცნობის უნარს დიდებისაგან იძენენ, ობლად დარჩენილ პატარებზეც ჭოვი ზრუნავს. მათ სხვა ჭიხვები უწევენ მშობლების მაგივრობას, დელობილები გამოიჩინდებიან და აწოვებენ. ზოგჯერ ხარჯიხვებიც კი შეიკედლებენ უდედო პატარებს. ჭოვი ასევე ზრუნავს ბებრებისა და სუსტების მიმართაც. მათ უყურა-დლებოდ არ ტოვებენ. ახალგაზრდა ძლიერი ხარჯიხვები. მოხუც, და-უძლურებულ ჭიხვებს გულგრილად არ ექცევიან. მათ შეხვედრისას თავისებურად ეალერსებიან და ხშირად პატივისცემასა და მოკრძალებას გამოხატავენ. ეს მთის ცხოველების საერთო წესია.

დიდი სიფრთხილის მოუხედავად, არვეში მყოფი ზიღი ხარჯიხვები თავისებურად ამაყებიც არიან. ზოგჯერ გაქცევას არ კადრულობენ. თუ ჭოვი არ დაფრთხა, ცალ-ცალკე არ გარბიან. კეთილი განზრახვით მათთან მოხვედრილ უთოფო ადამიანს: ზოგჯერ მეგობრად მიიჩნევენ, ძალიან არ ერიდებიან. დაფუთხებით არ, გარბიან და არც ჭოვი ჩიმორ-ჩენილ „მოხუცებსა და პატარებს“ ტოვებენ უყურადლებოდ. ამაში მშინ დავრჩმუნდი, როცა მათი ცხოვრებითა და ქცევებით დაინტე-რესებულმა საჭიხვე კლდეებში არა ერთი ლამე გავტეხე-

ერთხელ, კარგი ამინდი იყო, სწორედ ისეთი, ფოტომონადირე რომ ინატრებს. ჩემი ფოტოთოფით ჭიხვთა სამფლობელოს ვესტუმრე, ვიცოდი, რომ ჭიხვი ძალიან ფრთხილია, აღამიანის სუნსა და ფეხის ხმას ყნოსვითა და სმენით ერთ კილომეტრზე შორსაც კი იგებს. მას ადამიანის სუნი უფრო აფრთხობს, ვიღრე დანახვა. გამასხენდა ხალ-ხური ლექსი, ნიავი ჭიხვისათვის პირველი ამბის მიმტანია: „ნიავ გიზი-დავს, ამბავსა, ქარები ლემადისაო“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> მთის ძლიერი ქარი.



ამიტომ ჯიხვებთან მიპარვა მონადირული წესით დავიწყო. ახლოს მისელა დიდი წეალების შემდეგ, საღამოს ძლიერ მოუახერხდა. გუჩანი იყო. სურათის გადაღება აღარ ხერხდებოდა. ვიცლები კურირების თავშესაფარი და საძოვარი იქვე პქონდათ, შორს ასახად წევიდოდნენ, ამიტომ გადავწყვიტე ღამე იქნა. კლდის ნაპრალში გამეოთა. ზაფხულის თბილი ღამე იყო. მავრამ მთაში მაინც ციოლა. თითქმის ას მძინებია, მთელ ღამეს მესმოდა ჯიხვების ჩერების ჭახუნი. ფრუტუნი, სტანა, ბლავილი, სუნთქვა და ბუტბუტი.

დილის რიგრაფზე რამდენიმე ჯიხემა თქარათქურით სულ ახლოს გადაუარა იმ ნაპრალს, სადაც მე ვიყავი ჩაწოლილი, ჩანდა ერთმანეთს დასლევლენ. კუნტრულობდნენ, თითქოს დილის ვარგიშით ხელებოდნენ ალიონს. ისე კი თაგა უშიშრად გრძნობდნენ. ჩემი იქ ყოფნა არ უკრძანიათ. ნიავი ჭერ კიდევ ზევით უბერავდა.

ინათა თუ არა, კლდესთან მიეხობდი და ფრთხილად გადავიხედე, სადაც ჯიხვები მეგულებოდნენ: ზოგიერთი ჭერ კიდევ ძოვდა, დანარჩენები გაფანტულიყვნენ, კლდეში შემდგარიყვნენ და ლოდებს ისე იყვნენ შეხამებულნი, მხოლოდ გამოცდილი თვალი თუ შეამჩნევდა. ერთ ადგილს კლდის ქიმზე შენები იწვნენ, ახალგაზრდა ხარჯიხვები კი თითქოს დარაჯად ედგნენ თავს.

ჭერ კარგად არ იყო გათენებული, მაგრამ გულმა აღარ მომითმინა და ერთი-ორი სურათი გადავიდე. მერე მზის ამოსელის დაველოდე. როდესაც საჯიხვეები კარგად გაშუქდა. წამოვიწიე და უფრო მოხერხებულ ადგილს გადავცოცლი. ჯიხვებმა აღამიანის სუნი მხოლოდ აბლა იქრეს, უცრად შეცდნენ, რამდენიმე სურათი კიდევ გადავიღე და უფრო გაბედულად გადავინაცელე წინ. გადალებით რომ გული ვიწერე, ფეხზე წამოვდექი და აშეარად დავენახვე ჯიხვებს. ასე მოულოდნელად და პირდაპირ რომ აღმოვჩნდი მათ წინაშე, გაშტერებული მიუურებდნენ, გაქცევას ვერ ახერხებდნენ. მეც ადგილიდან აღარ ვეძროდი. ერთმანეთს ლრმა უფასერული გვაშორებდა და წინ წაწევა დღა არ შეიძლებოდა. ამას ჯიხვებიც გრძნობდნენ, უფრო იმიტომ ის ეშინოდათ. მხოლოდ შენები ფერხისაობდნენ — კლდეზე ხან ადიოდნენ და ხან ჩამოდიოდნენ. ხარჯიხვები კი ამაყად გადმომყურებდნენ და სხვებსაც გულს უმაგრებდნენ. აშეარა იყო ჯიხვებს ამ ქარაფიანი კლდის დატოვება არ უნდოდათ. სხვა უფრო საიმედო თავშესაფარი კლდე აღლოს

არ ეგულებოდათ. თითქოს იმასაც მამჩნევდნენ, კეთილი ვანმისაზეით გიყავი მისული, უიარალო, წყნარად ვიქტორი და ოლარ მერადებოდნენ.

ოლნავ დავუსტვინე, თან დავეხმარე და ხელი აუჭირავ შემუშავებლი- ყვნენ. ზოგიერთები თითქოს დაფრთხნენ, მაგრამ პრეზენტის წილში ხარჯისვებმა ამ ხმაზე უკადრისად მხოლოდ ზურვი შემომაქციეს და კარ- გა ხამა გაუნძრევლად იღვნენ, თან ცალი თვალი ჩემსკენ ეჭირათ, ერთი ქნახოთ ახლა რას იზამსო. მათ ქცევაში შიშის გარდა, სიამაყე იგრძნო- ბოდა.

ავჩარდი და ფოტოფირი მალე გამომელია. რაღაც შემთხვევისათ- ვის შემონახული ორიოდე კადრიც გადავიღე. დავჭრი და შეადლემ- დე თვალი არ მომიშორებია ჩვენი მთების ამ ულამაზეს ბინადარ- თათვის.

ბოლოს ერთად მოგროვდნენ, რაღაც მოითათბირეს, საერთო გადა- წყვეტილებით კლდიან სურს ზევით შეჰყვნენ. ერთი ბებერი, რეზოტეხი- ლი (ცალარქა) ხარჯისვი უკან რჩებოდა, სიარული უჭირდა, ჭოგს ველარ მიჰყებოდა. შევამჩნიო, რომ მას მთელი არვე უცდიდა. თუ ბებერი ჭი- ხვი შორს ჩამორჩებოდა და თვალს მოეფარებოდა, ახალგაზრდა სარჯის- ვები მაშინვე მიაკითხავდნენ, უფროსის მოლოდინში ჩაიმუხლავდნენ- თუ იწვა, ადგომას ელოდნენ. ცას შესტეროდნენ, ერთმანეთს უყურებ- დნენ, თითქოს საუბრობდნენ, ასე მოთმინებით, დანჯად ელოდნენ უფ- როსის წამოდგომასა და მისვლას. როცა ბებერი ჭიხვი წამოეწეოდა, წინ გაუძლებოდნენ და ისვე არვესთან მიიყვანდნენ.

კერშილობის წინა პერიოდი იყო. ხარჯისვები და ზუნები უკვე ერთ- მანეთში იყვნენ არეულები. ხარჯისვები დროდადრო ჭიდაობდნენ, ერთ- მანეთს ძალას უსინჯავდნენ, გამეტებით ურჩყამდნენ რქებს. კერშილო- ბის დროს ხომ ხარჯისვები ერთმანეთს არ ინდობენ. ბრძოლა ხშირად რამდენიმე დღეს გრძელდება. მანამდე ერკინებიან ერთმანეთს, ვიდრე ერთ-ერთი თავისით არ დათმობს, არ დატოვებს ბრძოლის ველს. არვეში ძლიერი ხარჯისვისაგან უმრავლესობა ადრევა დაშინებული და ბრძო- ლას ვერ უბედავენ, მაგრამ ამგვარ წინასწარ ჭიდილში ურჩებიც გამოჩ- ნდებიან ხოლმე, რომლებიც თავის პოზიციას ადვილად არ თმობენ და ხშირად იმარჯვებენ კიდეც ბებერ ხარჯისვთან. დამარტებული არვეში რჩება, მაგრამ თავისზე ძლიერ მეტოქესთან მორიცებულად იქცევა. ამ შემთხვევაში ძლიერს უფრო მეტი შთამომავლობის მოცუმა შეუძლია. ჭოგურობაში ეს ბუნებრივი შერჩევის ერთგვარი წესია.

ჭინვის კერძოლობა ნოემბერში მიმდინარეობს. მაკეობის ხაზზე დღიუობა ეჭვს თვემდე აღწევს. მოგების წინ მაკე შუნები არყვს გამოყენებისა და ცალკე არიან. თიქნები (ერთო-ორი ცალი) მაის-ივნისში იპარებიან. თიქანი დაბადებისთანავე, ხუთი-ექვესი სასათის შემდეგ ჭუჭაჭუჭა დედას კაკინითა და ბარბაცით დასდევს. ერთო-ორი კრძალული შესტეს შესტეს ჩიანი შენი უკვე არვესთანაა. დედა თიკანს ძეძუს ხშირ-ხშირად აწოვებს. ლაქტაცის პერიოდი სამ-ოთხ თვემდე გრძელდება. ცხიმიანი და გრძამინებით მდიდარი რძე ხელს უწყობს თიკნის სწრაფ ზრდასა და სიჯანსალეს.

ჭინვის სქესობრივად ორი წლის ასაქში მწიფედება, ზრდას კი ოთხი ხუთი წლის ასაქში დამთავრებს. ცოცხლობს 15—20 წლამდე. ბუნებაში მას მრავალი მტერი ჰყავს. მაგრამ ჭოგური ცხოვრების შემწეობით კარგი და იცავს თავს. ჭოგთან მისულას ყველა მტაცებელი ვერ ბედავს. მისი ძირითადი მტერია: ჭიქი და ფოცხვერი, იშვიათად იქერს მგელი და დათვი, თიქნებს მთის აჩწივი ანაღურებს. ხშირად ზარალდება ზვავებისა და დაგორებული ქვებისაგან.

ჭინვის ყველაზე საშიში მტერი ადამიანია. მთიელი მონაღირეები ოდითვანვე თავის ნებაზე ხოცავლნენ ამ ცხოველს. ზამთრისათვის სპეციალურად იმარაგებდნენ მის ხორცს, ტყავისაგან კერავლნენ სხვალასხვა ქურქებს. ბეწვევარეთა ქურქს, ბრძოლის დროს, დამცავი ჭაჭვის მავიზრად იცავდნენ, რადგან მის ტყავს იარაღი ადვილად ვერ ჭრის. აკეთებდნენ უნავირისა და ტახტის საფენებს. კერავლნენ საბნის მაგიერ სახურავგუდანურებს, თივთიკისაგან ქსოვლნენ თბილ ჩასაცმელებს; წინდება და შალებს. რქებისაგან ამზადებდნენ ძეირფას ყანწებს: მასი დამზადება ამფად აკრძალულია. აკრძალულია აკრეთვე ჭინვის რქების გაყიდვაც, მაგრამ ბრაკონიერები ამას ჩუმად მაინც ახერხებენ. ახერხებენ, რადგან მკაცრი კონტროლი არა დაწესებული. არ მოწმდება მისი დამამზადებელი სახელოსნოები. რქების მოპოვებისათვის ნადირობენ ყოველ დროს, კლავენ საუკეთესო დიდრქებიან ჭინვებს, რაც აგრეთვე თავისებურ უარყოფით გავლენას ახდენს ამ ცხოველის რიცხობრივ ზრდასა და მოღვაწეს.

ჭინვის რაოდენობრივი შემცირება განსაკუთრებით მას შემდეგ დაიწყო, რაც მთაში ხრახნიანი, შორს სმსროლელი იარაღი გაჩნდა, ამან დიდად გაადვილა ჭინვზე ნადირობა და მონაღირეებიც გამრავლდნენ.

შაშეანებითა და ავტომატებით შეიარაღებული ზოგჯერ მოკლე არეეს  
ანაღურებენ. მოქმედებენ ფარულად, თუმცა მათ აე ათავისონ მიმწერებს.  
გამოიყენებენ თუ არა ნანაღირეეს, ამაზე ზოგჯერ არც ასლა ფიქტობენ.  
ამ რამდენიმე წლის წინათ ნაღირობის აზარტში შემუშავებულმა  
მონაღირემ საფარში მისული ჯიხვებიდან არც ერთი არ გაუშება თუმცა—  
მეტი ჯიხვი მოკლა, ერთმა შატრილელმა შონაღირემ — ცხრა, მეორემ—  
შეიდი, თუშმა ცხერის მწყემსმა შეიდი ახალგაზრდა ხარჯიხეო გადა-  
ჩეხა კლდეზე და არც ამოუტანია. თავიანთი ნამოქმედარი შემდეგ თვი-  
თონცე ზარევდათ:

უაზრებ ჯიხვის თვალებსა თაოდაც დაგნანდებისა...

რაზრებ ჯიხვის თვალებსა თაოდაც დაგნანდებისა...

ჩენი დროის სახალხო მოქმედი, სახელგანთქმული მონაღირე ივა-  
ნე წიკლაური ნაღირობისა და მენაღირობაზე ხშირად წერდა და დაუ-  
ნდობლად გმობდა ასეთ გაუმიძღარ მონაღირეს:

თქვენ, ეთ მენაღირუო, ქურდიეთ შეზიზლებითა.

შშეიღობით, ჯიხვის ლამაზნო, მე ველაზ შავეურებითა,

არ მინდა თქვენი მაყვლა, ნახვა კი მცნატრებისა.

სახელგანთქმული მთამსვლელი-მონაღირე ვახტანგ ქირიკაშვილი  
ყოველთვის წინააღმდეგი იყო და ნანობდა ბევრი ნაღირის ხოცას. თან  
იქვე დასძენდა:

ცელი ყმა მოხვეს ვერ წივა,

ნაღირის კერ მახკლავს მოისამა,

თუ მაყლა ვერ გაატყივებს,

ჯიხვანვერს ბოტობისასა,

რო მაეზიდას ვერ მაპგლეჭს

სასულას ხარჯინვეისასა.

ამ ბოლო დროს ცალკეული სოფლების მთიდან ბარში გადმოსახლე-  
ბის გამო, ჯიხვზე ნაღირობა თითქოს შენელდა. რამაც ხელი შეუწყო ამ  
ცხოველის ხელახლა მომრავლებას. ჯიხვის რაოდენობამ განსაკუთრებით  
რმ უბრებში იმატა, სადაც მოსახლეობა არ არის და ტრანსპორტი ვერ  
უდგება. ბარიდან ასულ მონაღირეებს მთაში სიარული და ჯიხვზე ნადი-

რომა უჭირთ, მაგრამ ზოგიერთ აზგილებში ურტმფრენებით, ცენტრით, ადგილობრივი მცხოვრებლების დახმარებითა და ხელის შეწყობით მა- ნც ასერხებენ ასელას ზაფხულში და აკრძალულ დროს ნატებლების კა მია- მათ ხელს არავინ უშლის. პირიქით, ადგილობრივი მცხოვრებლები უკუ- კლთვის და ყველგან დიდი პატივით ხვდებიან და მიატევებულებს ნა- ხადირევით გულხვად უმასპინძლდებიან. ასეთი სტუმარ-მასპინძლური ნადირობები განსაკუთრებით ხშირია ყაზბეგში — თრუსისა და ხდეს ხეობებში, არხოტში — ბისნასა და ტანის ხეობებში, შატილში, თე- შეთში, ალაზნის სათავეებში — სპეროზას მთაში, საბუის მთაში, ყვარ- ლის მთაში, სვანეთ-სამეგრელოს ჟედზე და სხვავან.

ჯიხეს განსაკუთრებით ზიანს აყენებს მთაში შემორჩენილი უნება- რთვო, შორისმსროლელი იარაღის ციმრაცლე, რაც შენიხვა-გვმოყენება კანონით აკრძალულია. იარაღის აკრძალვისა და ჩამორთმევის ახალი ღო- ნისძიება, როგორც ჩანს, ყველგან ერთნაირად და ბოლომდე არ გატარე- ბულა, აქ ბევრმა არც იცის, რომ მცირე ყალიბიანი შაშხანის შენახვა ა- რძალულია, რომ ჯიხეის მოკელისათვის, თუნდაც თიკანი იყოს, მონადი- რე სისხლის სამართლის კანონით, ერთ წლამდე თავისუფლების აღკვე- თით ისჯება და სამას მანეთ ჯარიმის იხდის. არ იცის; იმიტომ, რომ მოსახლეობაში ამ საკითხებზე პროპაგანდა სუსტია.

ჯიხეი ძვირფასი სანადირო-სარეწაო ცხოველია. იმის გარდა, რომ ის უფასოდ და სპეციალური შრომის გაუწევლად გვაძლევს საუკეთესო ხა- რისხის ხორცს, ტყავს და სხვა ნედლეულს. ამასთან მისი მთავარი ღირს- ება უფრო ის არის, რომ კარგად იტანს ტყვეობას, ადვილად შინაურდე- ბა და ეჩვევა ადამიანს, თავის მომვლელს ძალივით უკან დასდევს, ბე- ერად არც უცხოს ერიდება. აი, რა გვიამბო ახალგაზრდა მთამსვლელმა- რონადირემ შალვა ქირიკაშვილმა:

„ამ რამდენიმე წლის წინ ყაზბეგის საჯიხუეებში ერთი ობოლი თიკანი დაციჭირე და სახლში წამოვიყვანე. ის ხელში აყვანისთანავე მომენტია. პირეელი დღიდანცე, ხელოვნური საწოვრიდან, ხალისით მი- არამედა თხისა და ცხვრის რძეს. ზოგჯერ უზომოდაც კი ჭამდა. მალე გარშერდა და გასუქდა. პატარაობისას უფრო მოუსვენარი იყო, მოაჭირ- და და სახლის სახურავზე დახტოდა, ერთთავად ვარჯიშობდა კარები. რომ ღია ყოფილიყო, ოთხში მაინც ფანჯრიდან შემოხტებოდა. უყვარ-

და შანქანაზე შეხტომა და ფანჯრის კიდეებზე სიარული უავრცების ძალის დაუშეგობრდა, ვინემ პატარა იყო, ლოგინში უსცებოდა, დღისათ ხომ ჩელგან უკან დასდევდა. ორი წლისას რქებიც წამოვჭარულა, თანამდებობა დადინჯდა და გათამამდა, ქუჩაში გასვლისა აღარ გრძელებულებულ დადინდა, ძალებიც არ ერჩიოდნენ, ყველა დიდ პატივს სცემდა, არც უცხოს ერიდებოდა, მოფერებასა და ძლვენს ყველასაგან იღებდა. ქალაშის ქუჩებში დინჯად დააბორებდა, ყაზბეგის ყველა სტუმარს სიამოვნებით ხედებოდა. ამასთან სამახსოვრო ფოტოსურათებსაც კი იღებდნენ. ეს მიუკარებელი ნადირი მოშინაურებით მოქლე ხანში მთლად გარდაიქმნა, ნამდევრი „ნებიერა“ გახდა, სახელიც ეს შეარქევს. ვაგრამ თავისი ერთი ზე მაინც არ მოიშალა: სახლების სხეურავებზე დახტოდა, იქ წვებოდა, შილერსა და კრამიტს ამტვრებდა. მომჩინები ვამრავლდნენ და ეს საყვარელი ცხოველი თბილისის ზოოპარკს ჩააბარეს. მან უცხო გარემო და ტყვეობის ამგვარი პირობები ვერ იიტანა, მოიშეინა დანაღვლიანდა, იშვიათად ვამზა, სიკედილის პირა მიეიღდა, ერთხელ, როცა მის სანახავად მივედით, შორიდანც გვიცნო, სიხარულით ცას ეწია, გამხიარულდა, თავის დედობილ ლალის ზედ მივარდა. გარშემო ურბენდა, ხელებს ულოკავდა, ეფერებოდა. წამოსვლისას კაბის კალთაზე კბილებით ჩაეჭიდა და აღარ უშევდა. თითქოს ეხვეწებოდა: არ დამტოვო, მეც თან წამიყვანეო, „შეატყვეს, რომ ვერ იცო ცხლებდა, სურვილი შეუსრულეს — „ნებიერა“ ყაზბეგს დააბრუნეს. ჯიხვმა მშობლიურ აღგილება რომ შეხედა, ლალად გაინავარდა.

ჯიხვი ადამიანის ხელის შეწყობით ზღვის დონიდან დაბალ აღგილებშიც გვარობს და მრავლდება. სპეციალურ საკვებსა და დიდ მარაგს არ მოითხოვს, იკვებება ისეთი უხეში საკვებით, რომელსაც სხვა ცხოველები ნაკლებად ვამენ. მისი მოშინაურება და სასოფლო-სამეურნეო ცხოველის ახალი ჯიშების გამოყვანა ადვილად შეიძლება. ჯიხვი ხომ სხვა გარეული თხების გვარის წარმომადგენლებსაც ეჭვარება! შინაური ხებთან შეჯვარებითაც ნაყოფიერ თაობას იძლევა. პიბრიდი ჯიხვთა მშობლებზე ბევრად დიდია, პირველი ნამატი 120 კილოგრამამდე იწონის. 1942 წელს ლაგოდეხის ნაკრძალში მეცნიერებმა დაიწყეს შინაური თხისა და ჯიხვის შეჯვარება, კარგი შედევიც მიიღეს, გამოიყენეს ჯიხვთხის პირველი თაობა, მაგრამ ნაკრძალთა სამმართველომ ეს ყველაზე საჭირო საქმე რატომლაც შეაწყვეტინა. ასე რომ არ მომხდარიყო,

ახლა ჯერ ჭიხვთხის ჩამოყალიბებული ჭიშები გვეყოლებოდა და მთის  
მეცნიერების შემოსავალიც გაიზრდებოდა. ჭიხვთხის მაშინდელი  
პიბრიდები თბილისის ზოოპარკში აჩეამაღაც არსებობდნ და თავისიავად  
ტრავლდებიან.

ჭიხვი უძვირფასესი გენოფონდია იმითაც, რომ ქართველი წერი-  
ლეო სავარგულების ისეთ კლდიან ტერიტორიას იყენებული მისის ქადაგი,  
რომლის გამოყენებაც სხვა ცხოველებს ნაკლებად შეუძლიათ, ჭიხვის  
დაგილსამყოფელზე ამბობს ვაჟა-ფშაველა:

იქ რომ ხენით არაენა ხნევს,  
არც რას ვინ თესავს თესვითა,  
მხოლოდ ჭიხვები დაღიან,  
კლდეებზე ჩერების ლესვითა.

ასეთი სავარგულის საერთო ფართობი, მთავარ კავკასიონზე, საქა-  
რთველოს ფარგლებში ნახევარ მილიონ ჰექტარს აღწევს. ამ ფართობის-  
უკაველ ათას ჰექტარზე ჭიხვის დასახლების საშუალო სიმჭიდროვე ორ-  
სამ სულამდე მოდის. ამის მიხედვით თუ ვიანგარიშებთ, საერთო რა-  
ოდენობა ორი ათას ჸულს არ აღმატება და წითელ წიგნში შეტანას  
მისახურებს.

ჩვენი მთების ბუნებრივ სავარგულში ჭიხვის დასახლების საშუა-  
ლო სიმჭიდროვე ათას ჰექტარზე შეიძლება ოც-ოცდაათ სულამდე გაი-  
ზარდოს, საერთო რაოდენობა კი—ოცი ათას სულამდე. მაშინ შესაძლე-  
ბელი იქნება სისტემატურად ვინაღიროთ მასზე. იგი სპორტული ნაღი-  
რობის ობიექტი იყო და ასე დარჩება მუდამ, ამიტომ ამბობენ ხალხში:

ჭიხვმა თქვა მუღამ შენა ვარ  
სისხლით კლდეების მბანელი,  
გაუჩინივარ უფალსა  
სიცოცხლე გაუხარელი.  
თოფთ მომელის სიკედილი  
და ტანჯვა აუტანელი.  
ჭიუხში მიუვარს ცხოვრება,  
ის არის ჩემი მუარველი.

თემად ჭიხვს ყცელანირად უნდა გაუცუროთ თემაზე, მოთავია, მთავრი კავკასიონზე ჭიხვის რიცხვობრიობა უკიდურესად არ არის შე-  
მცირებული, მაგრამ მთავარ კავკასიონის გარდა ახლა წარმოადგენ არ-  
ის. ჩვენთან უფრო შემომავლელია და არა მობინარებულებული არ-  
ენს და თავს მრავლად გვაჩვენებს. საქართველოს ფარგლებში მაინც  
მცირერიცხოვნად მობინადრეობს. ამიტომ მისი დაცვა პირველ რიგში  
ჩვენ გვივალება და მეტი უცრადლება გვმართებს. მით უმეტეს დღეს,  
როცა მთიელი ისევ მთას უბრუნდება, თავისთვის ცხადია, ჭიხვები მო-  
ნადირებიც ისევ გამრავლდებიან. ამ საქმეზე თუ ახლავე არ ვიღონეთ.  
ჭიხვი სულ მალე კიდევ უფრო შემცირდება და შეიძლება სულაც მოი-  
პოს. ეს უკვე შეიმჩნევა შატილისა და არხოტის ხეობებში. ამიტომ სა-  
კროდ მიგვაჩინია მისი წითელ წიგნში შეტანა და ცალკე ღონისძიებათა  
გარებება. მისი ბუნებრივი მარაგი თადარიგიანად უნდა გამოვიყენოთ.  
ჭიხვის გადარჩენას მეცხოველეობის პროდუქციის გაზრდისათვის უდი-  
დეი საკაცობრიო მნიშვნელობა აქვს.

## ზუგრობის ონი

ხარი არ იყო, ფერი ხარობას ეწეოდა

ხალხი

ზუბრობიზონი ღრურქიანთა ოჯახის ახალი წარმომადგენელია, გა-  
რეგულად შინაურ ხარა წააგავს. საბჭოთა კავშირში ბინადრობდა მათი  
გვარის ორი ქვესახეობა: ევროპული ანუ ლიტვური ზუბრი და კავ-  
კასიური ზუბრი ანუ ლომბა-ორივე ეს ქვესახეობა საბჭოთა კავშირში  
ერთხანობას ბუნებაში თითქმის მოისპო. ევროპული ზუბრი გავრცელე-  
ბული იყო ევროპაში. მისი უკანასკნელი ეგზემპლარი ბელოვეჟის ტკე-  
ში 1919 წლის 19 აპრილს მოკლეს, ხოლო კავკასიური ლომბა, რომელ-  
იც გავრცელებული იყო ჩრდილო კავკასიონიდან სევანის ტბამდე, საქარ-  
თველოს ფარგლებში შემორჩი დასავლეთ კავკასიონზე. სამხრეთ ასე-  
თიდან თეხაზეთა მდე. უკანასკნელი ეგზემპლარი 1927 წელს მოკლეს  
კავკასიონის ნაკრძალაში. ერთი სახარე ხბო გადარჩი ზოოპარკში და აქე-  
დან იქნა იღდენილი კავკასიური ლომბას მოდგრა — ზუბრთან ნაჯვარი.  
ამ ცხოველის აღდგენა მოხდა გერმანიის, შეეციის, ინგლისის, პო-

ლონეთისა და ევროპის სხვა ზოოპარკებში შემონახული ც. 13-მდე  
17-და ცხოველიღან. მეტამოდ მთ ერთმანეთთან და მეტოქულ პირთა-  
ნ ავეარებენ, გამოჰყავთ პირიღები. მეტარად აღდგენლი წესახეობე-  
ბი და პიბრიღები ასებობენ პოლონეთში, ბელორუსისა და უკრაინის  
ნაკრძალ-სამონადირეო მეურნეობაში, ჩრდილო კუკარით უა თებერ-  
დის ნაკრძალებში. ნაწილი ცხოველების უკუ ბუნებაში თავისუფლა-  
და გაშვებული და გავლურებული. მ ნაკრძალებიდან ზუბრ-ბიზონ-ს  
ნაკრძალმა საქართველოს ტერიტორიაზე თვესახეთის საზღვრებში — ბზი-  
ფის ხეობაშიც შემოაღწია.

ზუბრობიზონმა აქ კარგად იგვარა. მისი სხეულის სიგრძე ხარისა 250  
1 მ-ს უდრის, ფურისა — 240 სმ-ს, მინდაოში სიმაღლე — 140 — 160  
სმ, ხოლო ცოცხალი წონა 400—700 კგ-ს აღწევს. კავკასიური  
დომბა თავის თანამოძმებთან შედარებით უფრო ტანმორჩილი იყო. მას  
სხეული უფრო პროპორციული და ლამაზად პექნდა განვითარებული:  
წინა მხარე, მეტრი და მხრები უფრო კუნთოვანი, განიერი და მა-  
ღალი პექნდა, ვიდრე უკანა. მაგავსი დებულებით ხასიათდება აღდგე-  
ნილი კავკასიურ-ბელოვეჟური ზუბრიც. რაც იმს გვიჩვენებს, რომ ეს  
ფორმა უფრო შესაფერისი იქნებოდა მ აღვილებისთვის.

ზუბრობიზონის სხეულის ფორმა მასიური და სქელია. კიდურები  
თანაბრი, ტანთან შედარებით ნაკლებად განვითარებული და მოკლე  
მოჩინს. ჩლიქები შევი, მაღალი, განიერი, ნახევრად მომრგვალებული და  
წილა მხარეზე ოდნავ მოხრილი აქვს, რაც ნაკვალევზე თავისებურ ანაბ-  
ეჭურ ტოვებს. წინა კიდურის ჩლიქის სიგრძე 10—13 სმ-ს აღწევს.  
უკანა კიდურისა — 11—13 სმ-ს, გვერდითი ჩლიქების სიგრძე 3—  
4 სმ-ია, მაღლაა გაწყობილი და ნაკვალევზე ანაბეჭდს მხოლოდ თოვლის  
და ტალაზე ტოვებს.

ორიც სქესსა აქვს წვეტიანი, მაღლა ახრილი, შავი რქები, ხარის  
რქები ქელი, ნეხვარ შეტრამდე სიგრძისაა, ფურს მოკლე და წვრილი  
რქები აქვს. სხეული დაფარულია მოკლე, ხუცუჭი ბეწვით და აღგილ-აღ-  
ვილ ხშირი გრძელი ბალნით. შუბლზე ბალნის სიგრძე 26 სმ-ს აღწევს,  
ყბასა და ყელზე — 35 — 40 სმ-ს, კისერსა და მეტრზე — 25 — 30  
სმ-ს და ა. შ. საეთი ხშირი და გრძელი ბალანი მის სხეულს იცავს სიცი-  
ფისაგ. ე. მიტომაა, რომ მ ცხოველს ზამთრის ბეწვი ზაფხულისაზე ბევ-  
რად გრძელი და ხშირი აქვს. შეფერილობით კი ყოველთვის მუქი-

შეურა. სერთოდ სხეულია წინა ნაწილი უფრო მურა, და  
ზურგზე კი — მოწაბლისფრო, ფურები უფრო ლია, ურთნაირი ფე-  
რილობისანი არიან, ხოლო ახალგაზრდები მოყვისტრონი.

ზუბრობისონი ფართოფოთლოვანი შერეული, ტერპუ-  
ლინი ადგილების ტიპური მობინადრეა. გვხვდება შერეულ წარვითი ტექ-  
შიც. უყვარს წიფლნარ-გვიმრიანი ტყე და ტყეთა შორის მაღალბალახი-  
ნი უელობები, მეჩხერი ტყეები. სადაც ნაყოფისა და ნეკერის მომცემი  
ტყის ჯიშები: მუხა, წიფელი, წაბლი, რცხილა, ნეკერჩხალი, ცაცხვი, ვერ-  
ხვი, არყი და მათი აღმონაცენი ხარობს. ქვეტყეში ხშირია: პანტა, მაჟა-  
ლი, ტყემალი, თხილი, ტირიფი, მდგნელი, მაყვალი, ქოლი, ძმერხლი,  
კუორი, წყავი. მოცემი სურო და სხვა. ზამთარში ძირითადად ის მცენარე-  
თა ნეკერითა და ფოთლებით იკვებება, მაგრამ ბალახის გარეშე აჩსებო-  
ბა მას მანც არ შეუძლია, რადგან დიდი რაოდენობით საკვებს მოითხ-  
ოვს, ყოველთვის ბალახიან აღვილებს ეტანება, საძოვრად ველობებში  
გამოდის. ზაფხულშა სუბალპურ მდელოებზე (2200 მ ზ. დ) აღის და გვიან  
შემოდგომამდე რჩება. ზოგჯერ ზამთარსაც აქვე პირმზით ფერდობებზე  
ატარებს, საღაც მზის რაღიაცია მეტია და თოვლი დიდხანს არ ჩერდება,  
მარცდომშვანე წივანა ბალახი ყოველთვის მოჩანს და საკმაოდ მოიპოვება.  
მოძრაობა და საკვების მოპოვება მას აქ არ უკირს. მიუხედავად დიდი  
და მძიმე ტანისა, დიდი დაქანების ფერდობებზე, საღაც კლდეები არაა,  
მარჯვედ მოძრაობს. კლდიან და ლოდიან ადგილებს კი ერიდება. ერთ  
მეტრამდე სიმაღლის თოვლის სიფარს თავისუფლად სძლევს. ადვილად  
ეტება ორი-სამი მეტრის სიგრძის ხრამზე და ორი მეტრის სიმაღლის  
ლობეზე. გავირვების ღროს ერთ კილომეტრამდე მანძილს შეუჩერებ-  
ლად გარბის.

დიდოვდობის დროს უფრო ხშირად ტყის ჭვედა სარტყელში,  
ჭალებში გაღაინაცვლებს და მდინარის სანაპირო ტყეებში ატარებს ზა-  
მთარს. არ ერიდება ჭაობიან ადგილებს, ბელოვეჟეის ნაკრძალის ტყეში  
ძირითადად ჭაობიან ადგილებში ბინადრობს. ცხოვერობს ჭოგურად 5—6  
სული ან 20—30 სული ერთად. ზამთარში ჯგუფში სულადობა მატულობს  
განაკუთრებით დიდი ჯგუფებია ხოლმე თავმოყრილი წყლისა და  
„სამარილის“ მახლობელ ადგილებში, საღაც ისინი ხშირად შიდიან.  
ბებერი ხარები სერთოდ განცალკევებით არიან და ჯგუფს იშვია-  
თად უერთდებიან. ღრმა თოვლში გადაადგილებისას წინ ძლიერი ხარე-  
ბი მიდიან, შემდეგ მწკრივად სხვებიც მიჰყვებიან. საკვების მოპოვები-

სას. ადგილ-ადგილ იფანტებიან, 20—30 სმ-მდე სიორმის/თოვლს ფეხით და დრუნჩით თხრიან და ისე პოულობენ საკვებს.

ზუბრობიზონი ძირითადად ბალახით იყვებება. ღლე-ღლამეშ, 30—40 კგ-მდე საკვებსა და ამდენსაც წყალს იყენებს. ზაფხულში წულუბალ ციცრაობს, რადგან საკვები უხვად აქვს. თაეშესაუზრუდ ჰერცეფის ტყეს იყენებს. საკვებად დილა-სალამოს, უფრო ღამით გამოდის, შემოდგომასა და ზამთარში კი მთელი დღე-ღლამე დადის და საკვებს და-ეძებს. საკვებად 400-ზე მეტი სახეობის მცენარეს იყენებს. განსაკუთრე-ბით უყვარს ხე-მცენარეთა ნაყოფები: წაბლი, წიწიბო, რკო, პანტა, მა-ჟალო, ტყემალი, მარადმწვანე მაყვლის, ძმერხლის, წყავის ფოთლები და ნაყოფები, აგრეთვე წვნიანი მაღალი ბალახი. ხშირად ჭამს: მღიერებს, ხავსს, დიყს, გვემრას, ისეთ მცენარეებს, რასაც სხვა ცხოველები ნაკლ-ებად ეტანებიან. შემოლრონის ხის კერძსაც. ზადგმულ თივესა და სამა-რილეზე მოურიდებლად მიღის და შეექცევა. განსაკუთრებით მარილის დადი მოთხოვნილება აქვა, მას წლის კუველა დროს—უფრო გაზაფხულსა და შემოდგომის დამდეგს თხოულობს, ბელოვევეიესა და კავკასიის ნაკ-რძელში სამარილესა და სათივესთან მისასვლელი ბილიკები ხშირი ზიმო-სვლის გამო გზა-შარად არის გადაქცეული. წყლისა და მარილისათვის ახდენს შორმანძილიან აღვალგადანაცელებებს. მის გავრცელებას არ ჰალუდას ღია უტყეო ადგილები. ზუბრობიზონი საკმაოდ გამბედავი და უშიშარია.

ზუბრობიზონის სუსტი მხედველობა აქვს, სამაგიეროდ სმენა და ყნოსვა ძლიერ აქვს განვითარებული. აღმიანის სუნს ნახევარ კალო-მეტრზე გრძელებს და ერიდება; გაურბის ან გაიპარება. უკიდურეს შემ-თხვევაში კი ალარ გარბის, მუქარით აფრთხილებს და თავდასმასაც ადვილად უბედავა, սადაც მისი ჯოვი ბინაღრობს, იქ მტაცებელი და ადამიანი ახლოს ვერ გაეკარება.

ზუბრობიზონი სქესობრივ სიმწიფეს ორი-სამი წლის ასაქში აღწევს, ფური უფრო გვიან შედის სიმწიფეში. კერშილობა აგვისტოში ეწყება. ამ დროს გამოსცემს სპეციფიკურ მძაფრ სუნს, რასაც ადამიანი ას მე-ტრზე შორს შეიგრძნობს. თუმცა ასეთი სუნი მას ტენიან ამინდშიც აქვს. მაკეობის ხანგრძლივობა ცხრა თვემდე გრძელდება. პატარები უმე-ტესად მაის-ივნისში იბადებიან. დედა შვილს თავგამეტებით იცავს მტრე-ბისა და სხვა ზუბრებისაგან. მას დღეში ხუთ-ექვსჯერ აწოვებს. ამიტომ

პატარა სწრაფად იზრდება. ერთი კვირის ასაკში დარღმული თან დამატება. სამი კვირის შემდეგ კი ძუანს წოვასთან ერთად ბალახის ძოვისაც იწყებს. ზრდას შეიძინება წლის ასაკში ამთავრებს. სიკუთხმამ მიმდინარე ილი-ვობა (20—30 წელი) ზესტად დადგენილი არ არტმიშვილი მარტივების

ზუბრობაზონის ბუნებრივი მტრებია: დათვი, ჯიქი, ფოცხვერი, მგალი, ისინი მოზარდება და ცალკაულად მყოფ ფურებს ესხმიან თავს. ჯგუფთან მისვლა კი დერც ერთი მათგანი ვერ შეღავს. მითუმეტის, თუ მათ ხარები ახლავს. ისინი ასეთი საფრთხის დროს არ გარბიან. წრეს შეკრავენ. პატარებსა და შეუძლოებს შიგნით მოიქცევენ და თავგამეტებით იცავენ თავს: ქშუბუნებენ, ბლავიან, ბუბუნებენ, ღრიალებენ, რქებით ივერიებენ, აშინებენ მტერს და ბოლოს შეტევაზედაც გადალიან. გაქცეულ მტეცებელს მთელი ჭოვი მისდევს.

ზუბრს მაგარი, გემრიელი ხორცი აქვს, განსაკუთრებით ბებრებსა და ხარებს. ასევე უცხში, სქელი და მაგარია მათი ტყავიც. რომელიც ას კილოგრამ-მდე იწონის. სამაგიეროდ ახალგაზრდებს რბილი, ნაზი ხორცი და შედარებით თხელი ტყავი აქვთ. ჰყირფესია ზუბრის ბეწვი. მისგან შეორენ თბილ წინდებსა და სხვა ჩისეცმელებს. გამოიყენება რქები და ჩლაქებიც.

შეცნიერება კიდევ ბევრს ცდილობს ამ ცხოველის გადარჩენისათვის; შექმნილია სპეციალური ზუბრსაშენები. მას იცავენ და ამრავლებენ ნაკრძალებში. კავკასიისა და ბელოვეჟის ნაკრძალების გარდა აკლიმატიზებულია სხვაგანაც.. 1959 წელს გუშვეს ნალჩიკის სატყეო-სამონადირეო მეურნეობაში, 1962 წელს—ალმა-ათაბა და სარიჩილექის ნაკრძალში, 1964 წელს—სამხრეთ ოსეთის ცეიისის ალკვეთილში, უკრაინაში—კორსტენის ტყეში და ცუმბინი. სამონადირეო შეუზეობაში. მას შორენებაზე აკეცე ზრუნავენ საჩილდარგარეთის ქვეყნებშიც. 1971 წლისათვის შესმა სერტონ რაოდენობამ ოცდარვა ქვეყანაში 1166 სულს გადააჭირდა. 1973 წელს კავკასიურ-ბელოვეჟიური ზუბრის რიცხოვნობამ 436-სულს მიაღწია. ამის გარდა 800 სულამდე სხვა პიბრიდული ფორმაა ალრიცხული. ასე ალადგინა მეცნიერებამ თითქმის გადაშენებული ეს უიშვიათესი და უძვირფასესი ცხოველი. მაგრამ მეცნიერულად უფრო გამართლებული, სწორი და პერსპექტული იქნება, რომ კავკასიაში გავრცელებული ზუბრობიზონი ახლავე შეიცვალოს კავკასიურ-ბელოვეჟური ფორმით.

ამ გენოფონდის ბუნებაში დაცვა-მომრავლება დღეს საყოველთაო-  
საკაცობრიო მნიშვნელობის საქმეა. მაგრამ ასე როდი ფურიობდნენ — ზფ-  
ხაზი ბრაჟონიერები: ა. არდლინბა, ჩ. ბარგანჯია, ო. ტარბა. და ს. ჩახი-  
ძეია, რომლებიც დაჭირავებული ვერტმფრენის გამოყენების უკანასკნელი  
სისტემატურად ნადირობდნენ კავკასიისა და თებერდის ხაკორალებიდან  
საქართველოს ფარგლებში — ბზიფის ხომაში გავრცელებული ზუბრ-  
ობიშონჩე. ბრაჟონიერები დღისით-მშილით რიწის ნაკრძალის ტერიტო-  
რიაზე და ახალ ათონის მღვიმესთან, სადაც მთელი ქვეყანა იყრის თავს,  
ხორცი, ქუჩა-ქუჩა, კილოგრამობით ასალებდნენ და რესტორნებსაც ამა-  
რაგებდნენ. ეს იცოდნენ თურმე კავკასიის, ბიჭვინთისა და რიწის ცერძ-  
ალის თანამშრომლებმა და სხვა ბუნების დამცველებმაც, მაგრამ თავის  
დროზე არ ამხილეს. ბრაჟონიერებმა კი ხანგრძლივი თარეშით სახელმწი-  
ფოს 17 ათას მანეთზე მეტი ზარალი მიაყენეს. ამაზე ფელეტონის სა-  
ხით „მგლები ვერტმფრენით“ წერდა ვ. პროხოროვი 1979 წლის 13 დე-  
კემბრის № 347 პრაცედაში.

## 0 6 ვ ა ლ ა ღ ი

გაგასუქე, გაგალალა,  
რქანი დიდი გამოგაბი,  
კურა ძალი შემოიდა —  
კრდი ველარ გამოგაბი.

ხალხური

ირემლალი ირმისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. ცნობილია ორი  
ევესხეობა: ჩვეულებრივი ირემლალი და ირანული ირემლალი. გარეუ-  
ლად არსებობს მცირე აზიაში და დასავლეთ აფრიკაში. ნახევრად მოში-  
ნაურებული სახითაა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში და ტყე-პარკის ცხოვ-  
ელად ითვლება. საბჭოთა კავშირის ფარგლებში გავრცელებულია ბალ-  
ტიისპირეთის ჩესპუბლიკებში: ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში. აგრე-  
თვე ბელორუსიაში და უკრაინაში. აქედან ის აკლიმატიზებულია სხვა  
რესპუბლიკებშიც. იქაც ძირითადად მოშინაურებული და ნახევრად მო-  
შინაურებული სახით ჰყავთ ზოოპარკებსა და პარკებში. აშენებენ სამო-

ნადირეო მეურნეობებშიც. საქართველოში პირველად 1888—1890 წელებში შემოიყვანეს უნგრეთიდან და ბალტიისპირეთიდან — 120 სკონი. მემდეგ, 1912 წელს კიდევ შემოიყვანეს და ბორჯომის ნეკრიფტის უნგრეთი შემოღობილში გაუშვეს, ხოლო შემდეგ თავისუფლად გეშუ მტკრწერებულებული და გაერცელებული. ირემლალი ბორჯომის ხეობის შუნებრივ პირობებს კარგად შეეგუა, გამრავლდა და როგორც ამ მმბის მომსწრე აქტური მაცხოვრებლები ამბობენ, პირველ ხანებში მისი მრავალსულიანი ჯოგები ხელოვნურად მოწყობილ საკვებურებზე. საცხოვრებელ სახლებთან ბუკისა და საყვირის ხმაზე მოღიოდნენ. შემდეგ კი ირემლალები აქ მთლად გავარეულდნენ და ადამიანს ახლოს აღარ ეკარებოდნენ. საყურადღებო ისაა, რომ ბორჯომის ნაკრძალის ბუნებრივ პირობებში, სადაც სათანადო დაცვა იყო, ირემლალმა საუკეთესოდ იგვარა, სწრაფად გამრავლდა და მალე სანადირო ობიექტებზე გადაიქცა. აღწერილია, რომ ერნესტი მიხეილ ნიკოლოზის ძეს აქ ერთდღიანი ნადირობისას შვიდი ირემლალი შოუკლავს.

სამამულო და სამოქალაქო ომების დროს უპატრონოდ დარჩენილ ნაკრძალში ადგილობრივმა ბრაჟონიერებმა ეს ძეირფასი, აღამიანისათვეს შინდობი ცხოველი ადვილად ამოწყვიტეს. ერთეული ეგზემპლარები აქ 1937 წლამდე შემორჩია და ისინიც გაანადგურეს.

1956 წელს თბილისის ზოოპარკიდან გავიყვანეთ და ივრის ჭალაში, საგარეჭოს რაიონის „ყორულის“ სამონადირეო მეურნეობაში გაუშვით როთხი ირემლალი. მათ შორის ორი თეთრი ხარლალი იყო. ამ ადგილის შერჩევა ირემლალისთვის სწორად არ მოხდა, მეურნეობიდან ვასული ცხოველები ბრაჟონიერებმა აქაც მალე მოსპეს. ძევამად ეს ცხოველი, გარდა თბილისის ზოოპარკისა, საქართველოში აღარსად მოიპოვება, მაგრამ უკვე გვაქვს საიმისო გამოცდილება, რომ, თუ საქართველოს ბუნებრივ პირობებში ირემლალს შესაფერის ადგილს შევურჩევთ და სათანადო დაცვასა და სხვა ბიოტექნიკურ ღონისძიებებს ჩავატარებთ, კვლავ მომრავლდება და მალე სანადირო-სარეწაო ღონეს მიაღწევს.

ირემლალი ირემთან შედარებით პატარა ტანისაა და ლამაზი აგებულება აქვს. მასიური ტანი, სწორი წელი და მაღლა აწეული კისერი პროპორციულ გამოსახულებას ჰქმნის. სხეულის საერთო სიგრძე 140 სმ-ს აღწევს, მინდაოში სიმაღლე — 85 — 100 სმ-ს, ჭალას უდიდესი სივრცე — 260 — 290 მმ-ს, ცოცხალი წონა ხარლალისა 80 — 90 კგ-ია,

ფურისა — 60 — 70 კგ. ხართან შედარებით ფური ყოველთვის პატარაა. ირგმთან შედარებით კუდი ოდნავ გრძელი აქვს. ტანთან შედარებით კისერი გრძელი აქვს. თავი კი პატარა, მოკლე ყურებით. ხარისხის 80 სმ-მდე სიგრძის წვერში ნიჩაფივით გაბრტყელებული ან მორჩიებიანი რქები აქვს. წინა კიდურები უკანაზე შესამჩნევად მოკლე გრძელი გარეშე უფრო მაღალია. ტანთან შედარებით კიდურები საერთოდ მოკლე გაში უფრო მაღალია. ტანთან შედარებით კიდურები საერთოდ მოკლე აქვს. ჩლიქები პრიალა, ლამაზი, მომრგვალებული ფორმის 7—8 სმ სიგრძის, 6—7 სმ სიგანისა. გვერდითი დამატებითი ჩლიქები ძალიან პატარა ზომისა და ისე მაღლა აქვს, რომ სიარულისას მიწას არ ეხება და ნაკვალევზე ანაბეჭდს არ ტოვებს. ამით მისი ნაკვალევი პდვილი გამოსცნობია.

შეფერილობით ფური დ ხარი ერთმანეთისაგან ბევრად არ განსხვავდება. მათი შეფერილობა იცვლება წლის სეზონების მიხედვით. ზაფხულში ბეწვი მოკლე და კლალი ქარცისფერი აქვს, შემოდგომასა და ზამთარში გრძელი ბეწვი ეზრდება და მუქი-ნაცრისფერია. მუცლის მხარე კი უფრო ნათელი აქვს. კუდის გარშემო ტლოკვებზე „თეთრი სარკე“ კარვად ეტყობა. ზოგიერთ ხალგაზრდა ირემლალს ზურგზე თეთრი ხალები აქვს. გვხვდება მთლიანად თეთრი და შავი ეგზემპლარებიც.

ირემლალი ზღვის დონიდან დიდ სიმაღლეზე არ ვრცელდება. მის ტიპურ ადგილსამყოფელს ვაკისა და ზეგნების ტყე-ბუქნარიანი ადგილები წარმოადგებს. აქ იგი უფრო შერეულ-ფოთლოვან და მეჩხერტყიან ადგილებს ირჩევს, სადაც ნეკერის მომცემი ტყის ახალი აღმონაცემია და ბალახიც კარგად ხარობს. ბორჯომის ნაკრძალში ირემლალი ძირითადად ისეთ წიწვიან და შერეულ ტყეში ბინადრობდა, სადაც ბალახიანი ფართო ველობებია, და საქვებად ამ ველობებში გამოდიოდა, თავშესაფრიად კი წიწვიან ტყეს იყენებდა. ივრის ჭალაში „ყორულის“ სამონაფარად მეურნეობაში ირემლალი თავშესაფრად ფოთლოვანი ტყის ქვედირეო ადგილებს ირჩევდა. მაყვლის და ეკალიქიან, ბარდებიან ტყეს ერიდებოდა, იშვიათად შედიოდა კვრინჩხის: ხშირბუქნარიან ადგილებში უფრო ხშირად მუხნარში ან კაკლის, ეერხვისა და აქაციის ნარგბშიც. უფრო ხშირად მუხნარში ან კაკლის, ეერხვისა და აქაციის ნარგბშიც იყო. უყვარდა მდინარის ნაპირებთან ტირიფის ტყიან ლამიან ავებში იყო. უყვარდა მდინარის ნაპირებთან ტირიფის ტყიან ლამიან ადგილებში წოლა. ზაფხულში სიცხეში ხშირად შედიოდა და გრილ ადგილებში წოლა. ზაფხულში სიცხეში ხშირად შედიოდა და ბანაობდა მდინარეში. ადვილად აგნებდა და მიდიოდა ფშის წმინდა ბანაობდა მდინარეში. ადვილად აგნებდა და მიდიოდა ფშის წმინდა ბანაობდა მდინარეში, ხელოვნურად გამართულ სამარილესა და სათივეზე. ბევრად არ ერიდებოდა ადგილიანსა და შინაურ პირუტყვს. ირემლალი ბინარად არ ერიდებოდა ადგილიანსა და შინაურ პირუტყვს. ირემლალი ბინა

დროს პატარ-პატარა ჯგუფების ხეთ — 4 — 8 სული უკინეთ შემო-  
დვომასა და ზამთარში უფრო მოსრულ ჩემის ქმნას. მაგრამ მას უკინეთ არ  
ჩემები მალე იშლება. რაღაც ირემლალი მომთაბარეობასა და სხვა  
მიგრაციას არ ახდეს, მობინალეება და სეკები არ ჰქონდები წესების შე-  
გვლს-მყოფელს მხოლოდ მაშინ იცვლის. როცა საკიბრის უკავშირში მა-  
რილი შემოაკლდება ინ თოვლის საფარი შეავიროვებს. ღრმა თოვლ-  
ში მოძრაობა უყირს; რაღაც მოკლე ფეხები და მიმე ტანი აქვს.  
ჩავიდეთ დიდ დაწოლას ახდენს და თოვლში ლრმად ეფლო-  
ბა. ზამთარში სეკების / მოსიპოვებლად უფრო მეტად მოძ-  
რაობს, ბალახობს როგორც ღამით, ისე დღისით. ძირითადად ნეკერით  
იკვებება. განსაკუთრებით უყვარს და აზიანებს: რცხილის, თელის, მუხ-  
ის, კერხვის, მდგნალის, ტირიფის, აკაციის აღმონაცენს, ნაკლებად ეტა-  
ნება: წიფლის, თხმელის, თხილის, ნეკერჩელის, შინდის, კვრინჩის,  
ზომარტლისა და წიწვიან ჭიშებს. გაჭირვების დროს კი ჩამოცვენილ  
ხელ ფოთლებს, ხის ქერქს, ხავსა და მლიერებსაც მიირთმევს. მისი  
მოშენებისას ყველა ეს პირობა უნდა გაეითვალისწინოთ.

ზაფხულში საძოვარზე დილა-სალამოს გამოდის, შუაღლისას, განაპ-  
უთრებით დიდი სიცხის დროს ისვენებს. ამ პერიოდში უფრო ხშირად  
მიღის წყალზე და სამარილეზე.

ირემლალს კარგად განვითარებული ყნოსვა და სმენა აქვს, მხედ-  
ველობა კი — შედარებით ნაკლებად. ბუნებაში დედალი უფრო ფრთხი-  
ლია. მას აქვს მინდობილი ნუკრების აღზრდა, იგი ყოველთვის მათთა-  
ნია და ნუკრებზე ზრუნავს. ზაფხულში ხარლალი მათთან არაა, ნუკრიანი  
დედები უალტე ცხოვრობენ, ზედმეტი სიფხიზლისათვის ხშირად ერ-  
თიანდებიან და ხანგრძლივად არიან ერთად. სევე უალტე ჯგუფებს  
ქმნიან მამლებიც. მათი ერთად თავმოყრი მხოლოდ ხურაობის დაწყების  
წინ (აგვისტო-სექტემბერში) ხდება. მაშინაც კი ზოგჯერ მამლები და  
დედლები ისევ ცალ-ცალკე დაზიან, ერთმანეთს მხოლოდ დროებით  
უერთდებიან.

ირემლალის კერძილობა ოქტომბერ-ნოემბერში მიმდინარეობს. ხარ-  
ები ამ დროს აღზნების გამო სიფხიზლეს კარგავენ, ერთმანეთს ერჩიან.  
ჩხუბობენ, თავისებურად ბლავიან, გამოსცემენ სპეციფიკურ სუნს, ცო-  
ტას ჭამენ. დიდ ენერგიას ხარჯავენ და გამვალტყავებამდე ხდებიან.

აკეობა რეა თუმცდე ვრძელდება, ნუკრები (1—2) ივნის-ივლისში იჭავებიან. ნუკრი ხალიანი იბადება და პირველ დღიდანვე იღგამს ფეხს მა-გრამ დედა მას ერთ კვირამდე თან არ ატარებს, ბალაზეშეწყვეტილი მა-ლავს და ძუძუს მოსაწოვებლად თვითონ მიღის მასთან ნუკრი მუკრო მუკრო, ჰამის ერთი თვის ასაკში იწყებს, მაგრამ დედა ძუძუს დაზამთრებამდე აწოვებს.

მამალ ნუკრებს ხუთი-ექვსი თვის ასაკში სარქეები ამოებურცებათ და თებერვალ-მარტში პატარა, უტოტო რქები ამოსდით. შემდეგ წლებ-ში რქაზე მხოლოდ მარტივი ტოტები ეზრდება, ხუთი წლის ასაკში, რო-ცა ცხვეველი ზრდას ამთავრებს, ბრტყელი, ნიჩბისებური რქები უვითა-რდება. ექვსი წლის შემდეგ რქა თანდათანობით გადაგვარებას იწყებს. რქებს ყოველ წელს აპრილ-მაისში იცვლის. ივლისიდან ახალი ბეჭვიანი რქები ეზრდება. რქებზე ტყავი აგვისტო-სექტემბერში სძვრება. სექსო-ბრივად ხუთი წლის ასაკში მწიფდება. ზოოპარკში ტყვეობაში 7—8 წლამდე ცოცხლობს, სამონადირეო მეურნეობაში კი — 20—30 წლამ-დე სძლებს.

ირემლალს მრავალი ბუნებრივი მტერი ჰყავს, მათ შორის ყველაზე დიდ ზიანს მეტი, ფოცხვერი და გაგარეულებული ძალები აყენებენ. ნუკრებს თავს ესხმის ტურა, მელა, გარეული კატა. ირემლალი ავალდება პარაზიტული კიფბით. ციმბირის წყლულით, თურქულით, ცოფით ლეპ-ტოსტირუზით, დისტომატოზით, აგრეთვე გარეგანი პარაზიტებით: საძო-ვრის ტკიბებით, სისხლისმწოველა მწერებით და სხვა. მის რიცხოვნობა-ზე განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს მკაცრი ზამთარი, ღრმა თოვლის საფარი და საკედის ნაკლებობა. მის ბუნებრივ კონკურენტად ითვლება: ხალებიანი ირემი, კეთილშობილი ირები, შველი და ლოსი, აგრეთვე შინაური პირუტყვე. ირემლალის მოშენებას განსაკუთრებით დიდი კონკურენცია გაუწია ხალებიანმა ირემმა, რომელმაც მეურნეობი-დან თითქმის განდევნა ეს ცხველი და მისი ადგილი სარეწაო-სამონა-დირეო მეურნეობებში თვითონ დაიმკვიდრა, რაღაც. ტყაეისა და ხო-რცის გარდა იძლევა ძვირფას „პანტას“, რომელსაც მედიცინაში გამოი-ყენებენ. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ირემლალიც ძვირფასი სა-მონადირეო-სარეწაო ცხოველია. იგი არ ეჭვარება ირმების სხვა ქვესა-ხეობებს. ადგილი მოსაშენებელი და მოსამრავლებელია, ნაკლებად იცის ბერწიანობა, ადვილად ეჩვევა ადამიანს. შინაურდება, ტყველბაში კა-



რგად მრავლდება და შემდეგ ისევ გარეულდება. რაც მთავრობია, მობინალრეობა ახასიათებს. საქართველოს მთისწინეთის ქუჩაშემცველები განსაკუთრებით აღმოსავლეთსა და სამხრეთ საქართველოში შემძლები, მრავლად მოიძებნება მის საბინალროდ შესაფერისი, ნაკლებად თოვლიანი, ბუნებრივი საკვებით მდიდარი აღვილები და აღვილად მოწყობა მისი სამონადირეო მეურნეობები. თუ ბრაჟონიერებისაგან დავიცავთ ირემლალი საუკეთესოდ იგვარებს და მომრავლდება თბილისის მახლობლად წოდორეთისა და დიდგორის ახლად შექმნილ სამონადირეო მეურნეობაში. ეს ცხოველი კარგად მრავლდება თბილისის ზოოპარკში, რომელმაც შეიძლება შეფობა გაუწიოს ამ მეურნეობას. დიდი ხნის ტყვეობისა და ნათესაური შეჯვარებების გამო ეს ცხოველი აქ უკვე დაკანიებულია და გადავვარების გზაზე დგას. აქედან ჭარბი ირემლალების გაყვანა და სამონადირეო მეურნეობაში თვეისუფლად გაშვება ყოველწლიურად შეიძლება და ეს ამ ცხოველისათვისაც აუცილებელია. ამასთან, ჭიშის განახლების მიზნით, საჭირო იქნება, რომ მეურნეობაში ირემლალები სხვა ადგილებიდანაც შემოვიყვანოთ.

ირემლალი არამარტო დეკორატიულ-სამონადირეო ცხოველია. მის მოშენებას სავარგულის სრულყოფილად ათვისებისა, ხორცისა და სხვა პროდუქციის გაზრდის პერსპექტივაც ახლავს. იგი იძლევა 40 — 50 კგ-მდე, ირემივით მაგარ, მაგრამ გემრიელ ხორცს, მისი ტყავი ირმის ტყავშე უკეთესი ხარისხისაა, დეკორატიული მიზნით ვამოიყენება რქები, ზისვან ამზადებენ ღილებსა და სხვა სამკაულებსაც.

ამეამად ირემლალს, როგორც სარეწაო-დეკორატიულ ცხოველს, უმეტესად დიდი ქალაქების მახლობელ ტყეებში მოწყობილ სამონადირეო მეურნეობებში ამრავლებენ (ეს ცხოველი თბილისის გარემოსაც დაამშვენებდა, რომ ამდენი მაწიწწალა და გაგარეულებული ძალები არ ცონს). ამგვარად იყო მოშენებული ბელოვევეის ნაკრძალ-სამონადირეო მეურნეობაშიც, მაგრამ არაგეგმაზომიერი ნადირობით მაღა მოსპეს.

ირემლალის საერთო რაოდენობა მსოფლიოში ახლა 200 ათასი რ აღემატება. აქედან 131 ათას სულამდე ევროპის ქვეყნებშია აღრიცხული, დანარჩენი კი სხვაგან. მაგალითად: უნგრეთში—3 ათასამდეა, პოლონეთში—2,44 ათასამდე. ბულგარეთში—1,85 ათასი, იუგოსლავიაში—1,46 ათასი, ესპანეთში—0,2 ათასი, პოლანდიაში—0,6 ათასი



ა. აფრანგეთსა და ნორვეგიაში 40 სული, ფინეთში 80 სული, სკანდინავიუმში - ნებიდან: ირანში 60 სული, ხოლო თურქეთში 100 სულია. არგენტინაში კი 10 ათას სულა- მდე ითვლიან. მცირე რაოდენობითაა: პერუში, ჩილეში და კანადაში.

1840 წელს ირემლალი შეიყვანეს სამხრეთ ავსტრალიაში და სამხ- რეთ აფრიკაში. ახლა იქ 1,8 ათასამდე ირემლალია. 1864 წელს შეიყვანეს ტასმანიისა და ახალი ზელანდიის კუნძულებზე. ამჟამად ტასმანიაზე 8 ათასი, ხოლო ახალ ზელანდიაში 35 ათასი ირემლალია აღრიცხული. კოველივე ეს იმას მიგვანიშნებს, რომ ირემლალი ჩვენთანაც აღვილად მოშენდება და ეს შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ.

ირემლალზე ნადირობა ჭერ-ჭერობით კანონით ყველგან აქრიბალუ- ლია. მას იცავენ და აშენებენ, როგორც გადაგვარების გზაზე მდგომ იშვიათ და ძვირფას სამეურნეო ცხოველს. შეტანილია წითელ წიგნებში.



## ପ୍ରକାଶନ ଲିସ୍ଟ

ଶ୍ରୀଶ୍ଵରାଳଙ୍କ	3
ଅନ୍ଧମିଳ	5
<b>ଶ୍ରୀଲଙ୍କ</b>	<b>21</b>
ଶାରୀରିକ ଉତ୍ତରାଳ	38
ଶ୍ରୀରତ୍ନପୁଣ୍ୟ	57
ଅନ୍ଧିଗ୍ରାହଣ	66
<b>ବ୍ୟାଦିତିକାଳ</b>	<b>77</b>
<b>ଜୀବିଂ</b>	<b>89</b>
ଶ୍ରୀବିନ୍ଦୁଶିଳନ	122
ଅନ୍ଧମିଳାଳଙ୍କ	127



საქართველოს  
მინისტრის

რედაქტორი ქ. კვანტრაძე  
მხატვარი გ. ტუხაშვილი

მხატვრული რედაქტორი რ. მაჭარაშვილი  
რექციური რედაქტორი ე. ციხელაშვილი  
კორექტორები ნ. გბრალიძე, ქ. ჭავთარაძე  
გამომუშები ნ. მანაგაძე

ს. № 2399

გადაეცა წარმოებას 30.09.83; ხელმოწერილია დასაბეჭდად  
20.11.84; საბეჭდი ქალაქი № 60 X/90 1/16. გარნიტური ვენა. ბეჭდების ხერხი  
მაღალი, პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 0,93+7,91 ჩაუკრა. პირ. საღ.-გატ. 8,96.  
საალრ.-საგამომტ. თაბაზი 7,53.

რ. № 00717.

ტირაჟი 3000

შეკვ. № 641

ფ. ს. 60 ქაბ.

გამომცემულობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

სსის სტამბა, თბილისი-31.

Типография Груз. СХИ, Тбилиси-31

22/3



Арабули Александр Бецинович

В ЧЕМ МОЯ ВИНА, ЧЕЛОВЕК?!

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1985

